ელექტრონული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 მარტი პარასკევი 2011

№ 069 (13366) ფასი 60 თეთრი



# ხვალინდელი დღის მოლოდინი

## საქართველოს ნაკრები ხორვატიასთან მატჩისათვის ემზადება


2

# ძმები ხორგუაშვილების საგა გრძელდება

3

## ქართველ ფეხბურთელებს აპატიმრებენ და... ათავისუფლებენ?



„თავისუფლება უდანაშაულოდ დაპატიმრებულ გიორგი დემეტრაძეს" – ასეთი მოწოდება და განცხადება საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ სოციალურ ქსელ "ფეისბუკზე" გუშინ, 15 საათსა და 02 წუთზე გაავრცელა. განცხადება რომ ნამდვილად კახას ეკუთვნის, ეს ფეხბურთელის პრესსამსახურში დაგვიდასტურეს.

## თავისუფლება უდანაშაულოდ დაპატიმრებულ გიორგი დემეტრაძეს!

მივმართავ ჩემს მეგობრებს, კოლეგებს, თანამემამულეებს: ვფიქრობ დგება დრო, როდესაც უფრო მეტი უნდა მოვთხოვოთ ხელისუფალთ, მეტი გამჭირვალეობა, დემოკრატიის შუქურად წოდებულ ქვეყანამ უკანასკნელ წლებში, აშკარა რეგრესი განიცადა ამ თვალსაზრისით. ძალიან სამწუხაროა მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანებს გვიწევს საუბარი კოდირებულად, ფარულად. არსებობს შიშის სტერეოტიპი, რომელიც დასამსხვრევია და ის პირველ რიგში თითოეულმა ჩვენგანმა შინაგანად, თავის თავში უნდა გაანადგუროს! მთელი ცხოვრება ვიბრძოდი ჩემი ქვეყნისთვის, მინდორსა თუ მის გარეთ, არასოდეს შევშინებივარ სიძნელეებსა და გამოწვევებს.ყოველთვის მჯეროდა, რომ სამართლიანობა ადრე თუ გვიან იზეიმებდა, რომ ქვეყანაში კანონი ადრე თუ გვიან იკანონებდა და არ იქნებოდა კანონის ორმაგი სტანდარტებით გაგება და გამოყენება. თუმცა გუშინ, რეფორმირებულმა ქართულმა სასამართლომ საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით მორიგი ტესტი ვერ ჩააბარა! ჩვენი ქვეყნის ასიათასობით მოქალაქეთა მსგავსად მეც ვფიქრობ, რომ გიორგი დემეტრაძის საქმე თავიდან გადასახედია, თავიდან შესასწავლია თითოეული დეტალი...აღნიშნულმა ვერდიქტმა საზოგადოების უნდობლობა დაიმსახურა...ადამიანების ბედით ასე არ უნდა თამაშობდნენ! უამრავი ადამიანი გვირეკავს გიორგის მეგობრებს, გვხვდება სხვადასხვა სახის მხარდამჭერი განცხადებები სოციალურ ქსელში.სასამართლოს დასრულებამდე მქონდა მიზერული, მაგრამ მაინც იმედი, რომ ქართული თემიდას სასწორი უდანაშაულოდ დაკავებული ადამიანის სასიკეთოდ გადაიხრებოდა... თუმცა ამაოდ... მტკიცედ მჯერავს, რომ გიორგი დემეტრაძე უდანაშაულოა და ჩვენ მისი მეგობრები და მისი ნიჭის დამფასებელი მრავალათასიან გულშემატკივართა არმია ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით! გვჯერავს სამართალი პურს ჭამს და სამართლიანობა გაიმარჯვებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები — ხორვატიასთან მატჩამდე




# გამარჯვების გოლი აქაც სირაძისაა

## ურტყით კარში, არ ურტყათ ერთმანეთს

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მიმდინარე შეკრებაზე მეოთხე ვარჯიში ჩაატარა და მესამე გაზონზე შეაბიჯა – შეგახსენებთ, **თემურ ქეცბაიამ** გუნდი თავდაპირველად "ბასაზე" ავარჯიშა, ორჯერ ნაკრების ფეხბურთელები ეროვნულ სტადიონს ეწვივნენ, გუშინ კი წვრთნა გლდანში, "ამერის" სტადიონზე გაიმართა.

გუშინდელმა ვარჯიშმა საათზე მეტს არ გასტანა, შესაძლოა, იმიტომ, რომ გლდანში ძლიერი ქარი ქროდა და საწვრთნელ პროცესს ძალიან უშლიდა ხელს. ერთხელ ქარმა გადასატანი კარი წააქცია და კიდევ კარგი, იმ მომენტში მის სიახლოვეს არავინ ყოფილა...

თავიდან ქეცბაიამ გუნდი ოთხ ნაწილად გაყო. მეკარეები **მამუკა აბუსერიძის** განკარგულებაში გადავიდნენ და აქტიურად იმუშავეს, სამად განაწილებულმა წინახაზელებმა კი ჩვეულებრივი "კვადრატი" ითამაშეს.

უფრო საინტერესო იყო ორმხრივი თამაში, რომელიც ნახევარ მოედანზე გაიმართა. ქეცბაიამ გუნდი თითქმის სწორედ ისე გაყო, როგორც წინა დღით, მხოლოდ მეკარეებს შეუცვალა გუნდები.

"ყვითლების" შემადგენლობა ასეთი იყო: **ლორია, სალუქვაძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, კალაძე, დაუშვილი, ხიზანიშვილი, გოგუა, იაშვილი, გელაშვილი, დვალიშვილი.**

"წითლები": **რევიშვილი, ალადაშვილი, კაშია, ხიდეშელი, კვირკველია, კანკავა, კობიაშვილი, გურული, მოდებაძე, მარცვალაძე, სირაძე.**

ისევე, როგორც წინადღეს, **ალექსანდრე კოშკაძემ** "ნეიტრალური" ფეხბურთელის როლი შეასრულა და ორივე გუნდს ეხმარებოდა, მეკარე **როინ კვასხვაძეს** კი თამაშში მონაწილეობა არ მიუღია და ვარჯიში აბუსერიძესთან ჩაამთავრა.

თამაში ორი 15-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა და "წითლების" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. პირველ ტაიმში **აკაკი ხუბუტიამ გიორგი ლორიას** არაზუსტი პასი მისცა, ბურთი **დავით სირაძემ** ჩაჭრა და ანგარიში გახსნა. ქარი ორმხრივ ბურთაობაშიც აქტიური "მოთამაშე" იყო. "ყვითლებს" გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ **ბუბა დაუშვილმა** ბურთი ძელს გაარტყა.

ქეცბაია მთელი ვარჯიშის განმავლობაში აქტიური იყო და ფეხბურთელებს თითქმის ყველა არასწორ გადაწყვეტილებაზე ენერგიულად მიუთითებდა. განსაკუთრებული შენიშვნები თავდამსხმელთა მიმართ ჰქონდა და მათგან კარში დროულად დარტყმას მოითხოვდა. თამაშისას ერთი-ორჯერ ხისტადაც ითამაშეს, რაც ქეცბაიამ შეგირდებს კატეგორიულად აუკრძალა.

გუშინდელმა ვარჯიშმა განსაკუთრებული დასკვნების გაკეთების საშუალებას არ მოგვცა, თუმცა ერთი აშკარაა, ხორვატიასთან უმეტესად ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომელთაც ვარჯიშზე ყვითელი გადასაცმელები ემოსათ. "ყვითლებშივე" უნდა გვეგულებოდეს დაცვის მთლიანი ხაზიც, მაგრამ მოვლენებს წინ მაინც ნუ გავუსწრებთ...

**ჯანო ანანიძე** გუშინდელ ვარჯიშზე საერთოდ არ გამოჩენილა. სამწუხაროდ, მისი თამაში ხორვატიასთანაც გამოირიცხა და ისრაელთანაც.

დღეს საქართველოს ნაკრები ეროვნულ სტადიონზე 17 საათიდან ივარჯიშებს. ვარჯიშის საწყისი 20 წუთი ღია იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დიდი სტუმრიანობა: ხორვატები და სხვა ოფიციალური პირები

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოსა და ხორვატიის ეროვნული ნაკრებების შეხვედრას იტალიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება:

მთავარი მსაჯი **პაოლო ტალიავენტო,** ასისტენტები **ლუკა მაჯიანი, ნიკოლა ნიკოლეტი,** მეოთხე მსაჯი **პაოლო ვალერი.**

უეფას დელეგატი: **კაზიმეჟ ოლეშეკი** (პოლონეთი)

მსაჯთა დამკვირვებელი: **მარკუს ნობსი** (შვეიცარია)

უეფას უსაფრთხოების ოფიცერი: **ფერნანდ მიისე** (ბელგია)

ოფიციალური პირები თბილისში დღეს, გვიან ღამით ჩამოფრინდნენ.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხორვატიის ეროვნული ნაკრები დღეს, 25 მარტს 14:50 საათზე ზაგრებიდან ჩარტერული რეისით ჩამოფრინდება და სასტუმრო „შერატონში" დაბინავდება. დღესვე 19 საათზე, ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ხორვატიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სლავენ ბილიჩი** პრესკონფერენციას გამართავს, 19:30 საათზე კი, ხორვატები ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ. სტუმართა წინასამატჩო ვარჯიში მედიისთვის მხოლოდ 15 წუთით იქნება ღია.

ფედერაციის პრესსამსახურში ჯერ არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას, თბილისში რამდენი ხორვატი გულშემატკივარი აპირებს ჩამოფრენას.

და ბოლოს: მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს "საზოგადოებრივი მაუწყებელი" 21 საათზე დაიწყებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბილიჩი ჩვენი ნახევრისკენ იყურება

თბილისში გამომგზავრებამდე **სლავენ ბილიჩმა** ბოლო პრესკონფერენცია გამართა და ყურადღება იმაზე გაამახვილა, თუ როგორი ტაქტიკითა და შემადგენლობით აპირებს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშს.

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხორვატიის ეროვნული გუნდის თავკაცი უპირატესობას შემტევ სტილს მიანიჭებს.

*„ყველაფერი ნათელია. თბილისშიც ის უნდა გავაკეთოთ, რაც ყველაზე უკეთ გამოგვდის – ბურთზე კონტროლი უნდა დავაწესოთ და თამაში მოწინააღმდეგის ნახევარზე გადავიტანოთ. თუ ამას შევძლებთ, ჩვენი გამარჯვება გარდაუვალი იქნება. ოპტიმიზმით სავსე და წარმატებაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მეტოქე ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ არის",* - აცხადებს ბილიჩი.

მას თბილისური მატჩისთვის სავარაუდო ძირითადი შემადგენლობის დასახელება სთხოვეს, რაზეც ხორვატიის ნაკრების დამრიგებელმა მიუგო, რომ სასტარტო თერთმეტეული ჯერ არ შეურჩევია. მისი თქმით, ძირითადში მოხვედრის რეალური შანსი 14-15 ფეხბურთელს აქვს და გადაწყვეტილებას თბილისში მიიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

## ნუკრი რევიშვილი:

# ხომ იყო ბულგარეთი!

## დღევანდელი რუსული ფინანსები და რომანსები: მილიონ, მილიონ, მილიონ...

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი მახაჩყალის "ანჟის" პირველი მეკარე გახდა – ის შეკრებაზეც და დაწყებულ სეზონშიც დაღესტნური კლუბის კარში შეუცვლელად იდგა. ნუკრის ინტერვიუ სანაკრებო შეკრების დაწყებამდე ჩამოვართვით.**

**- გამომგზავრებამდე "ზენიტთან" ურთულესი შეხვედრა 0:2 წააგეთ, მაგრამ "სპორტ-ექსპერესისგან" საუკეთესო შეფასება დაიმსახურე.**

- 'ზენიტი" რუსეთის კი არა, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია და, ცხადია, ყველაზე მეტი საქმე მე მქონდა. "ანჟი" ხომ, ფაქტობრივად, სეზონის მსვლელობისას ყალიბდება, ათი ახალწვეული გვყავს და შეთამაშება გვაკლია.

**- რადგან "ანჟის" ძირითადი მეკარე გახდი, ხორვატიასთან მატჩსაც საკმაოდ კარგად მომზადებული და თავდაჯერებულიც შეხვდები.**

- რა თქმა უნდა, სათამაშო პრაქტიკა ბევრს ნიშნავს. სომხეთთან მატჩისთვის მზად არ ვიყავი, ახლა კი უკვე ბევრი შეხვედრა ჩავატარე, შვიდი მოსამზადებელ ეტაპზე, ორიც პრემიერლიგაში და ერთიც თასზე. ასე რომ, თავს კარგად ვგრძნობ.

რაც უნდა ბევრი ივარჯიშო, უთამაშებელი მაინც "აიჭრები", რაც ადრე დამემართა კიდეც ნაკრებში. ახლა კი რუსეთის პრემიერლიგის გუნდში მენდობიან..ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ ყველამ იცის, რომ რუსებს მაღალი კლასის მეკარეები ჰყავთ და როდესაც ქართველს ძირითადში დაგაყენებენ, ათმაგად უფრო ირწმუნებ, რომ თამაში შეგიძლია. ეს ნებისმიერ მეკარეს ფსიქოლოგიურად აწონასწორებს.

მეორე ფაქტორი ნაკრებია - თემურ ქეცბაიამ გუნდი აათამაშა და ასეთ შემთხვევაში მეკარეც უფრო თავდაჯერებული ხდება. ხომ ნახეთ, ლორიამ სლოვენიასთან და სომხეთთან რა კარგად ითამაშა.

**- ერთი დღეც და, ხორვატიას ხვდებით – ურთულესი მეტოქეა.**

- ეს ისეთი შეხვედრაა, როდესაც ყველანი მოტივირებულები ვართ და დამატებითი სტიმული არ გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, მოსაგებად ყველა თავს დადებს. ხორვატია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ მთავარია, თამაში წაგვივიდეს. ჩვენ შედეგი გვჭირდება და მოედანზე ამ განწყობით უნდა გავიდეთ. ეს დღე ჩვენთვის ბევრს წყვეტს, ერთ კონკრეტულ შეხვედრაზე მობილიზება კი ყველას შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ნაკრებს ბულგარეთი დაუმარცხებია - თავის დროზე მსოფლიოს მეოთხე გუნდი, რომელიც არაფრით იყო დღევანდელ ხორვატიაზე ნაკლები. ესე იგი, ჩვენც შეგვიძლია რაღაც.

**- რა შეიძლება იყოს ჩვენი პლუსი?**

- ის, რომ სახლში ვთამაშობთ და იმედია, სტადიონი შეივსება.

**- როგორც გავიგეთ, ბილეთების 80 პროცენტი უკვე გაყიდულა.**

- ძალიანაც კარგი, სავსე სტადიონზე უფრო თამამად ვითამაშებთ.

**- მატჩამდელი მოლოდინი არ გძაბავს?**

- არა, რატომ? პირველად არც ერთი ჩვენგანი არ თამაშობს. თუ მოვიგეთ, ხომ კარგი, მაყურებელს გავახარებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, თავს შევაკლავთ.

**- პირველ ტურებში ირაკლი კლიმიაშვილი "ანჟის" განაცხადში რატომ არ იყო?**

- ვიზის გამო ვერ წამოვიდა. ახლა მახაჩყალაში "ანჟის" ბაზას აშენებენ, მანამდე კი გუნდი ანთალიაში დაბინავდა და თამაშებზეც იქიდან დავფრინავთ. ირაკლი კი რუსეთიდან ერთხელ უკვე გამოვიდა, ანუ ხელახლა შესასვლელად ვიზა დასჭირდა, რაც საკმაოდ გართულებული პროცედურაა. სხვათა შორის, ირაკლი გაჯი გაჯიევს მოეწონა, ძალიან მონდომებულია. მთავარია, კონკურენტებს აჯობოს, რადგან "ანჟიში" ყველა პოზიციაზე სერიოზული კონკურენციაა. შარშანდელი შემადგენლობიდან ბევრი უკვე სათადარიგოებში მოხვდა.

**- "ანჟი" ბევრს არავის დააინტერესებდა, რომ არა რობერტო კარლოსი. კლიმიაშვილის თქმით, ბრაზილიელს ვარსკვლავური ქედმაღლობა არ ახასიათებს.**

- მართალი უთქვამს. რამხელა ფეხბურთელი იყო და ამ დროს ძალიან უბრალოდ იქცევა, გულიანი, მხიარული კაცია და ყველას თავი შეგვაყვარა. არადა, ბევრს ეგონა, ზემოდან ყურებას დაგვიწყებდა. პირიქით, ამბობს, მეც ბევრი რამ მაქვს სასწავლიო. მისი გუნდში ყოფნა კი თითოეული ჩვენგანისთვის ბევრს ნიშნავს, უნებლიეთ მოგებულის ფსიქოლოგიით გვათამაშებს. შენ გვერდით რომ მსოფლიოს ჩემპიონია, ეს ყველას ძალას გვმატებს.

ძალიან კარგი ფეხბურთელია დიეგო ტარდელიც, რომელიც ბოლო ორი წელი ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო. თუმცა რუსეთის პრემიერლიგასთან შეგუება უჭირს. კარლოსმაც თქვა, არ მეგონა, ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატი თუ იქნებოდაო. კიდევ ბევრს ჰგონია, დიდ ფულს იხდიან, მაგრამ ჩემპიონატი არ უვარგათო. იქაურ პრემიერლიგაში სამი-ოთხი კლუბი მაინც ცდილობს ევროპის გრანდებში დამკვიდრებას და მჯერა, ამას მოახერხებენ კიდეც. მაგალითად, "ზენიტი" სოლიდური კლუბია და დარწმუნებული ვარ, მალე ჩემპიონთა ლიგაში თავის სიტყვას იტყვის. რუსებს სერიოზული მიზნები აქვთ, ფულსაც არ იშურებენ და თუ ადრე ფეხბურთელებში უზარმაზარ თანხებს ევროპის წამყვანი ქვეყნები იხდიდნენ, ახლა ამას რუსებიც ახერხებენ, 9-10 მილიონიც არ ენანებათ.

თუ არ მეშლება, "ანჟის" ბიუჯეტი 50 მილიონ ევრომდეა, თუ მეტი არა, "ზენიტისა" კი 200 მილიონი იქნება. ამხელა ბიუჯეტი მხოლოდ ევროპულ გრანდებს აქვთ. მაგალითისთვის ისიც გამოდგება, რაც უკვე გითხარით: "ანჟი" ანთალიაშია და რუსეთში იქედან დავფრინავთ, მალე კი მოსკოვში გადავალთ. წარმოიდგინეთ, გუნდს რა ფული უნდა ჰქონდეს.

**მერაბ მამულაშვილი**




ნუკრი რევიშვილი (მარცხნივ) და რობერტო კარლოსი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# გიორგი ნემსაძე სპორტული დირექტორია



გუშინ შევიტყვეთ, რომ თბილისის "დინამოს" ახალმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** კლუბის ახალ სპორტულ დირექტორად **გიორგი ნემსაძე** დანიშნა.

ინფორმაცია გვიან მივიღეთ და შეუძლებელი იყო რომელიმე მათგანთან კომენტარისთვის დაკავშირება, თუმცა ცნობა ზუსტია და წყალი არ გაუვა.

შეგახსენებთ, რომ **გიორგი ნემსაძე** იყო თბილისის "დინამოს", საქართველოს ნაკრებისა და შოტლანდიური "დანდის" კაპიტანი. სწორედ მისი კაპიტნობის პერიოდში გავიდა თბილისური კლუბი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე, იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრია.

საერთოდ, ბოლო დროს ქართული ფეხბურთისა და კლუბების მმართველები მიხვდნენ, რომ ავტორიტეტული ვეტერანი ფეხბურთელების კლუბებში თუ სხვადასხვა მიმართულებით დასაქმება სასურველი და საჭირო საქმეა. ეს ისევ ჩვენს ფეხბურთს წაადგება.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# ნაკრები საფრანგეთშია და საფრანგეთისთვის მზადაა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თბილისი-სტამბოლი-პარიზი-ნანტის ავიარეისით დანიშნულების ადგილამდე ჩაფრინდა და ელიტრაუნდის სასტარტო მატჩისთვის ემზადება. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი ნანტის სიახლოვეს დაბინავდა, დღეს კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბრძოლას ნანტის "ლა ბოჟუარზე" საფრანგეთის ნაკრებთან დაპირისპირებით დაიწყებს. შეგახსენებთ, ელიტრაუნდის ჯგუფებიდან სერბეთში გასამართავ ფინალურ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ და, შესაბამისად, დღეს მარცხის უფლება არ გვაქვს.

საფრანგეთი-საქართველოს მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება და მას ბერძენ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება **ანასტასიოს სიდიროპულოსის** მეთაურობით.



ბუნებრივია, ჩვენი ნაკრები ხანგრძლივმა მგზავრობამ გადაღალა, მაგრამ ბიჭებმა ძალების აღდგენა უკვე მოასწრეს, ივარჯიშეს კიდეც და სამწვრთნელო შტაბი დარწმუნებულია, რომ ფრანგების წინააღმდეგ გუნდი სრულად დაიხარჯება. **ბაჩანა არაბულის** არყოფნას დიდ დანაკლისად მიიჩნევენ, მაგრამ მისი სრულფასოვნად შეცვლის იმედი მაინც აქვთ.

უკვე ნაკრებთან ერთადაა ორი ლეგიონერი – მიუნხენის "ბაიერნის" საყრდენი **ლუკას ჰუფნაგელი** და ბელგიური "ზეერსხოტის" თავდამსხმელი **ნიკა ტარყაშვილი**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სკანდალი

# მეორე ხორგუაშვილიც გისოსებს მიღმა

**პავლე ხორგუაშვილის** შემდეგ ფინურმა პოლიციამ მისი ტყუპისცალი, **ვალტერიც** დააკავა. შეგახსენებთ, პავლეს გარიგებულ მატჩებში ედება ბრალად, ანალოგიურია მისი ძმის მიმართ წაყენებული ბრალდებაც.

ვალტერთან ერთად მსგავსი ბრალდებით გისოსებს მიღმა ფინური "როვანიემის" კიდევ სამი ფეხბურთელი მოხვდა, მანამდე კი პავლეს გარდა ამავე გუნდის ოთხი წევრი დააკავეს. კლუბმა ყველა მათგანს კონტრაქტი გაუწყვიტა.

23 წლის ხორგუაშვილებს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ორწლიანი პატიმრობა ელით, თუმცა გამორიცხული არ არის, გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაშიც კი საპყრობილისგან თავი სოლიდური ჯარიმით დაიხსნან.

მცველი ვალტერი და ნახევარმცველი პავლე ფინეთში გასული წლის დასაწყისში "გაგრადან" გადავიდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

*P.S. ბოლო ინფორმაციით, გუშინ პავლე ხორგუაშვილი გაათავისუფლეს, დღეს შეიძლება მისი ძმა ვალტერიც თავისუფალი იყოს.*

**BG Bet Guru**
**http://bet.goli.ge**
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ეროვნული ნაკრები


თემურ ქეცბაია

# გადადებული ვიზიტი

გუშინ, 12 საათზე ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" დაგეგმილი იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილის** მისვლა, რომელსაც გარემონტებული ბაზის მონახულება ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან** ერთად სურდა. ამ შეხვედრის გასაშუქებლად ჟურნალისტები მიგვიწვიეს, მაგრამ ხანგრძლივი ლოდინის მიუხედავად, არც მინისტრი გამოჩენილა, არც ფედერაციის თავკაცი და "ბასას" კარიც არ გაღებულა.

მოგეხსენებათ, **თემურ ქეცბაია** ეროვნულ ნაკრებს ხორვატიასთან მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის ამზადებს და, როგორც შევიტყვეთ, ასეთ დროს ნაკრების ბაზის კარის გაღება მიზანშეუწონლად ჩათვალა.

*"ბატონმა ლადომ ადრე დაგეგმა "ბასაზე" მისვლა და დათვალიერება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თემურ ქეცბაიას დახურული ვარჯიში ჰქონდა და სტუმრებზე ყურადღების გადატანა არ გამოდიოდა. მინისტრი გაგებით მოეკიდა მდგომარეობას, რათა გუნდმა ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძოს ვარჯიში. სერიოზული მატჩი გველის, ბაზის მონახულება კი სხვა დროისთვის გადადო,"* – გვითხრა სამინისტროს პრესატაში **გიორგი ჭანიშვილმა**.

# ლემონჯავას ნაკრებში თამაში თავად უთხოვია

უკვე გამცნეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ავსტრიის ოთხთა ტურნირზე პირველი მატჩი ისრაელთან 0:2 წააგო და რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა 19 წლის **აპოლონ ლემონჯავას**, რომელიც რუსეთის მოქალაქეა და აქამდე საქართველოს არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია. ასე რომ, ჩვენთვის უცნობი იყო, საიდან მოხვდა ლემონჯავა გაბელიას გუნდში, მით უფრო, როგორ ითამაშა, როდესაც მის შესახებ მანამდე სიტყვაც არ თქმულა და გაფართოებულ სიაშიც არ იყო.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, თავად ფეხბურთელს გამოუთქვამს სურვილი, რომ საქართველოს ღირსება დაეცვა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, მომდევნო შეხვედრას 26 მარტს ალბანელებთან გამართავს.

**მერაბ მამულაშვილი**




ლეგიონერი მწვრთნელი

# სამი თემა კახა ცხადაძისთვის

**საქართველოს ნაკრების პირველ კაპიტანს, აზერბაიჯანის ჩემპიონ "ინტერის" მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს ხორვატიასთან 26 მარტის შეხვედრაზე, "ინტერსა" და სხვა საინტერესო თემებზე ვესაუბრეთ.**

## ნაკლი ხორვატიასაც გააჩნია

მძიმე მატჩი იქნება, რადგან ხორვატია ყველა თვალსაზრისით ძალიან სერიოზული მოწინააღმდეგეა. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გამოსვლა დაიწყო, ყოველთვის ამბიციური მიზნები ჰქონდა. საინტერესო, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, რაც დაბალანსებული შემადგენლობის შედეგია, გუნდი საკმაოდ კარგად არის შეთამაშებული და მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს.

თუმცა უიმედოდ არ უნდა ვიყოთ, რადგან თემურ ქეცბაიას ხელში საქართველოს ნაკრები გაძლიერდა, ფეხბურთელებიც უფრო თავდაჯერებულები გახდნენ და დაამტკიცეს, რომ შედეგისთვის ბრძოლა შეუძლიათ. თანაც შინ ვთამაშობთ, სტადიონის მხარდაჭერა გარანტირებულია. არადა, სამარცხვინოდ ჩაგდებული ციკლის შემდეგ ჩვენს წარმატებულ სტარტს არავინ ელოდა. ახლა ჯგუფის ლიდერებში ვართ და პირველ-მეორე ადგილებზე გასვლის შანსი გვაქვს. ამიტომ ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ასეთ ძლიერ ნაკრებს მოვუგებთ, ეს ჩვენი გუნდის ფსიქოლოგიურ სიმტკიცესა და სატურნირო მდგომარეობაზე ძალიან სასიკეთოდ აისახება.

ნაკლი ყველა ნაკრებს აქვს და ამდენად, მოგება ხორვატიასთანაც შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ქეცბაია მოწინააღმდეგის თამაშში დაინახავს იმ ნაკლს, რომლითაც ჩვენ უნდა ვისარგებლოთ.

საჩვენო ფაქტორებად კი სავსე ტრიბუნები და ჩვენების ბრძოლისუნარიანობა მიმაჩნია. ბიჭები უკვე არავის ეპუებიან და ასე ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება წარმატების მიღწევა. მე ჩვენი ნაკრების ეს თვისება მაიმედებს.

## ინტერი: აქცენტი თასზე

წლეულს არასტაბილურად ვთამაშობთ და სატურნირო მდგომარეობა ძალიან გავირთულეთ. რამდენიმე ისეთი უსახური შეხვედრა ჩავატარეთ, გახსენებაც არ მინდა. საბოლოოდ, მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ და სამეულის გუნდებმა საგრძნობლად გაგვასწრეს. გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა "თანამეგობრობის თასზე", მაგრამ გაძლიერება ვერ მოვახერხეთ, მენეჯერებმა საჭირო ფეხბურთელები ვერ მოძებნეს. ამ დროს კი ყველა მოწინააღმდეგე გაძლიერდა.

პირველი ორი შეხვედრა იოლად მოვიგეთ, მაგრამ "ხაზართან" 1:3 წავაგეთ, მინიმუმ ფრეს მაინც ვიმსახურებდით. ამან დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა მოგვაყენა. შოკიდან კარგა ხანს ვერ გამოვედით და თასზე პირველლიგელ "აფშერონთან" 0:0 ვითამაშეთ, რასაც დაემატა "ყარაბახთან" 0:2 მარცხი. ეს ყველაფერი მძიმე გადასატანი აღმოჩნდა.

სერიოზული დაფიქრება დაგვჭირდა, რა ხდებოდა გუნდში. ფეხბურთელები გონს მოვიდნენ და როგორც იქნა, თამაშის ხარისხიც გავაუმჯობესეთ. ბოლო ტურში "ბაკი" დავჩაგრეთ, მაგრამ მხოლოდ ფრეს დავჯერდით – 1:1. თუმცა იმედი გამიჩნდა, რომ ახლა მაინც დავლაგდებით.

ასეთ ვითარებაში ჩემპიონობის შენარჩუნება არარეალურია. აქედან გამომდინარე, აქცენტი თასზე გადავიტანეთ, ჩემპიონატში კი სამეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

"თანამეგობრობის თასზე" ჩვენებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ ახლა მათთან, ისევე, როგორც სხვა ფეხბურთელებთან, ბევრი პრეტენზია მაქვს - ძალიან არასტაბილურად თამაშობენ. გული მწყდება, ტრავმის შემდეგ ფორმა რომ ვერ აღიდგინა კახა მჟავანაძემ, არადა, მისი დიდი იმედი მქონდა.

## ევროპული და ქართული კილომეტრები

თემურ ქეცბაიამ საქართველოს ნაკრებში დაამტკიცა, რომ საქმის გაკეთება შესაძლებელია, თუ გულიანად მუშაობ და საქმე იცი. დავბრუნდებოდი თუ არა საქართველოში? ვინ თქვა, რომ არ ვაპირებდი? ამაზე ბევრჯერ მიფიქრია, საკუთარ ქვეყანაში მუშაობა ვის არ ურჩევნია? ნეტავ აქ იყოს პირობები და სიამოვნებით... პირობებში ვგულისხმობ არა მხოლოდ ხელფასს, არამედ გუნდის სავარჯიშო და მოსამზადებელ მინიმალურ პირობებს, სხვაგვარად მუშაობას რა აზრი აქვს?



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჩემპიონატი არცთუ ისე მაღალი დონისაა, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ შესაძლებელია ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს და მათ ორ-სამ გამოცდილ უცხოელს თუ დავუმატებთ, შევუქმნით სავარჯიშო პირობებს, თანამედროვე აღდგენითი პროცედურებით, ექნებათ ვიტამინიზაცია და სხვა, სერიოზული გუნდი ჩამოყალიბდება.

დღეს ევროპაში ფეხბურთელები საშუალოდ 12-13 კილომეტრს დარბიან, ჩვენს ჩემპიონატში კი - მაქსიმუმ 5-6 კილომეტრს, რასაც ევროპელები 30 წუთში ფარავენ. მაგრამ ახლა პატრონი გამოუჩნდა თბილისის "დინამოს", ქუთაისის "ტორპედოს", მანამდეც ჰპატრონობდნენ რუსთავის "ოლიმპს", "ზესტაფონსა" და "ვიტ ჯორჯიას" და ეს მაიმედებს. ქართული ფეხბურთის გულშემატკივარმა ფეხბურთზე მზრუნველ ყველა ამ ადამიანს მადლობა უნდა გადაუხადონ, რადგან ჩვენი ჩემპიონატი მათ მხრებზე დგას.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეტოქე — ხორვატიის ნაკრები

# უცნობი ნაცნობი

## მსგავსება და სხვაობა

... უცნაურია, მაგრამ ფაქტია: საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებები ოფიციალური თუ ამხანაგური მატჩების დონეზე ერთმანეთს ხვალ პირველად დაუპირისპირდებიან. ეგ კი არა, ქართულ-ხორვატული გუნდების პაექრობა არც საკლუბო დონეზე შემდგარა; თანაც, ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პერიოდსაც ვგულისხმობთ და იმ დროსაც, როცა თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ასპარეზობდა, ხოლო წამყვანი ხორვატული კლუბები ყოფილი იუგოსლავიის პირველობაზე მონაწილეობდნენ. აქვე, რახან საკლუბო ფეხბურთზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თბილისის „დინამოს“ მსგავსად, ხორვატული გუნდებიც ერთადერთი საერთაშორისო მიღწევით მოიწონებენ თავს: 1967 წელს ზაგრების „დინამომ“ უეფას თასი მოიპოვა (1963 წელს კი ამავე გათამაშების ფინალისტი იყო). თუმცა, დღეს სანაკრებო თემაზე ვისაუბრებთ და ამ შემთხვევაში, რალა თქმა უნდა, ხვალინდელ მეტოქეს მიღწევებითაც და ისტორიითაც ბევრად ჩამოვრჩებით; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირზე ხორვატიის ნაკრების ვერმოხვედრას ყველა... უდიდეს სენსაციად მიიჩნევს; მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებისთვის კვლავაც მი-


მიროსლავ ბლაჟევიჩი

უწვდომელ ოცნებად რჩება კონტინენტისა თუ პლანეტის პირველობების გადამწყვეტ ეტაპზე ასპარეზობა. ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ დღესდღეობით ხორვატიის ნაკრები ფიფას რეიტინგში VIII ადგილზეა; არადა, ნუ დაგვავიწდება: ლაპარაკია გუნდზე, შარშანდელ მუნდიალზე რომ არ უასპარეზია...

...ერთი შეხედვით, საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებებს საერთოც ბევრი აქვთ: ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობის სტატუსი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა, ორივე ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებს ფიფა-უეფას ეგიდით ჩატარებულ ოფიციალურ ტურნირებზე დებიუტი 1994 წლის შემოდგომაზე ჰქონდათ, ორივე ქვეყნის ნაკრების ძირითად ბირთვს უცხოურ კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელები შეადგენენ, ორივე ქვეყნის ჩემპიონატი არცთუ მაღალი დონის არის და ამიტომაც ალარავის უკვირს ქართველი თუ ხორვატი ნიჭიერი მოთამაშეების სხვა ქვეყნებში გადინება. თუმცა, როგორც უკვე ალვნიშნეთ, სხვაობაც საკმაოდ სერიოზულია: ნებისმიერი შესარჩევი ციკლის დაწყების წინ, ხორვატიის ნაკრები თავის ჯგუფის ერთ-ერთ უპირობო ფავორიტად მიიჩნევა, აი, ჩვენ კი, ქვეჯგუფში მესამე ადგილზე გასვლა გვენატრება; უფრო ზუსტად, გვენატრებოდა: ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა აშკარა პროგრესი განიცადა და სარეკორდო წაუგებელ სერიასაც აგრძელებს. ბოლოს და ბოლოს, წელიწადი წაუგებლად დაგვესრულებინოს, მსგავსი ხომ ადრე არასდროს მომხდარა და, ალბათ, სიმბოლურიც არის, რომ ხვალინდელ შეხვედრაში ერთმანეთს ისეთი ორი გუნდი დაუპირისპირდება, 2010 წელს არც ერთი მატჩი რომ არ წაუგიათ! ვფიქრობთ, ზედმეტია იმის შეხსენება, რომ 2010 წელი წაუგებლად ევროპული ნაკრებებიდან მხოლოდ საქართველომ და ხორვატიამ დაასრულეს; ჰოდა, ვიდრე ჩვენ ხვალინდელ მეტოქეს წარმოგიდგენდეთ, ვისურვოთ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის ეს სარეკორდო წაუგებელი სერია შაბათის მატჩის მერეც გაგრძელებულიყოს...

## აღმავლობის დასაწყისი

ხორვატიაში პირველი საფეხბურთო კლუბები XX საუკუნის დასაწყისში დაარსდა, 1907 წელს კი ხორვატიის ნაკრებმა პირველი არაოფიციალური მატჩიც ჩაატარა. 1912 წელს ხორვატიის საფეხბურთო კავშირი დაარსდა, ქვეყანა კი იმ დროისათვის ავსტრია-უნგრეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს მიეკუთვნებოდა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ხორვატია იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა და ასე გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1941 წელს კი ხორვატიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა (სხვათა შორის, ეს ქვეყანა ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი აქტიური მოკავშირე იყო), თუმცა 1945 წლის შემდეგ კვლავაც იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ასე გრძელდებოდა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე: ხორვატული გუნდები იუგოსლავიის ჩემპიონატში ასპარეზობდნენ, ხოლო გამორჩეულ ხორვატ ფეხბურთელებს იუგოსლავიის ნაკრებში იწვევდნენ. თუმცა, ვიდრე ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, არანაკლები ვნებათაღელვა იყო... სტადიონებზეც: წამყვანი ხორვატული კლუბების (ზაგრების „დინამო“, სპლიტის „ჰაიდუკი“) და სერბული გრანდების („ცრვენა ზვეზდა“, „პარტიზანი“) დაპირისპირებები ტრიბუნებზეც მასობრივი არეულობებითა და უშუალოდ მინდორზეც ფეხბურთელებს შორის ხელჩართული ჩხუბით მთავრდებოდა...

...იუგოსლავიელებს ყოველთვის ჰყავდათ გამორჩეული ფეხბურთელები, თუმცა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისში ისეთი თაობა წამოვიდა, უმრავლესობას ვარსკვლავობას რომ უწინასწარმეტყველებდნენ (თანაც, ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმდროინდელი იუგოსლავიის ყველა ეროვნების ფეხბურთელზე). ასე, მაგალითად: **დრაგან სტოიკოვიჩი, ვლადიმერ იუგოვიჩი, სინიშა მიხაილოვიჩი** სერბები იყვნენ, **პრედრაგ მიიატოვიჩი** და **დეიან სავიჩევიჩი**-ჩერნოგორიელები, **სრეჩკო კატანეცი**-სლოვენიელი, **მეხმეტ ბაჟდარევიჩი**-ბოსნიელი, **დარკო პანჩევი**-მაკედონიელი, **ზვონიმირ ბობანი, რობერტ იარნი, რობერტ პროსინეჩკი** და **დავორ შუკერი**-ხორვატები. იმ პერიოდში იუგოსლავიელებს მართლაც სოლიდური ნაკრები ჰყავდათ და ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, ამ გუნდმა ევრო-92-ის შესარჩევი ციკლი წარმატებით რომ ჩაატარა. თუმცა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე იუგოსლავიის ნაკრებს იქ მონაწილეობაზე უარი ეთქვა: გაეროს სანქციებს ფიფაც შეუერთდა და იუგოსლავია საფეხბურთო იზოლაციაში მოექცა. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ შვედეთში ჩატარებულ ევრო-92-ზე იუგოსლავიელებს რომც ეასპარეზათ, ამ ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ სერბები და ჩერნოგორიელები იქნებოდნენ: 1991 წელს ხორვატიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ბობანი, პროსინეჩკი, იარნი და შუკერი უკვე თავისი ქვეყნის სახელით ასპარეზობდნენ. ოღონდ, 1992 წლის ზაფხულამდე ხორვატები მხოლოდ არაოფიციალურ მატჩებს ატარებდნენ, ანუ, იქამდე, ვიდრე ეს ქვეყანა ფიფასა და უეფას წევრი არ გახდებოდა. ხორვატიის ნაკრების პირველი მთავარი მწვრთნელი 60-იანი წლების იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთი ვარსკვლავი **დრაჟან ერკოვიჩი** გახლდათ, ვინც ამ პოსტზე **სტანკო პოკლეპოვიჩმა** შეცვალა; 1993 წელს ხორვატიის ნაკრები **ვლატკო მარკოვიჩმა** (მომავალში ხორვატიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა) ჩაიბარა; აი, 1994 წლიდან კი ნაკრების სათავეში **მიროსლავ ბლაჟევიჩი** მოვიდა, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ხორვატული ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატებები...

## ზღაპრული თაობა

ბლაჟევიჩი იმ დროისათვის 60 წლის გახლდათ და ამ გამოცდილმა სპეციალისტმა მართლაც ჩინებული გუნდი ჩამოაყალიბა: შეტევის წინა ხაზში ორი ბრწყინვალე ფორვარდი ასპარეზობდა (დავორ შუკერი, **ალენ ბოკშიჩი**), ნახევარდაცვაში ორ აღიარებულ ვარსკვლავთან (რობერტ პროსინეჩკი, ზვონიმირ ბობანი) ერთად ორი გამოცდილი ფეხბურთელიც (**ალიოშა ასანოვიჩი, ზვონიმირ სოლდო**) გამოდიოდა, დაცვაში ფლანგებზე **სლავენ ბილიჩი** (მარჯვნივ) და რობერტ იარნი თამაშობდნენ, ცენტრში-**იგორ შტიმაცი** და **ნიკოლა იერკანი**; ერთადერთი შედარებით სუსტი რგოლი მეკარე იყო — **დრაჟენ ლადიჩიც** და **ტონჩი გაბრიჩი** (ისე როგორც მათ მერე მოსული **მარიან მრმიჩი**) საერთაშორისო დონეს ვერ აკმაყოფილებდნენ. თუმცა, ხორვატებს იმდენად მძლავრი ნახევარდაცვა და თავდასხმა ჰყავდათ, მეკარის პრობლემა, ფაქტობრივად, ალარავის ახსოვდა.

1994 წლის 4 სექტემბერს ხორვატიის ნაკრებმა პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ესტონეთთან მოგებით (2:0) დაიწყო. ამ მატჩში დავორ შუკერმა „დუბლი“ შეასრულა და საერთოდაც, იმ ჯგუფის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა 12 გოლით. თუმცა, ინდივიდუალურ მიღწევაზე მეტად ფასობდა ხორვატიის ნაკრების წარმატებული ასპარეზობა: ბლაჟევიჩის შეგირდებმა თავიანთთვის სადებიუტო ციკლში 23 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და იტალიის, ლიტვის, უკრაინის, სლოვენიისა და ესტონეთის ნაკრებების კამპანიაში ევრო-96-ის საგზურიც მოიპოვეს!


ზვონიმირ ბობანი

ხორვატებმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზეც წარმატებით იასპარეზეს — ყოველ შემთხვევაში, დებიუტანტი გუნდისგან მეოთხედფინალში გასვლა ურიგო შედეგი ნამდვილად არ იყო. აი, მეოთხედფინალში კი ხორვატები იმ ტურნირის მომავალ ჩემპიონთან, გერმანიის ნაკრებთან დამარცხდნენ (1:2).


დავორ შუკერი

მომდევნო შესარჩევ ციკლში ხორვატებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად პლეი ოფში უკრაინის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან მოუწიათ დაპირისპირებამ. პირველი მატჩი ხორვატებმა 2:0 მოიგეს (გოლები **გორან ვლაოვიჩმა** და... ნაკრების დღევანდელმა თავკაცმა სლავენ ბილიჩმა გაიტანეს), განმეორებითი მატჩი კი ფრედ, 1:1 (გოლები: **ანდრეი შევჩენკო**; ალენ ბოკშიჩი) დამთავრდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხორვატიის ნაკრებს პირველად უნდა ეასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და როგორც მუნდიალის დებიუტანტს, ამ გუნდს სერიოზულად არც არავინ აღიქვამდა (მით უფრო, რომ ტრავმის გამო მუნდიალზე ვერ გაემგზავრა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ალენ ბოკშიჩი). თუმცა, ხორვატებმა ყველა პროგნოზი „თავდაყირა დააყენეს“: ჯერ ჯგუფური ეტაპი დაძლიეს წარმატებით, შემდეგ კი მერვედფინალში რუმინეთს აჯობეს; მაგრამ, მთავარი სენსაცია წინ იყო: მეოთხედფინალში ხორვატების მეტოქეს, გერმანიის ნაკრებს ჩინებული გუნდი ჰყავდა (**ანდრეას კეპკე, ლოთარ მათეუსი, იურგენ კოლერი, დიტმარ ჰამანი, თომას ჰესლერი, ოლივერ ბირჰოფი, იურგენ კლინსმანი**), მაგრამ ბლაჟევიჩის შეგირდებმა მართლაც ზღაპრულად ითამაშეს და ორი წლის წინანდელი მარცხისათვისაც რევანში აიღეს და, რაც მთავარია, ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს! ჰო, მართლაც არავინ მოელოდა, ხორვატები ევროპის ჩემპიონთა კარში სამ უპასუხო გოლს თუ გაიტანდნენ (თავი გამოიჩინეს: რობერტ იარნიმ, გორან ვლაოვიჩმა და დავორ შუკერმა). ნახევარფინალში კი ხორვატებს მუნდიალის მასპინძელი, საფრანგეთის ნაკრები ელოდა და საერთაშორისო ასპარეზზე გამოუცდელობა რომ არა, ძალიან დიდი შანსი იყო, ფინალში სწორედ ხორვატები გასულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმის დასაწყისში დავორ შუკერმა ანგარიში რომ გახსნა, ხორვატებს ცოტა არ იყოს, დიდხანს „გაუგრძელდათ“ გოლის აღნიშვნა - ფავორიტმა მეტოქემ პირველივე საპასუხო შეტევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა, შემდეგ მეორეც გაიტანა (უცნაურზე-უცნაური ფაქტი მოხდა - „დუბლი“ საფრანგეთის ნაკრების... მცველმა **ლილიან ტიურამმა** შეასრულა) და ფინალშიც **ემე ჟაკეს** გუნდი გავიდა. თუმცა, ხორვატები სამშობლოში უმედლოდ არ დაბრუნებულან: მესამე ადგილისათვის მატჩში საკმაოდ ძლიერ ჰოლანდიის ნაკრებს (მუნდიალის დაწყებამდე ერთ-ერთ ფავორიტად რომ მიიჩნეოდა) აჯობეს! სხვათა შორის, ჰოლანდიელებს მართლაც ჩინებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავდათ (**ედვინ ვან დერ სარი, იაპ სტამი, ფრანკ დე ბური, კლარენს ზეედორფი, ედგარ დავიდსი, ფილიპ კოკუ, პატრიკ კლუივერტი, დენის ბერხკამპი**), მაგრამ არნახული მოტივაციითა და აღმავლობით მოასპარეზე ხორვატებთან ვერაფერი გააწყვეს. აი, ასე მიაღწია მუნდიალის დებიუტანტმა ხორვატიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორობას. თანაც, დავორ შუკერი ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და უკან ისეთი აღიარებული გოლიადორები ჩამოიტოვა, როგორებიც იყვნენ **კრისტიან ვიერი** და **გაბრიელ ბატისტუტა.**

სამწუხაროდ, ამის შემდეგ ხორვატიის ნაკრებში თაობათა ცვლის მეტად მტკივნეული პროცესი დაიწყო, რასაც წინ თვით ისეთი სტრატეგიც ვერ აღუდგა, როგორიც მირკო ბლაჟევიჩი გახლდათ. ამ და სხვადასხვა მიზეზის გამო მომდევნო შესარჩევი ციკლი ხორვატებისთვის ორმაგად წარუმატებლად დამთავრდა: 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზურიც ვერ მოიპოვეს და რაც ყველაზე ძალიან წყინდათ ხორვატიაში, მათ საყვარელ გუნდს... იუგოსლავიამ აჯობა!

იმ შესარჩევი ციკლის დასრულებისთანავე პლაჟევიჩმა თანამდებობა და-


რობერტ პროსინეჩკი

ტოვა და მის ნაცვლად **მირკო იოჟიჩი** დაინიშნა. ამასობაში ნაკრებში ახალი სახეები გამოჩნდნენ: **სტიპე პლეტიკოშა, იგორ ტუდორი, დარიო შიმიჩი, ბორის ჟივკოვიჩი, ნიკო და რობერტ კოვაჩები, იოზიპ შიმუნიჩი, ივიცა ოლიჩი**; ყველა მათგანი არცთუ ურიგო ფეხბურთელი იყო, მაგრამ ხორვატული ფეხბურთის მართლაც „ოქროს თაობის“ ვარსკვლავებს (ზვონიმირ ბობანს, რობერტ პროსინეჩკის, დავორ შუკერს, ალენ ბოკშიჩს) საშემსრულებლო ოსტატობაში მაინც ჩამოუვარდებოდნენ. ამის მიუხედავად, ხორვატიის ნაკრებმა წარმატებით დაძლია 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და მუნდიალის საგზურიც მოიპოვა. მაგრამ, კორეა-იაპონიის სტადიონებზე ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატებს ფიასკო ელოდათ; თანაც, უცნაურზე მეტად ჩანდა ის ფაქტი, როცა ხორვატებმა პირველი მატჩი მექსიკასთან წააგეს (0:1), შემდეგ კი ამ მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტს იტალიას მოუგეს (ოღონდ, ამ შემთხვევაში არბიტრები აშკარად ხორვატების სასარგებლოდ ცდებოდნენ) და ბოლო შეხვედრაში ეკვადორს თუ დაამარცხებდნენ, მერვედფინალში გადიოდნენ. ეგ კი არა, დიდი შანსი იყო, რომ ამ მიზნის მისაღწევად მირკო იოჟიჩის გუნდს ფრეც ჰყოფნოდა, მაგრამ ხორვატებმა ის მატჩი წააგეს, თანაც... უმოტივაციო და არაფრით გამორჩეულ ეკვადორის ნაკრებთან!

მუნდიალის დასრულებისთანავე ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი **ოტო ბარიჩი** დაინიშნა; თუმცა, ამ სკანდალურ მწვრთნელსა და ხორვატიის ნაკრების შემდგომ ასპარეზობაზე „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# სერ ალექსი და მისი პრობლემები



„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ტელე-რადიო კომპანია BBC-ს უკვე ექვსი წელიწადია არ ელაპარაკება. ამ ბუტიაობისთვის ბოლოს მოსაღებად პრემიერლიგის შეფმა სერ **დეივ რიჩარდსმა** ფხა გამოილო და ფერგი სამაუწყებლო კომპანიის გენერალურ დირექტორ **მარკ ტომპსონთან** დააკავშირა. შეხვედრა ჯერ არ შემდგარა, მაგრამ მან შესაძლოა ბევრი პრობლემა მოხსნას.

საქმე ის არის, რომ მწვრთნელებისა და მასმედიის ურთიერთობა ერთი ან მეორე მხარის სურვილზე არ არის დამოკიდებული. პრესა-ტელევიზია მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისგან ინტერვიუებს იმიტომ კი არ იღებს, რომ ჟურნალისტებს თავიანთი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სურთ, არამედ იმიტომ, რომ მათ მიერ ჩაწერილ კომენტარებს უამრავი ფანი ელოდება. ინგლისის შემთხვევაში მილიონებზეა ლაპარაკი, ასე რომ, ყველაფერი კანონით არის განსაზღვრული და შესაბამისად „გაბუტვა" კანონის დარღვევაა. სწორედ ამ დარღვევების ალმოსაფხვრელად მოიწადინა რიჩარდსმა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიგას დაუსრულებლად მოუწევს ფერგიუსონის დაჯარიმება. შარშან, ოქტომბერში, პრემიერლიგის შესაბამისმა სამსახურმა განსაზღვრა ის თანხა, რომელიც წესით „იუნაიტედის" თავკაცმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს, მაგრამ მის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ჯერ არაფერი უთქვამთ. რიჩარდსი ფერგიუსონისა და BBC-ს ურთიერთობის ერთხელ და საბოლოოდ გარკვევას ელოდება.

ხსენებულ მედიაგიგანტსა და ფერგიუსონს შორის ურთიერთობა 2004 წელს გაფუჭდა, როდესაც BBC-იმ მოამზადა დოკუმენტური ფილმი სერ ალექსის ვაჟის, საფეხბურთო აგენტ **ჯეისონ ფერგიუსონის** შესახებ.

ინგლისური პრესა წერს, რომ ფერგიუსონისა და ტომპსონის ერთ ოთახში დასმა უკვე დიდი მიღწევაა, თუმცა ამ შეხვედრის თარილი ჯერ დადგენილი არ არის. სავარაუდოდ, მხარეები პოზიციებს სეზონის დასრულების შემდეგ შეაჯერებენ. ცნობილია, რომ „იუნაიტედის" თავკაცი უკვე 6 წელიწადია BBC-ის გენერალური დირექტორისტორისგან ოფიციალურ ბოდიშს ითხოვს.

ზემოთ ვახსენეთ, რომ პრემიერლიგამ ფერგიუსონი დააჯარიმა, ოღონდ, ჯერჯერობით, საკუთარ გადაწყვეტილებას მალავს. ეს „ჯერჯერობით" უკვე ხუთი თვეა გრძელდება და სხვა კლუბების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ყველას რჩება შთაბეჭდილება, რომ ინგლისში 19 გუნდისთვის სხვა წესია, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" — სხვა. საინტერესოა ისიც, რომ ფერგიუსონს მისი ვაჟის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის გამო კორპორაციისთვის არ უჩივლია — ექვსი წლის წინ რომ გაიბუტა, დღემდე გაბუტულია.

გარდა ამისა სერ ალექსს სხვა საკითხიც აწუხებს... უფრო სწორად, აბრაზებს. საქმე ისევ იმ საკითხს ეხება, რომლის გამოც ფერგიუსონი ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციით და 30 ათასი ფუნტით დასაჯეს - ლაპარაკია მსაჯ **მარტინ ატკინსონის** კრიტიკაზე. ფეხბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა ამ საქმესთან დაკავშირებული სადისციპლინო მოსმენის სრული ანგარიში და დაწერა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა არად ჩააგდო ქვეყანაში მოქმედი ოფიციალური კამპანია სახელწოდებით „პატივი ვცეთ მსაჯებს". ფეხბურთის ასოციაციის კომისიის თამჯდომარე კრეიგ მური ბრძანებს: *„არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა აზრი დაგრჩა რომელიმე თამაშში ბატონი ატკინსონის მსაჯობაზე. ადამიანის პატიოსნების ეჭვქვეშ დაყენება არაფრით შეიძლება. კაცის ღირსების პატივისცემა მთლიანად ფეხბურთისთვის არის მნიშვნელოვანი".*

ხსენებულ ანგარიშში ალექს ფერგიუსონი სასტიკად არის გაკრიტიკებული. იქ წერია, რომ მან მარტინ ატკინსონს არც ბოდიში მოუხადა და არც სადმე დაცდენია, რომ მისი კომენტარი კორექტული არ იყო. „იუნაიტედის" ბოსმა თქვა, რომ ის ატკინსონისგან „უარესს ელოდა". შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრაზე, სადაც ლონდონელთა ბრაზილიელი მცველი **დავიდ ლუიზი** წითელ ბარათს გადაურჩა.

*„იმ შეხვედრას სამართლიანი და მტკიცე მსაჯი სჭირდებოდა, მაგრამ ასეთი არ ჰყავდა"* - თქვა ფერგიუსონმა. მოგვიანებით, მან სადისციპლინო კომიტეტს უთხრა, ეს ნათქვამი - ის არ არის რაც თქვენ გგონიათო, მაგრამ არავინ დაუჯერა.

ინგლისში ცნობილმა საფეხბურთო ადვოკატმა, ყოფილმა პოლიციელმა **გრემ ბინმა** კი ფერგიუსონის დასაცავად თქვა:

*„სერ ალექსი ძალიან მკაცრად დასაჯეს. ვერდიქტი დანაშაულს არ შეესაბამება, საფეხბურთო თემიდამ დრაკონული დასკვნა გააკეთა. ფეხბურთის ასოციაცია სიტყვის თავისუფლებას ახშობს".*

ვარსკვლავი



# არ ენდო ფერნანდოს!

„ლივერპულის" შეფებმა თავიანთ ყოფილ ვარსკვლავ **ფერნანდო ტორესს** შეუტიეს. ისინი ესპანელ თავდამსხმელს, გადატანით რომ ვთქვათ, „ენფილდის" თავზე შავი ღრუბლების შეკრებაში სდებენ ბრალს. შეგახსენებთ, რომ ტორესს ბოლო ხანს „ლივერპულში" გული აღარ უდგებოდა და კლუბის ხელმძღვანელებს ტრანსფერი სთხოვა, რის შედეგადაც იანვრის „ბაზრობის" ბოლო დღეს ის 50 მილიონ ფუნტად „ჩელსიმ" იყიდა. „ლივერპულის" საფეხბურთო საქმეთა დირექტორმა, ფრანგმა **დამიენ კომოლიმ** თქვა:

*„რას შევადარო ფერნანდო ტორესის წასვლა? გეგონება ცა მოიწმინდა და გამოიდარაო. იმ დღიდან მოყოლებული, რაც ტორესი „ჩელსის" ფეხბურთელი გახდა, ჩვენთან მხოლოდ კარგი ამბები ხდება. როდესაც ისეთი კაცი გყავს, რომელსაც შენთან ყოფნა არ უნდა და მას ცვლი ადამიანებით, რომელთაც შენთან ყოფნა ახარებს, ატმოსფერო სასიკეთოდ იცვლება".*

თანხა, რომელიც ტორესის სანაცვლოდ „ჩელსის" გამოართვეს, მერსისაიდელებმა **ლუის სუარესისა** და **ენდი ქეროლის** შეძენაში დახარჯეს. როგორც იცით, ორივე ახალწვეული წარმატებით შეერწყა „წითლებს", ტორესმა კი ლონდონურ გუნდში უკვე შვიდჯერ ითამაშა, მაგრამ გოლი ჯერაც არ გაუტანია. მიმდინარე სეზონში „ელ ნინიოს" შედეგიანობა ისევ „ლივერპულს" უკავშირდება — 9 გოლი 26 შეხვედრაში. თუმცა, ცხრა გოლს მისი „ჩამოშვებული ცხვირი" სწონიდა. ტორესი „ლივერპულის" გუნდზე არაჯანსაღ გავლენას ახდენდა.

კომოლიმ თქვა: *„თვალი გავუსწოროთ ფაქტს: იანვარში გავყიდეთ მოთამაშე, რომელსაც ჩვენთან ყოფნა არ სურდა და ორი კარგი ფეხბურთელი შევიძინეთ. რასაკვირველია, ამის შემდეგ გულზე მოგვეშვა. ახლა გუნდში ყველა ბედნიერია, მოჟამული აღარავინ დადის და მომავალს იმედის თვალით შევყურებთ".*

შესარჩევი მატჩის წინ

# გარეთ ბეილი დაშავდა

ინგლისის ნაკრებს კარგად წაუვიდა საქმე — უელსელებს **გარეთ ბეილი** არ ეყოლებათ. „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ვარსკვლავბიჭუნამ ორთავა კუნთი იტკინა და შაბათს, კარდიფში ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ უელსი და ინგლისი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრების G ჯგუფში არიან. ინგლისი მეორე ადგილზეა, ჩერნოგორიას 3 ქულით ჩამორჩება (თუმცა თამაშიც ნაკლები აქვს), უელსს კი საერთოდ ქულა არ აქვს და ცხრილის ფსკერზეა „დალექილი".

ბეილი რომ ვერ ითამაშებს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ის ლონდონში დაბრუნდა და თავისი კლუბის ექიმებს მიაკითხა. „უელსის" ნაკრების მავანმა თანამშრომელმა „სანს" უამბო: *„გარეთმა ტრავმა ძალიან განიცადა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უნდოდა ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ თამაში".*

ბეილის არყოფნა უელსის გუნდისთვის, რასაკვირველია, დიდი დანაკარგი იქნება. ეს ფეხბურთელი ინგლისელთა იტალიელმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** ორიოდ დღის წინ პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ გამოაცხადა. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ბეილი ახალგამოჯანმრთელებული იყო. მას ზურგის ტკივილმა ექვსი კვირა გააცდენინა და თუ ორთავა კუნთმა პრობლემა პრობლემას დაამატა, „ტოტენჰემიც" დიდი სირთულეების წინაშე დადგება — პრემიერლიგის დაძაბულ სეზონს თავი რომ დავანებოთ, „დეზები" ჩემპიონთა ლიგაში 5 აპრილს „რეალს" უნდა შეხვდნენ. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ფეხბურთელი ამ მეოთხედფინალური დაპირისპირებისთვის მწყობრში ჩადგეს.

21 წლის გარემარბმა ფეხი ოთხშაბათს, სალამოს ვარჯიშზე იტკინა და ექიმებმა მაშინვე უთხრეს, რომ „მილენიუმზე" გამოსვლის შანსი აღარ ჰქონდა. ბოლო ხანს, რაღაცნაირი უიღბლო პერიოდი დაუდგა ვარსკვლავს — გასულ კვირაში, „ტოტენჰემის" ვარჯიშზე ბარძაყი იტკინა, თუმცა ექიმებმა ყველა ღონე იხმარეს და „ვესტ ჰემთან" თამაშამდე გამოაჯანმრთელეს. ცოტა ხნის წინ საყოველთაოდ იყო გავრცელებული აზრი, რომ ბეილს ინგლისში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელობას ველარავინ შეეცილებოდა, მაგრამ ბოლო დროს მოხშირებულმა ტრავმებმა ეს აზრი ეჭვქვეშ დააყენა.




*„გარეთი ხანდახან საოცრებებს აკეთებს, ხოლო ის ფეხბურთი, რომელიც მან „ინტერთან" ითამაშა, დღემდე თვალწინ მიდგას. იმ შეხვედრებში მან ყველას დაანახვა რა შესაძლებლობების პატრონიც არის"* — ამბობს თანაკლუბელზე ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი **პიტერ კრაუჩი**, რომელსაც, როგორც ინგლისელს ბეილის ტრავმა ალბათ არ სწყენია, მაგრამ როგორც ტოტენჰემელი - უეჭველად შემფოთდებოდა.

ინგლისის ნაკრებში კი **ჯეკ უილშირი** სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას იხვეჭს, იმდენად, რომ თვით **ფრენკ ლემპარდი** შეაშინა. „ჩელსის" ცნობილი ნახევარმცველი არ გამორიცხავს, რომ შაბათს მისთვის გუნდში ადგილი არ გამოინახოს. შეგახსენებთ, რომ ინგლისელებს წინა თამაში დანიაში ჰქონდათ. ეს იყო ამხანაგური მატჩი, რომელშიც გუნდს **რიო ფერდინანდისა** და **სტივენ ჯერარდის** არყოფნაში ლემპარდმა უკაპიტნა. ფერდინანდი და ჯერარდი დღესაც დაშავებულები არიან და, როგორც ჩანს, ლემპსს იმედი ჰქონდა, რომ სამკლავური კვლავ მას ეკეთებოდა, მაგრამ, როგორც იცით კაპელომ კაპიტნობა **ჯონ ტერის** დაუბრუნა, რაც ნახევარმცველს ცუდად ეწიშნა. გარდა ამისა, ინგლისელთა ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ მწვრთნელი „მილენიუმზე" თამაშის რამდენიმე ვარიანტს განიხილავს, რომელთა შორის ერთი ასეთია: უილშირი ნახევარდაცვის გულში შედარებით წინ იმოქმედებს, **სკოტ პარკერი** და **გარეთ ბერი** კი მასზე უკან დადგებიან და შეეცდებიან მეტოქე თავიანთ მცველებამდე არ გაატარონ. როგორც ხედავთ, ამ ვარიანტში ლემპარდისთვის ადგილი არსად მოიძებნება. მიმომხილველები იხსენებენ, რომ კოპენჰაგენში, როდესაც კაპელომ წინ ლემპარდი გაუშვა, უილშირი კი მის უკან დააყენა, დიდი შედეგი ვერ მიიღო. ვინ იცის, სწორედ ამ ტაქტიკური განლაგების ბრალი იყო გაზეთებში ყმაწვილკაც უილშირს ერთი ამბავი რომ აუტეხეს, დანიელმა თანატოლმა **კრისტიან ერიკსენმა** გაჯობაო. ეთამაშებინა კაპელოს წინ და...

საბოლოოდ, ინგლისელთა ნაკრების იტალიელ თავკაცს ჩამოუყალიბდა აზრი, რომ ჯეკ უილშირი იმდენად ჩამშლელი ნახევარმცველი არ არის, რამდენადაც საჯარიმოდან საჯარიმომდე, წინ და უკან მორბენალი დინამიკური საყრდენი, რაშიც მას „არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერიც** ეთანხმება.

ბოლო დღეებში ლემპარდს ცოტათი ტრავმაც აწუხებდა. მცირე დისკომფორტი ჰქონდათ **ფილ ჯეგიელკას** და **აარონ ლენონსაც**, მაგრამ ეს უმნიშვნელო პრობლემებია.

კაპელომ სამშაბათს ფეხბურთელებს გოლფის თამაშის ნება დართო, ოთხშაბათს კი, ჩინებული დარის მიუხედავად, კატეგორიულად გამოუცხადა, რომ შუადღისას ოთახებში უნდა შესულიყვნენ და დაესვენათ.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ტრავმა

# დაბრუნდება და მერე როგორ!

„არსენალის" კაპიტან **სესკ ფაბრეგასს** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „ბარსელონასთან" შეხვედრაში მიღებული ორთავა კუნთის ტრავმა ისე მოიშუშოს, რომ აპრილში მოედანზე საუკეთესო ფორმაში დაბრუნდეს. ამ ტრავმის გამო ფაბრეგასმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალური შეხვედრა და „ვესტ ბრომვიჩთან" პრემიერლიგის მატჩი გამოტოვა. შეგახსენებთ, მის გარეშე ნათამაშები შეხვედრების შედეგს: „იუნაიტედმა" „მეთოფეებს" 2:0 აჯობა, „ვესტ ბრომვიჩთან" თამაში კი 2:2 დასრულდა.

ფაბრეგასმა ამ კვირაში უქმობას თავი დაანება — ექიმებმა სირბილის ნება დართეს, მაგრამ, ვინაიდან ორთავა კუნთზე ადრეც ჰქონდა პრობლემები, თავად სიფრთხილეს ამჯობინებს და მოედანზე დაბრუნებას არ ჩქარობს. ესპანელს სურს საქმეში საუკეთესოდ მომზადებული დაბრუნდეს.

შემდეგი მატჩი „მეთოფეებს" 2 აპრილს „ბლექბერნთან" აქვთ. სესკი იმედოვნებს, რომ ამ შეხვედრისთვის ის უკვე მზად იქნება.

*„ყველაფერი კარგად მიდის* — თქვა ფაბრეგასმა — *ეს სეზონი ჩემთვის უცნაურობებით და ტრავმებით კი არის სავსე, მაგრამ მინდა ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი დავძლიო და მოედანზე არნახულად ძლიერი დავბრუნდე. იმედი მაქვს, რომ „ბლექბერნთან" უკვე ნამდვილ ფაბრეგასს ნახავთ".*



## უცხოური ფეხბურთი

● მოსაზრება



# ლიპიმ პრანდელი შეაქო

### და იუვეს მესვეურებს შეუტია

**2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, მარჩელო ლიპი იშვიათად ჩნდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და მით უმეტეს, მასმედიასთან ურთიერთობას ერიდება. „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტი დიდხანს დასდევდა სენიორ მარჩელოს და როგორც იქნა, მასთან გასაუბრება მოახერხა. ლიპი იტალიურ ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე საუბრობს და თავის მოსაზრებებს გვიზიარებს.**

## იტალიის ნაკრები

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვიცოდი, რომ ნაკრებში რეფორმირების ეტაპი უნდა დაწყებულიყო და ამიტომაც განვაცხადე წინასწარ, რომ მუნდიალის დასრულების შემდეგ, ყველა შემთხვევაში დავტოვებდი დაკავებულ თანამდებობას. იმ ასაკში აღარ ვარ, რომ სრულიად ახალი გუნდის მშენებლობა დამეწყო და ამისთვის საკუთარ თავში ძალა გამომენახა. არჩევანი ჩეზარე პრანდელიზე შეჩერდა და ეს ძალიან კარგია, რადგან მასზე უკეთ ამ საქმეს ვერავინ გაუძლვებოდა. ვერც კი ვხედავ სხვა მწვრთნელს, რომელსაც ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება შეეძლო. ჩეზარე ტაქტიკურად იდეალურად განსწავლული სპეციალისტია, ამასთან, ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ ეშლება, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია. მშვენივრად უძღვება საქმეს და ჯერჯერობით, კარგის მეტი არაფერი მეთქმის. ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი და ეს სწორიც გახლავთ - გამოჩნდნენ ის ფეხბურთელები, რომლებსაც დიდი მწვერვალების დაპყრობა შეუძლიათ. გერმანიასთან ამხანაგურ პაექრობას ყურადღებით მივადევნე თვალი და დავრწმუნდი, რომ პრანდელი სწორი კურსით მიდის.

კასანო? - არასდროს მითქვამს, რომ ანტონიო ცუდი ფეხბურთელია. მხოლოდ იმიტომ ვტოვებდი განაცხადს მიღმა, რომ ჩემს ტაქტიკურ მონახაზში არ ჯდებოდა, თორემ მის ნიჭსა და ტალანტში ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. პრანდელის სხვა ხედვა აქვს, სხვა ფილოსოფია და კასანო აუცილებლად გამოადგება. მერწმუნეთ, ანტონიოს რომ ყურადღებას არ აქცევდეს, პირველი მე ვეტყოდი, რომ მისთვის შანსი მიეცა.

ბევრი თვლის, რომ იტალიურ ფეხბურთს ტალანტები შემოელია, რასაც ვერაფრით გავიზიარებ. ჩემი აზრით, ანდრეა რანოკიასა და ლეონარდო ბონუჩის სახით, ბრწყინვალე მცველები გვყავს, რომლებსაც კანავაროს, მალდინის, ბარეზის და ნესტას დონეზე შეუძლიათ თამაში. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და ნახავთ, ჩემი სიტყვები აუცილებლად ახდება. კიდევ არაერთი საინტერესო უკანახაზელი გვყავს, თუნდაც დავიდე სანტონი, რომელსაც ერთადერთი რამ აკლდა, სათამაშო დრო და მიიღო კიდეც „ჩეზენაში“. შეტევაშიც საკმაოდ დიდი არჩევანია: ანტონიო კასანო, ჯამპაოლო პაცინი, ჯუზეპე როსი, ალესანდრო მატრი, სებასტიან ჯოვინკო და ა.შ.

## იუვენტუსი

„იუვეს“ მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ კლუბის მესვეურებმა განვითარების გრძელვადიანი გეგმა არ შეიმუშავეს. დღევანდელი დღით ცხოვრობენ, მიიყვანეს დელ ნერი-მაროტას ტანდემი და ჰგონიათ, რომ ეს ორი ადამიანი გუნდს განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანენ. დელ ნერი საკმაოდ კარგი მწვრთნელია და მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ასეთი მიდგომით ტურინელები შორს ვერ გაფრინდებიან. საფუძველშივე შეცდნენ და ამ შეცდომებს გამოსწორება სჭირდება. თუ არაფერი შეიცვალა, „იუვესთვის“ კიდევ დიდ ხანს იქნება ჩემპიონთა ლიგის საგზური მიუწვდომელი, რადგან სერია A-ში კონკურენცია სულ უფრო და უფრო იზრდება.

შესაძლებელია თუ არა ჩემი „იუვენტუსში“ დაბრუნება? - გამორიცხული ნამდვილად არ არის, თუმცა დღეს ამაზე საუბარი აზრს მოკლებული მგონია. ტურინიდან არავინ შემხმიანებია და შესაბამისად, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. იტალიის ეროვნულ ნაკრებს ვედექი სათავეში და ახალი საქმისთვის ხელის მოკიდება ჩემთვის იოლი არაა. წინადადება მართლაც განსაკუთრებული უნდა იყოს, რომ მოტივაცია გამიჩნდეს და სამწვრთნელო საქმიანობას დავუბრუნდე.

## სერია A

ზემოთაც ვთქვი, რომ სერია A-ში კონკურენცია წლიდან წლამდე იზრდება. პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ „იუვენტუსი“ და „რომა“ ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა რჩებიან, რაც სახუმარო ამბავი ნამდვილად არ გახლავთ. იყო დრო, როდესაც ამ ორი გუნდისთვის ოთხეულში ყოფნა პრობლემას არ წარმოადგენდა. მართალია, „იუვეს“ კრიზისი აქვს და „რომაც“ ვერ აჩვენებს საუკეთესო ფეხბურთს, მაგრამ იმ აზრს მაინც ვერ დავეთანხმები, რომ საერთო დონის გათანაბრება ძლიერთა დასუსტებამ გამოიწვია. პირიქით, ვფიქრობ, რომ საშუალო დონის გუნდები გაძლიერდნენ და გრანდები შეავიწროვეს. თუნდაც „ნაპოლი“ და „უდინეზე“ ავიღოთ, გუნდები, რომლებიც შესანიშნავად ასპარეზობენ მიმდინარე სეზონში და სრულიად დამსახურებულად იმყოფებიან სატურნირო ცხრილის ოთხეულში.

ევროასპარეზზე იტალიური გუნდების ჩავარდნა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურის დაკარგვა მეტწილად ევროპის ლიგისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. ჩვენი გუნდები გადახალისებული შემადგენლობით ასპარეზობენ ამ ტურნირზე, რაც ყოვლად დაუშვებელია. შედეგად, მივიღეთ ის, რომ უეფას საკლუბო რეიტინგში მეოთხე ადგილზე ჩამოვქვეითდით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი სიტყვა მწვრთნელებს ეთქმით, რომლებმაც სწორად უნდა შეაფასონ ვითარება და ისეთივე მნიშვნელობა მიანიჭონ ევროპაექრობებს, როგორიც სერია A-ს შეხვედრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოზიციების კიდევ უფრო დათმობა მოგვიწევს.

**ლაშა წიკლაური**

● მილანი

# პატო: კაკას დაბრუნება უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




## შევჩენკო მილანურ დერბიზე...

სერია A-ს მომდევნო ტურში გასამართი მილანური დერბის შესახებ იტალიაში უკვე ძალიან ბევრმა საფეხბურთო მოღვაწემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. თუმცა, არა მარტო იტალიაში - ‘„გაძეტა დელო სპორტის“‘ ჟურნალისტები კიევში **ანდრეი შევჩენკოს** შეეხმიანენ და მისი კომენტარიც მოისმინეს. სანამ სიტყვას „როსონერის“ ყოფილ ფეხბურთელს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ ანდრეი 6 წლის განმავლობაში ასპარეზობდა „შავ-წითელთა“ რიგებში და „ინტერის“ კარში არაერთი გოლი აქვს გატანილი:

*„ბოლო ტურებში, „მილანმა“ არაერთი ქულა დაკარგა და საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა. ბევრი თვლის, რომ „როსონერის“ კრიზისი დაეწყო, თუმცა პირადად მე, ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. „ბარისთან“ და „პალერმოსთან“ შეხვედრებში მასიმილიანო ალეგრის შეგირდებს აშკარად არ გაუმართლათ და ვინც ამ თამაშებს უყურა, აუცილებლად დამეთანხმება. „მილანს“ ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ დერბიში გამარჯვება მოიპოვოს და კვლავ ხუთი ქულით გაუსწროს უმთავრეს მეტოქეს. ქულებშიც არაა საქმე, „როსონერი“ დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოიპოვებს და სავარაუდოდ, ჩემპიონიც გახდება. იმედია, ასეც მოხდება, ალბათ გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მილანურ დერბიში „როსონერის“ ვუგულშემატკივრებ“.*

მილანური დერბის შესახებ იტალიელი ჟურნალისტები **ალეშანდრე პატოსაც** დაეკითხნენ, თუმცა ახალი და განსაკუთრებული ბრაზილიელს არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, **კაკასთან** სატელეფონო საუბრის შესახებ გვაუწყა და შემდეგი დაამატა:

*„კაკა ჩემი ახლო მეგობარია, თუმცა ხშირად არ გვიწევს ურთიერთობა. ამას წინათ, ტელეფონზე ვესაუბრე და მისი „მილანში“ შესაძლო დაბრუნების თემა განვიხილეთ. მადრიდში თავს ძალიან კარგად გრძნობს, მაგრამ ისიც მკაფიოდ მითხრა, რომ „როსონერიში“ დაბრუნების წინააღმდეგი არ არის. მოვუყევი „მილანელოში“ არსებული ატმოსფეროს შესახებ და ნოსტალგია მოეძალა, რამაც იმედი კიდევ უფრო გამილვივა. იმედია, „მილანის“ მესვეურები სერიოზულად ფიქრობენ რიკარდოს დაბრუნებას და თუ მართლაც ასეა, დიდია შანსი, ზაფხულში კაკა შემოგვიერთდეს. ეს დიდი საჩუქარი იქნება ჩემთვის და ვიცი, რომ ზუსტად ამ აზრზეა გუნდის თითოეული ფეხბურთელი“.*

არ წყდება საუბრები **ანდრეა პირლოს** „იუვენტუსში“ შესაძლო გადაბარგების შესახებ. გამოცდილ ნახევარმცველს 30 ივნისს უმთავრდება „მილანთან“ ხელშეკრულების ვადა და ჯერჯერობით, მის გახანგრძლივებას არ ჩქარობს. არადა, უკვე მარტის ბოლოა და სეზონის დასრულებამდე არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი. ამ ყველაფერს კი იქითკენ მივყავართ, რომ იტალიის ნაკრების შუახაზელის „ვეკია სენიორაში“ გადაბარგება საკმაოდ რეალურია. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, ტურინული კლუბის მესვეურები ანდრეას პირადი კონტრაქტის დეტალებს უთანხმებენ, თუმცა ჯერჯერობით ეს საქმე მთლად კარგად ვერ გამოსდით - „იუვეს“ მესვეურები სეზონში 3.5 მილიონ ევროს სთავაზობენ, პირლო კი 5 მილიონს ითხოვს. თავად ფეხბურთელი მასმედიასთან ურთიერთობას ერიდება, ტურინელები კი პირლოს შესახებ ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლებიან.

**ლაშა წიკლაური**

● ლაციო

# მაური ტიფოზებს შემოსწყრა

მიმდინარე სეზონში, „ლაციოს“ საშინაო შეხვედრებს საშუალოდ 32 000 გულშემატკივარი ესწრება. თუმცა, მას შემდეგ, რაც „ბიანკოჩელესტემ“ მეორე რომაული დერბიც წააგო, ტიფოზების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ზურგი აქცია საკუთარ გუნდს და პროტესტიც კი გამოუცხადა. „ლაციო“-“ჩეზენას“ შეხვედრას მხოლოდ 20 000 გულშემატკივარი დაესწრო, რომელთა უმეტესობა მეტწილად საკუთარი გუნდის ფეხბურთელების ლანძღვა-გინებით იყო დაკავებული. მთელი შეხვედრის განმავლობაში არ შეწყვეტილა სტვენა, რამაც თამაშზეც შესაბამისი ასახვა ჰპოვა - მასპინძლებს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ და რომ არა **მაურო სარატეს** მიერ შეხვედრის სტარტზე გატანილი გოლი, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ჰაერივით საჭირო ქულებს დაკარგავდა. ტიფოზების ასეთმა საქციელმა ძალიან დაწყვიტა გული **სტეფანო მაურის**, რომელიც მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს და




სტეფანო მაური

გუნდის ლიდერად ითვლება. მოვუსმინოთ გამოცდილ ნახევარმცველს:

*„დერბიში მარცხი დიდი დარტყმა იყო ჩვენთვის, მაგრამ ეს ფეხბურთია და მარცხისგან დაზღვეული არავინაა. ორი გზა გვაქვს, ან უნდა ჩამოვყაროთ ყურები და საკუთარი თავი ვგმოთ, ან დავივიწყოთ „რომასთან“ მარცხი და ბრძოლა გავაგრძელოთ. ჩვენ მეორე გზა ავირჩიეთ და კარგი იქნება, თუ გულშემატკივრები კვლავაც ჩვენს გვერდით იქნებიან. მით უმეტეს, მთლიანობაში კარგ სეზონს ვატარებთ და შემთხვევით არ ვიბრძვით ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. თითქმის ცარიელი ტრიბუნების ფონზე თამაში ისედაც ძალიან არასასიამოვნოა და ის მცირერიცხოვანი გულშემატკივარიც რომ გისტვენს, საერთოდ საშინელებაა. კარგი იქნება, თუ გულშემატკივრები შეიცვლიან პოზიციას და ბოლომდე დაგვიჭერენ მხარს“.*

**ლაშა წიკლაური**

● ამბები

## ევრა, პრობლემათა გასაღები




„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და საფრანგეთის ნაკრების მარცხენა მცველი **პატრის ევრა** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პირველად გამოიძახეს ეროვნულ გუნდში. ამის მიზეზი კი მისი დისკვალიფიკაცია იყო. ფეხბურთელი აცხადებს, რომ მას წარსულში ჩადენილი შეცდომების დავიწყება სურს: *„დიდი ხანია დროა, ეს გვერდი გადავფურცლოთ და დავიწყებას მივცეთ. იმედი მაქვს, მე საფრანგეთის ნაკრებისთვის პრობლემათა გასაღები გავხდები და არა განვითარებისთვის კიდევ ერთი შემაფერხებელი გარემოება. კლუბში ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რათა სანაკრებო მიწვევა დამემსახურებინა. ადამიანებს, რომლებიც კარგად მიცნობენ, ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვიათ და ასეთებმა იცოდნენ, რომ ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავილებდი“.*

## ევერტონმა საა დაკარგა

„ევერტონის“ ფრანგმა ფორვარდმა **ლუის საამ** „ფულჰემთან“ შეხვედრაში კოჭის სერიოზული ტრავმა მიიღო და მისივე თქმით, მას მერე ყავარჯნების გარეშე გადაადგილება ძალიან უჭირს. ექიმების წინასწარი დასკვნით ფეხბურთელს მიმდინარე სეზონის ბოლომდე გამოჯანმრთელების იმედი არ უნდა ჰქონდეს. **დევიდ მოიესის** გუნდს თავდასხმაში აქამდეც დიდი პრობლემები ჰქონდა, რადგან რამდენიმე შემტევი დამტვრეული ჰყავს. გუნდი ერთადერთი კაცის იმედადღა დარჩა - ეს 27 წლის **ჯერმეინ ბეკფორდია**.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. ოლივერ კანი

# გერმანელები თავს ნუ მოიტყუებენ!

## გაიხსენეთ, როდის მოიგო გერმანულმა კლუბმა ბოლოს ევროტურნირი? ნაკრებზე არაფერს ვამბობ...

**ბოლო სამ კვირაში გერმანულ ფეხბურთში იმდენი რამ მოხდა, რომ სალაპარაკო და მოსაყოლი ძალიან ბევრი იყო. შესაბამისად, გასაანალიზებელიც ბევრი დაგროვდა. და ვისთვის უნდა ეთხოვათ ჩვენს გერმანელ კოლეგებს ყველაფრის გაანალიზება, თუ არა ოლივერ კანისთვის? გთავაზობთ ძალიან საინტერესო ინტერვიუს „ტიტანთან", რომელიც „ბილდში" გამოქვეყნდა.**


ოლივერ კანი

**- ჰერ კან, რას იტყვით იმ სამწუხარო საგიჟეთის შესახებ, რაც ბუნდესლიგაში ხდება?**

- ზოგიერთი კლუბის გადაწყვეტილება ძალიან არასერიოზულია. სამწუხაროდ, ხელმძღვანელები მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ და უკონცეფციოდ, შორს გათვლილი სტრატეგიის გარეშე მოქმედებენ.

**- კონკრეტულად რომელ კლუბებზე ამბობთ ამას?**

- პირველ რიგში „შალკეს", „ჰამბურგს" და „ვოლფსბურგს" ვგულისხმობ. ამ კლუბების შეფების საქციელი არასერიოზულია.

**- როგორც ჩანს, „შალკეს" შეფებს ბევრ რამეში ადანაშაულებთ...**

- ჰო, გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელებმა ფელიქს მაგათს ზედმეტად დიდი ძალაუფლება მისცეს, რაც ზოგადად, ცუდი საქციელი არ არის, მაგრამ მათ ეს ემოციურ ფონზე გააკეთეს და იმდენი ვერ გათვალეს, რომ თუ ასე მოიქცნენ, მაგათს ბოლომდე უნდა მინდობოდნენ. თუ მწვრთნელს ასეთ ძალაუფლებას აძლევ და თან არ ენდობი, მაშინ ზუსტად ისე დაგემართება, როგორც „შალკეს" დაემართა. ძალიან არ მომეწონა ისიც, რომ „შალკეს" ახალმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა წინამორბედი მაგათი გააკრიტიკა. ეს არ არის კარგი საქციელი.

**- იოახიმ ლიოვმა გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ბუნდესმწვრთნელის პოსტზე 2014 წლამდე იმუშავებს. როგორ ფიქრობთ, იოგი ტიტულს მოგვაგებინებს?**

- არ მომწონს ის, რომ დაბრმავების გზას ვადგავართ. ბუნდესლიგა მართლაც წარმატებული პროდუქტია. გერმანიის ჩემპიონატის მატჩებს ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება, გვაქვს ევროპაში საუკეთესო სტადიონები და მალე ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილსაც დავიბრუნებთ, მაგრამ ჩვენ, გერმანელები ნამდვილად არ ვართ ფეხბურთში ყველაზე წარმატებულები. ესპანელები და ინგლისელები ფეხბურთის თამაშის ხარისხით ჯერ კიდევ გვჯობნიან. დიდი ხანია, გერმანულ კლუბს ევროტურნირი არ მოუგია. იგივე უნდა ვთქვათ გერმანიის ნაკრებზეც, მაგრამ თუ საკლუბო დონეზე ტიტულებს ვერ მოვიგებთ, წარმატების მიღწევა სანაკრებო დონეზეც გაგვიჭირდება.

**- ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 66 წლის იუპ ჰაინკესი „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდება. მოგწონთ მიუნხენური კლუბის შეფების არჩევანი?**

- ჰაინკესი „ბაიერნს" ძალიან კარგად იცნობს და თუ გახსოვთ, რეკორდმაისტერი კლინსმანის გათავისუფლების შემდეგაც წარმატებით ჩაიბარა. შესაბამისად, „ბაიერნის" ბოსების გადაწყვეტილებას შეცდომას ნამდვილად ვერ ვუწოდებ. აი, სამომავლო პერსპექტივის სახით კი ჰაინკესის დანიშვნას ეჭვის თვალით ვუყურებ.

**- „ბაიერნში" მას უმძიმესი სტრესი ელის...**

- ზოგი ცხოვრებას 66 წლის ასაკში იწყებს. ჰაინკესმა იცის, რა ელის მიუნხენში და თუ თანახმაა, რატომაც არ უნდა მივცეთ კიდევ ერთი შანსი?

**- როგორ ფიქრობთ, რის გამო ჩაფლავდა მიუნხენელთა ხანგრძლივი გეგმა ლუის ვან გაალთან დაკავშირებით?**

- ერთი შეხედვით, ვან გაალს, როგორც მწვრთნელს, აქვს ყველაფერი, რაც „ბაიერნს" სჭირდებოდა. მისი საფეხბურთო ფილოსოფია რეკორდმაისტერს ზუსტად ესადაგება და ვან გაალის სტრატეგიით მოთამაშე „ბაიერნის" ყურება საკმაოდ დიდი სიამოვნებაა...

**- მაგრამ?**

- ჩემი აზრით, ლუისი იმიტომ ჩაფლავდა, რომ ყურადღება არ მიაქცია ყველაზე მთავარს: ტიტულების მოგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სტაბილური დაცვა გყავს. „ბაიერნის" მცველები ამ სეზონში იმდენად ბევრ ინდივიდუალურ შეცდომას უშვებენ, რომ დიდი ხანია, სათვალავი ამერია. ვან გაალს დაცვის ხაზი აუცილებლად უნდა გაეძლიერებინა - იანვარში მაინც.

**- რატომ აეწეწა ლუისს ურთიერთობა ული ჰიონესთან?**

- იცით, ჰიონესი როგორი კაცია? თუ დაინახავს, რომ მწვრთნელი „ბაიერნისთვის" ყველაფერს აკეთებს, მისი გულისთვის ცეცხლში გაივლის!

**- მარკ ვან ბომელის წასვლის შემდეგ „ბაიერნმა" ლიდერი უნდა იყიდოს?**

- ასეთი პროფილის მქონე ფეხბურთელის არათუ ყიდვა, პოვნაც კი ძნელია. რეკორდმაისტერის ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ხანდახან ზედმეტად კეთილები არიან ხოლმე. ჩემი აზრით, ვან ბომელის, ტერის ან გატუზოს დარი ტიპები ყველა გუნდს სჭირდება.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ ვან ბომელის წასვლამ შვაინშტაიგერი დაასუსტა.**

- მოსალოდნელიც იყო, რომ შვაინშტაიგერს ახლებურად მოუწევდა ორიენტირება და მარკის გარეშე თამაშის შესაჩვევად დრო დასჭირდებოდა. „ბაიერნის" მწვრთნელსა და ხელმძღვანელებს ეს აუცილებლად უნდა გაეთვალათ. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ჰიონესს და რუმენიგეს ძალიან გაუჭირდათ ლუისის რალაც-რალაცებში დარწმუნება. როცა მწვრთნელსა და ბოსებს შორის კომუნიკაცია ოპტიმალურად არ ფუნქციონირებს, ერთხელაც ყველაფერი პრობლემური ხდება და მიუნხენურ გრანდშიც სწორედ ასე მოხდა.

**- ალბათ თქვენც ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ „ბაიერნმა" დაცვა უნდა გააძლიეროს...**

- იცით, მე ყველაფერს მცველებს არ დავაბრალებდი. ბურთის დაკარგვის შემდეგ, ხანდახან წინა ხაზის ფეხბურთელებიც ისე იქცევიან ხოლმე, რომ ასეთ დროს მედგრად დადგომა მსოფლიოში საუკეთესო დაცვასაც კი გაუჭირდება. ფაქტი ისაა, რომ ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ოპტიმისტურად განწყობისა და იმაზე ოცნების მიზეზს, რომ „ბაიერნი" გაისად ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს - ფინალში, რომელიც მიუნხენში უნდა გაიმართოს.

**- არიენ რობენმა თქვა, თუ მესამე ადგილს ვერ დავიკავებთ და ჩემპიონთა ლიგაში ვერ გავალთ, „ბაიერნიდან" წავალო...**

- რობენი ასე ფიქრობს, სხვა სხვანაირად იფიქრებს. ევროპის ლიგაში თამაში კატასტროფა ნამდვილად არ არის. მე უეფას თასზე ვითამაშე და ხომ ხედავთ, დღესაც ცოცხალი ვარ. რობენს უნდა ახსოვდეს: „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური რომ ვერ მოიპოვოს, ეს მისი ბრალიც იქნება.

**- თომას კრაფტზე რა აზრის ხართ?**

- ძალიან ნიჭიერი მეკარეა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მიუნხენელები ზაფხულში მაინც შეეცდებიან ახალი კიპერის ყიდვას. მიხაელ რენზინგის შემთხვევაშიც ასე მოიქცნენ და ახლაც ასე მოიქცევიან.

**- როგორ ფიქრობთ, მანუელ ნოიერის ტრანსფერი ჩაშლილია?**

- არა მგონია. მე მაინც მგონია, რომ ნოიერი „ბაიერნში" გადავა.

**- მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენური პუბლიკა ვერ იტანს?**

- არა უშავს, მალე შეუყვარდებათ...

**- იენს ლემანი ფეხბურთში დაბრუნდა... თქვენი კომენტარი.**

- იენსის კარგად მესმის - ფეხბურთი მონატრა და „არსენალის" წინადადებაზე უარი არ თქვა. ვფიქრობ, ის მართლაც დაეხმარება ლონდონურ კლუბს, მაგრამ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ინგლისურ სამეკარეო სკოლას კიდევ დიდხანს არაფერი ეშველება.

● გერმანიის ნაკრები

# პერი და ვინ?

## ბუნდესგუნდის დაცვის ცენტრში დიდი კითხვის ნიშანია

**მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას, ბრემენის „ვერდერის" 26 წლის მცველი პერ მერტეზაკერი გერმანიის ნაკრებში მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი „მერტეს" ყველაზე მეტად და ყველაზე ხშირად ენდობა. აი, მისი იდეალური მეწყვილე კი ჯერჯერობით ვერ იპოვა.**

განტერესებთ, რა საერთო აქვთ **იოახიმ ლიოვს და ლუის ვან გაალს?** დაცვის ხაზის ოთხეულს ორივე ძალიან ხშირად ცვლის. მიუნხენის „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ამ სეზონში დაცვაში უკვე 18 სხვადასხვა ვარიანტი მოსინჯა, გერმანიის ნაკრების თავკაცმა კი, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ, 35 მატჩში დაცვის ხაზი 24-ჯერ შეცვალა. თუ 35-ივე ვარიანტს გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ იოგის ყველაზე მეტად დაცვის მარცხენა ფლანგზე და ცენტრში უჭირს. ამ შემთხვევაში კი თქვენი ყურადღების გამახვილება სწორედ ცენტრალურ მცველებზე გვსურს. ლიოვი აღიარებს, რომ უკანა ხაზის ცენტრში იდეალურ ტანდემს ჯერ ვერ მიაგნო და კვლავ ძიებაშია.

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ ლიოვმა **კრისტოფ მეტცელდერი** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო, რაც ბევრს არ გაჰკვირვებია - მიუხედავად იმისა, რომ ასაკში ჯერ არ იყო, მეტცე ველარ თამაშობდა ისე, როგორც კარიერის საუკეთესო წლებში. შესაბამისად, იოგიმ მეორე ძირითადი მცველისთვის, პერ მერტეზაკერისთვის ახალი მეწყვილის ძებნა დაიწყო. მას მერე მერტეზაკერის მხარდამხარ ოთხმა სხვადასხვა ცენტრალურმა მცველმა ითამაშა, ბუნდესგუნდის სასტარტოში თავის დამკვიდრება კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატამდე ლიოვმა მერტეზაკერს მხარში რამდენჯერმე ამოუყენა **ჰაიკო ვესტერმანი** და **სერდარ ტასკი**, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. დღესაც, ბუნდესნაკრების განაცხადში არც ერთი მათგანი არაა შეყვანილი. მათ ნაცვლად, ლიოვი მუნდიალზე გამოცდილ **არნე ფრიდრიხს** ენდო - მიუხედავად იმისა, რომ იმ სეზონში ფრიდრიხის კლუბი ბერლინის „ჰერტა" მეორე ბუნდესლიგაში გავარდა და ყველაზე მეტი გოლი გაუშვა. უნდა ითქვას, რომ მერტეზაკერისა და ფრიდრიხის წყვილმა გაამართლა. მაგრამ მუნდიალის შემდეგ არნემ ტრავმა მიიღო და ხანგრძლივი პაუზა გამოიწერა, რის გამოც, ლიოვი იძულებული გახდა, დაცვის ცენტრი ისევ დაეშალა და მერე მერტეზაკერს გვერდით ახალგაზრდა **ჰოლგერ ბადშტუბერი** ამოუყენა, მაგრამ ეს უკანასკნელიც არასტაბილური ფეხბურთელია.

ფრიდრიხი კი დაბრუნდა, მაგრამ არ არის საუკეთესო ფორმაში, რის გამოც ლიოვმა არ იცის, როგორ გამოიყურება დღეისათვის გერმანიის ნაკრების დაცვის იდეალური ცენტრი. ერთი რამ ცხადია: მერტეზაკერს საფრთხე არ ემუქრება. „ვერდერის" მცველი ძირითადი შემადგენლობის განუყოფელი წევრია და შაბათს, ყაზახეთის ნაკრების წინააღმდეგ ბუნდესგუნდის ფორმას 75-ედ მოირგებს. მიუხედავად იმისა, რომ პერი ბუნდესლიგაში ძალიან არასტაბილურად გამოიყურება, ბოლო დროს კი აშკარად ცუდ ფორმაშია („კიკერის" საშუალო შეფასება 3.63 ბალი), იოგი მერტეს სასტარტოდან არ ამოაგდებს. აღსანიშნავია, რომ ლიოვისთვის ხშირად არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ თამაშობს ესა თუ ის ფეხბურთელი კლუბში - ამაში დასარწმუნებლად, **ლუკას პოდოლსკისა** და **მიროსლავ კლოზეს** არაერთი მაგალითის მოყვანაც კმარა. იოგი ამბობს, მერტეზაკერი გერმანიის ნაკრებში ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგას და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არისო.

### ახალი ერა ჰუმელსთან ერთად?

მოკლედ, ვინ უნდა ითამაშოს მერტეზაკერის მხარდამხარ? ვინ, ვინ და იოგიმ ყველაზე უკეთ უწყის ის, რომ პერი მხოლოდ მაშინ დგას ხოლმე მოწოდების სიმაღლეზე, როცა მის გვერდით კარგ ფორმაში მყოფი მეორე ცენტრალური მცველი თამაშობს. ასეა „ვერდერში" (მას მერე, რაც **ნალდო** დაშავებულია, მერტეზაკერმაც აურია) და ასე იყო გერმანიის ნაკრებშიც 2006 წლის მუნდიალზე (როცა მეტცელდერი შეცდომებს უშვებდა, პერიც იჭრებოდა ხოლმე).


მერტეზაკერის მეწყვილე, შესაძლოა, მატს ჰუმელსი გახდეს

ბრემენში „გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს", რადგან ნალდო კიდევ დიდხანს ვერ გამოჯანმრთელდება, აი, ბუნდესგუნდში კი შეიძლება, ყველაფერი გამოსწორდეს და შაბათიდან ახალი ერა დაიწყოს. რაკი ფრიდრიხი და ბადშტუბერი ცუდ ფორმაში არიან, დიდი შანსია, რომ ლიოვმა დაცვის ცენტრში, მერტესთან ერთად, დორტმუნდის „ბორუსიას" ახალგაზრდა მცველი, გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **მატს ჰუმელსი** გაამწესოს. ეს უკანასკნელი შესანიშნავ ფორმაშია. თუ იოგი ათამაშებს, ბუნდესგუნდის მაისურით პირველად იასპარეზებს ოფიციალურ მატჩში. ჰუმელსს გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში აქამდე მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს ჩატარებული და ისიც ოთხი თვის წინ, შვედეთში გამართულ ამხანაგურ თამაშში (0:0). ამას ემატება ორჯერ შეცვლაზე თამაში მალტასთან და იტალიასთან. „სკუადრა აძურასთან" ჰუმელსმა ბოლო 26 წუთი ითამაშა და სხვათა შორის, ბუნდესგუნდმა სწორედ იმ დროს გაუშვა გოლი (1:1), მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანი ასპექტია...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● ჰოლანდიის ნაკრები




ბერტ ვან მარვიიკს პრობლემები მიეძალა

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა **ბერტ ვან მარვიიკმა** უნგრეთთან დანიშნულ მატჩებამდე (ამ გუნდებს რამდენიმე დღეში ორი დაპირისპირება ელით) სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტთა შეკითხვებს გულწრფელად უპასუხა. გთავაზობთ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს მისი გამოსვლიდან: *„თუკი ჯგუფში ნაკრებებს შორის ძალთა ბალანსს გავითვალისწინებთ, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ უნგრულებთან დაპირისპირებებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ჯგუფის გამარჯვებულის გამოსავლენად. ჩემი აზრით, უნგრეთი ძალიან სერიოზული გუნდია. ნუ შეგაცდენთ ჩვენი ბოლო დაპირისპირების ანგარიში (6:1 ჰოლანდიის სასარგებლოდ, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. რედ.), რადგან ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყო. ამასთან, იმ გუნდიდან ჩვენს მეტოქეებს ბევრი აღარავინ ჰყავთ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება პირველი დაპირისპირება გასვლაზე. მათთვის ეს დიდი შანსია“.* შეგახსენებთ, რომ ვან მარვიიკს სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა. ჰოლანდიას **მაარტენ სტეკელენბურგის, არიენ რობენის, კლაას იან ჰუნტელაარის, ჰედვიგეს მადუროსა** და **თეო იანსენის** გარეშე მოუწევს ასპარეზობა. ამას გარდა, ბუდაპეშტში ნამდვილად ვერ ითამაშებს **მარკ ვან ბომელიც**. ამის მიუხედავად, მწვრთნელი იმედიანად არის განწყობილი. *„ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ ერთბაშად ამდენი ფეხბურთელი დამკლებოდეს. მერე რა? წარუმატებლობის შემთხვევაში ეს ჩვენს გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება, რადგან გვყავს ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ ტრავმირებულთა შეცვლა. ბუნებრივია, დანაკლისის გამო ჩვენ ჩვენს სტილზე უარს ვერ ვიტყვით“* - თქვა ვან მარვიიკმა.

რახან ლაპარაკი ჰოლანდიურ ფეხბურთზე ჩამოვარდა, შეუძლებელია ორიოდე სიტყვით **ედვინ ვან დერ სარის** პერსონასაც არ შევეხოთ. მით უფრო, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი მას მერე, რაც ჰოლანდიურმა პრესამ მისი „აიაქსში“ სავარაუდო დაბრუნებაზე წერა დაიწყო, ღიად ალაპარაკდა სამომავლო გეგმებზე. გვგონია, რომ გულშემატკივრებისთვის ეს არ უნდა იყოს უინტერესო ინფორმაცია. მაშ ასე, ვან დერ სარის ნალაპარაკებს მონოლოგის სახით გთავაზობთ: *„იმუშაო ფრანკ დე ბურის, დანი ბლინდისა და დენის ბერგკამპის გვერდით, რა თქმა უნდა, მომხიბლავი პერსპექტივაა, თუმცა მე არ ვაპირებ ამსტერდამში დაბრუნებას... ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. როცა „აიაქსს“ ვტოვებდი, მაშინ პირობა დავდე, რომ ოდესმე აუცილებლად დავუბრუნდებოდი ამ კლუბს, თუმცა მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ასაკში, ახლა მე რომ ვარ, მსოფლიოს უდიდეს კლუბში ვითამაშებდი. მივდივარ ფეხბურთიდან, თუმცა საფეხბურთო სამყაროსთან გამოთხოვებას არ ვაპირებ. რა მინდა სამომავლოდ? ამჟამად ვფიქრობ, რომ ჩემთვის საინტერესო გამოცდილება იქნებოდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ კომერციული წარმომადგენელი გავმხდარიყავი აზიაში, იმ რეგიონში, სადაც ეს კლუბი ძალზე პოპულარულია“.*

**ლევან ბიბილაშვილი**

● ვარსკვლავი და ცოტა პოლიტიკა

# რაი: სისულელე ჩავიდინე

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა **რაი სოუზა ვიეირა დე ოლივია** ანუ უბრალოდ რაიმ, საკუთარ ვებგვერდზე რამდენიმე დღის წინ გროზნოში ვიზიტის დეტალებზე დაწერა და საკუთარ გადაწყვეტილებას დიდი სისულელე უწოდა. შეგახსენებთ, რომ ის და სხვა ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელები ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **რამზან კადიროვმა** დაპატიჟა. აი, რას წერს რაი საკუთარ საიტზე:

- მე დავესწარი ღონისძიებას, რომელიც აშკარად პოლიტიკურ-პოპულისტურ ხასიათს ატარებდა. წარმოდგენა არ მქონდა იმ განზრახვაზე რასაც ჩვენი ვიზიტი ისახავდა. სიმართლე გითხრათ, ჩემი გადაწყვეტილება ფინანსური მოტივებით არ იყო ნაკარნახები, რადგან ამ ვიზიტს ჩემი ფინანსური მდგომარეობა ნამდვილად არ შეუცვლია. გეტყვით, რომ ზუსტად ამდენს მიხდიან სან-პაულუს უნივერსიტეტში ორსაათიანი ლექციისთვის. მეტსაც გეტყვით, ეს ნაკლებია იმ თანხაზე, რასაც ადამიანის უფლებათა პროექტებში მონაწილეობისთვის ვიღებ.

ვიზიტამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე გავიგე, რომ ამხანაგური შეხვედრა ჩეჩნეთში უნდა გამართულიყო. ეს ცოტა უცნაური იყო, რადგან მშვენივრად ვიცი, რა სისხლის მღვრელი ომი მიდიოდა ჩეჩნებსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის. ჩვენ დაგვამშვიდეს და გვითხრეს, რომ ბოლო ხანს სიტუაცია შეუდარებლად მშვიდი იყო. გროზნოში ჩავედით თუ არა, წაგვიყვანეს თეატრის რეკონსტრუირებულ შენობაში. შეგვხვდნენ ეროვნული ცეკვებითა და მუსიკით. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ახლოს მიგვიშვეს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ხალხი ნელ-ნელა ცდილობს ცხოვრების ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს. თუმცა ქუჩაში მაინც იგრძნობა უცნაური დაძაბულობა. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით იმ ადამიანების გრანდიოზულ პლაკატებს, რომლებიც რესპუბლიკას მართავენ. უცნაური კიდევ ის არის, რომ ქუჩაში ძალიან ცოტა ხალხი დადის. მხოლოდ გვიან გავიგე, რომ ომის დროს ქალაქის 98% მიწასთან ყოფილა გასწორებული. წარმოიდგინეთ ადამიანები, რომლებიც დღემდე იმ კოშმარული მოგონებებით ცხოვრობენ. არცთუ ყურმოკვრით გამიგია, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ჩეჩნეთის ხელმძღვანელობას ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის სერიოზულ პრეტენზიებს უყენებენ. იქ ნანახიდან ბევრმა რამემ გამაოცა, თუმცა ძნელია ასე ერთი თვალის შევლებით სერიოზულად მსჯელობა იქაურ სიტუაციაზე. მხოლოდ თამაშის დასრულების შემდეგ გავიაზრე, თუ რამხელა რისკზე წავედი და გამიჩნდა სურვილი, ყველას და ყველაფერს დავმალვოდი, მათ შორის - საკუთარ თავსაც.

ჯერ კიდევ თამაშამდე გვთხოვეს, რომ ნახევარი ძალით გვეთამაშა. შეხვედრას ნახევრად კომიკური ხასიათი ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს მეტოქეს გუნდში გულიტი და მათეუსი ჰყავდა, ისინი ჩვენთან თანაბრად თამაშს ვერ შეძლებდნენ. ამას ძალიან მარტივი მიზეზი ჰქონდა, მეტოქის შემადგენლობაში რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდა ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი გამოდიოდა, რომლებსაც ფეხბურთი მოყვარულის დონეზე თუ ექნებოდათ ნათამაშები. ალალად ვამბობ, გროზნოში ფეხბურთის სათამაშოდ წასვლა სისულელე იყო. ჩემი ამ ნაბიჯიდან ორი დასკვნა გამოვიტანე, პირველი - რუსეთში და კერძოდ ჩეჩნეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს დიდი ყურადღებით უნდა მივადევნო თვალი და რაც მთავარია, ამიერიდან ბევრად უფრო მეტად უნდა დავფიქრდე, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ. თუმცა ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია: ეს დიდი გამოცდილება იყო ჩემს ცხოვრებაში.

**ლევან ბიბილაშვილი**



ბრაზილიელი ვარსკვლავები გროზნოს ქუჩებში, დენილსონი (მარცხნივ) და რაი

● ევრო 2012

# ვისენტე დელ ბოსკე: ფრთხილად, ჩეხეთია!

## ფურია როხა უარყოფითის გამოსასწორებლად

დღეს ესპანეთის ნაკრები ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩში ჩეხეთს მასპინძლობს. მსოფლიოს ჩემპიონებს, რომლებიც სამი თამაშიდან 9 ქულით ლიდერობენ, I საკვალიფიკაციო ჯგუფს, მეტოქედ ყველაზე სერიოზული მეტოქე ჰყავს. ამასვე ამბობს მსოფლიოს ჩემპიონთა თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე**.

*„ჩეხეთის ნაკრები ჩვენი უმთავრესი კონკურენტია ჯგუფში. ამ გუნდს გამოარჩევს კარგი ტექნიკური და ფიზიკური მზადყოფნა. განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვა მათ შესაშურ ფიზიკურ კონდიციებს. ბოლო წლებში ჩეხეთის ნაკრები ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ჩვენი მთავარი გასაჭირი ისაა, რომ ფეხბურთელები ძალიან დატვირთულნი არიან, როგორც საშინაო საკლუბო ტურნირებში, ასევე ევროთასებზე. მათ სეზონში ძალიან ბევრი თამაშის გამართვა უწევთ. არადა, ადამიანთა რესურსები ამოწურვადია. პარასკევს მატჩზე მობილიზებული უნდა გავიდეთ, სხვანაირად ძალიან გაგვიჭირდება“*, - განაცხადა მან. მართალია, „ფურია როხამ“ სამივე საკვალიფიკაციო მატჩი მოიგო, მაგრამ მუნდიალის შემდეგ მაღალი რეპუტაცია არგენტინისა და პორტუგალიის ნაკრებებთან ამხანაგურ მატჩებში განადგურებებით მცირედით შეირყია.

ამ ნაკრებების ურთიერთობა (თუკი ჩეხეთ-სლოვაკეთის დროინდელ გუნდსაც ჩავთვლით) საკმაოდ ტრადიციულია. ესპანეთი ჩეხეთს (ან ჩეხეთ-სლოვაკეთს) სულ 13-ჯერ შეხვდა. „ფურია როხას“ უარყოფითი ბალანსი აქვს - ხუთი მოიგო, მაგრამ 7 წააგო (1 ფრე). სამაგიეროდ, საშინაო მატჩებში ესპანელებმა ხუთიდან ოთხი დაპირისპირება მოიგეს.

მას შემდეგ, რაც ესპანეთის ნაკრები მუნდიალზე შვეიცარიასთან 0:1 დამარცხდა, გუნდმა ოფიციალურ მატჩებში ზედიზედ 9 შეხვედრა მოიგო (სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს შესწვდა).

ეს თამაში მნიშვნელოვანია **დავიდ ვილიასთვის**. თუკი „ბარსელონას“ ფორვარდი გოლს გაიტანს, ეს მისი 45-ე გოლი იქნება ნაკრების მაისურით და ის „ფურია როხას“ ისტორიაში ერთპიროვნული ბომბარდირი გახდება. ახლა კი „ელ გუახე“ ამ ტიტულს „რეალის“ ლეგენდა **რაულ გონსალეს ბლანკოს** უყოფს, რომელიც „შალკეში“ თამაშობს და საერთაშორისო კარიერა დასრულებული აქვს.

დელ ბოსკემ ძირითადად ლა ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებით დააკომპლექტა გუნდი. ნაკრებში სულ სამი ლეგიონერია, სამივე ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშობს: **პეპე რეინა** (ლივერპული), **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი) და **დავიდ სილვა** (მანჩესტერ სიტი).

თამაში „ესტადიო ნუევო ლოს კარმენესზე“ ჩატარდება, რომლის გახსნის მატჩზე „რეალი“ ამხანაგურად გაეჯიბრა „ლევერკუზენს“. ამ სტადიონზე პირველი გოლი **პეტერ დუბოვსკიმ** გაიტანა, რომელიც ჩეხია.

ბოლოს, და ერთადერთხელ, ჩეხებმა ესპანეთში 1988 წელს მოიგეს, მაშინ მალაგაში ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრებმა 2:1 იმარჯვა. 1990 წლის მერე ჩეხებს ესპანელებისთვის არ მოუგიათ.

ჩეხთა ნაკრებში ერთი ფეხბურთელიც არ თამაშობს ლა ლიგაში. პრიმერაში თამაშის გამოცდილება მხოლოდ **იაროსლავ პლაშილს** აქვს, რომელიც ახლა „ბორდოში“ თამაშობს, მანამდე „ოსასუნაში“ თამაშობდა.

ბოლოს ეს გუნდები 1997 წელს შეხვდნენ ერთმანეთს - ვალიადოლიდში **ხავიერ კლემენტეს** გაწვრთნილმა ესპანეთმა 1:0 მოუგო ჩეხეთს. ერთადერთი გოლი **ფერნანდო იერომ** პირველი ტაიმის მიწურულს პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

**ესპანეთი-ჩეხეთი**

**ესპანეთი** (სავარაუდო): *კასილიასი - სერხიო რამოსი, პიკე, ალბიოლი, კაპდევილა - ჩავი, ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა, ვილია, ინიესტა.*

**ჩეხეთი** (სავარაუდო): *ჩეხი - პოსპეხი, ჰუბნიკი, ჰუბშმანი, მ. კადლეცი - პლაშილი, პოლაკი, როსიცკი, პუდილი - ნეციდი, ვ. კადლეცი.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● უელსი

# რემსი, ახალი კაპიტანი



აარონ რემსი

უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გარი სპიდმა** ინგლისთან შეხვედრაში ნაკრების ახალ კაპიტნად 20 წლის **აარონ რემსი** დაასახელა. ალბათ გახსოვთ, რომ ამ უკანასკნელს 2010 წლის 27 თებერვალს „სტოკ სიტი“-“არსენალის“ მატჩში ფეხის ღია მოტეხილობა მიაყენეს. რემსის მას მერე ნაკრებში აღარ უთამაშია. თავის დროზე ის ერთ-ერთ ყველაზე იმედის მომცემ ფეხბურთელად მიიჩნეოდა და სიმართლე ითქვას, არც ახლაა გვიან მისგან დიდი ფეხბურთელის გამოთლა. *„აარონი კაპიტანი იქნება. ამ საკითხზე ძალიან ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ გათვლა ხანგრძლივ დროზე უნდა გამეკეთებინა. საამისოდ 2-3 კანდიდატურა მყავდა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი რემსიზე შევაჩერე. მე მას უკვე ველაპარაკე და მისი ახალი უფლება-მოვალეობები გავაცანი. მოხარული ვარ, რომ მან ღირსეულად მიიღო ახალი გამოწვევა. გარწმუნებთ, ეს გადაწყვეტილება ნაკრების სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე მივიღე,“* - განუცხადა სპიდმა „ასოშიეიტედ პრესს“.

**ლევან ბიბილაშვილი**

● მწვრთნელი

# პირსი ახალგაზრდულში მუშაობას გააგრძელებს

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სტიუარტ პირსი** ბედნიერია. მას ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მოქმედი კონტრაქტის 2 წლით გახანგრძლივება შესთავაზა. სტიუარტს მოქმედი კონტრაქტი ამ ზაფხულზე ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ეწურება. 48 წლის მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ის სიამოვნებით დაჯდება მოლაპარაკებათა მაგიდასთან, რადგან თავისი სამუშაოთი ძალზე კმაყოფილია და საფეხბურთო ასოციაციის მიერ მისთვის შეთავაზებული პირობებიც მთლიანად აკმაყოფილებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა

# ლოკაუტი

## ლა ლიგაში ტური ჩაიშალა

### უმრავლესობა მომხრეა, მაგრამ სხვები ჩივიან

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი, 30-ე ტური მოგვიანებით გაიმართება და არა 2-3 აპრილს, რადგან ვერაფრით დასრულდა დისპუტი კლუბებს, ლიგასა და ესპანეთის მთავრობას შორის სატელევიზიო კონტრაქტებიდან შემოსული თანხების გადანაწილებაზე. ამის შესახებ საზოგადოებას ესპანეთის პროფესიული ლიგის წარმომადგენლებმა (LFP) განუცხადეს.

30-ე ტური ივნისში გაიმართება, რის გამოც ესპანეთში საფეხბურთო სეზონი უსაშველოდ გაიწელება. *„LFP-ს ბოლო გენერალურ ასამბლეაზე, 11 თებერვალს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თუ არაფერი შეიცვლებოდა, ჩემპიონატის 30-ე ტური გადაიდებოდა. lfp-მ ეს გადაწყვეტილება დღეს ძალაში შეიყვანა, რადგან ჩვენს ორგანიზაციასა და ესპანეთის სპორტის საბჭოს შორის მოლაპარაკებებმა შედეგი საერთოდ ვერ გამოიღო. ეს რაუნდი მხოლოდ მაშინ ჩატარდება, როცა მხარეები დიალოგში რაიმე ხელშესახებ პროგრესს მივაღწევთ“*, - განაცხადა LFP-ის წარმომადგენელმა მედიასთან საუბარში.

ლიგასა და სახელმწიფოს შორის დავის საგანი ცალკე თემაა, დღევანდელი კანონით ტურის ერთ-ერთი თამაში აუცილებლად უნდა გადაიცეს არაკომერციული ტელევიზიით, რომლის ყურება ქვეყანაში ყველას უნდა შეეძლოს. შესაბამისად, ლიგა და კლუბები ამ თამაშის შემოსავლის ნაწილს (სატელევიზიო ტრანსლაციის უფლებაში სახელმწიფო არაფერს იხდის) კარგავს. ცალკე საკითხია, და უფრო მნვავეც, სატელევიზიო ტრანსლაციებიდან შემოსული მოგების განაწილება კლუბებს შორის, რომელიც მართლა ძალიან უსამართლოა - შემოსავლის უდიდეს ნაწილს „რეალი“ და „ბარსელონა“ ილებენ, როცა სხვებს ძალიან ცოტა ხვდებათ. ამას ლიგაში იმით ხსნიან, რომ მაყურებელთა უდიდესი ნაწილის დაინტერესება სწორედ ამ გუნდების თამაშების ტრანსლაციაშია. კლუბები კი ამ ორ გრანდს აუჯანყდნენ და ითხოვენ ძველი ხელშეკრულების გადახედვას. მოკლედ, ლა ლიგაში დიდი აურზაურია.

LFP-ს გადაწყვეტილება, 30-ე ტურის თამაშები მოგვიანებით გაიმართოს, პრიმერას 20 გუნდიდან 13-მა მოიწონა. მათ შორის არიან „რეალი“ და „ბარსელონა“. 7 გუნდი კი არა მარტო წინააღმდეგია, არამედ გუშინ მათ მადრიდის სასამართლოში გააპროტესტეს LFP-ის გადაწყვეტილება და ტურის დათქმულ ვადებში ჩატარებას მოითხოვენ. მოჯანყე კლუბები, რომლებიც ტურის ჩატარებას ითხოვენ, არიან: „სევილია“, „ვილიარეალი“, „ბილბაო“, „რეალ სოსიედადი“, „ესპანიოლი“, „სპორტინგი“ და „სარაგოსა“. მაგრამ LFP-ს წარმომადგენელმა მედიას განუცხადა, რომ ორგანიზაცია ამ გადაწყვეტილებას აღარ შეცვლის.

*„ჩვენც გვურს, რომ პრიმერას ყველა თამაში ფასიანი საკაბელო არხებით გადაიცემოდეს, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ ასეთი ძალდატანებითი მეთოდების“*, - განაცხადა „ვილიარეალის“ პრეზიდენტმა **ფერნანდო როიგმა**, რომელმაც საზოგადოებას აუწყა ის თარიღიც, როცა LFP 30-ე ტურის ჩატარებას აპირებს - 12 ივნისი! არადა, იმ დროისთვის ესპანეთის ჩემპიონატი სამი კვირის დასრულებული უნდა იყოს.

როიგს მხარს უბამს მთავრობის წარმომადგენელი, სპორტის დეპარტამენტის გენერალური მდივანი **ხაიმე ლისავეცკიც**: *„ჩვენ ლიგის წარმომადგენლებთან დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა მოლაპარაკება და, გვერწმუნეთ, ჩვენი მხრიდან ბევრი დავთმეთ. ყველაზე მეტად ეს გადაწყვეტილება უბრალო გულშემატკივრებს დააზარალებს, რომლებიც ასე ელიან მორიგ ტურს პრიმერაში. დაზარალდებიან ფეხბურთელებიც, რომელთა დასვენებაზე არავინ ზრუნავს, ტურის გადადება ხომ სეზონს 20 დღით გაახანგრძლივებს. მათ ისედაც მცირე დრო აქვთ დასასვენებლად. ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ ლიგის წარმომადგენლებში ჯანსაღი აზრი იმძლავრებს და ტური ჩვეულებრივად, 2-3 აპრილს ჩატარდება“*, - განაცხადა მთავრობის წარმომადგენელმა.

„სევილიას“ პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდოც** წინააღმდეგია LFP-ის გადაწყვეტილების: *„სამარცხვინოა, რომ ესპანეთში ყველაზე უსამართლო სისტემა მოქმედებს, როცა საქმე შემოსავლის განაწილებას ეხება. მაგრამ ახლა არ იყო ამის დრო, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც ისევ და ისევ მათ დააზარალებს, ვის თავზეც გადადის LFP-ს ყველა უსამართლო გადაწყვეტილება: კლუბებსა და მაყურებლებს“*.

ხიხონის „სპორტინგის“ მთავარი მწვრთნელი **მანუელ პრესიადო** კი დაჟინებით ითხოვს, რომ შაბათს, 2 აპრილს „რეალთან“ დაგეგმილი მატჩი აუცილებლად შედგეს. მოგეხსენებათ, ასტურიელთა თავკაცი დასანახავად ვერ იტანს „რეალის“ მთავარ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს**, რომელმაც მას „ბარსელონასთან“ თამაშის გარიგება დააბრალა. პრესიადოს ეჩვენება, რომ „რეალმა“ მხარი იმიტომ დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ სანაკრებო პაუზის შემდეგ ფეხბურთელთა გადაღლილობისა და „სპორტინგთან“ დაპირისპირების ეშინია. თუკი გავიხსენებთ, როგორი სერიოზულობით უდგება მოურინიო კალენდრის საკითხებს, პრესიადოს ნათქვამში სიმართლის მარცვალს დავინახავთ.

დანიშვნა

# გაიტანს ჯუკიჩი პენალტს ერკულესში?

ლა ლიგის მაჩანჩალა კლუბ „ერკულესს“ ახალი თავკაცი ჰყავს - ესპანური მედია პროგნოზებში მწარედ შეცდა - **ესტებან ვიგოს** სავარძელი არგენტინელ **მარსელო ბიელსას** არ ჩაუბარებია - ალიკანტეური კლუბის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე სერბი **მიროსლავ ჯუკიჩი** გაწვრთნის.

ესტებან ვიგო ლა ლიგაში ერთადერთი კაცია, რომელმაც ამ სეზონში „ბარსელონას“ დამარცხება მოახერხა, მაგრამ მან მაინც ვერ შეინარჩუნა თანამდებობა, რადგან ბოლოს ვალენსიის მხარის კლუბი ძალიან ცუდად თამაშობდა და ცხრილის ფსკერზე დაეშვა.

მიროსლავ ჯუკიჩი 45 წლისაა, ის 2008 წელს სერბეთის ნაკრების თავკაცობიდან განთავისუფლეს, მას შემდეგ, რაც მისმა გაწვრთნილმა ნაკრებმა 8 თვის განმავლობაში ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო. მანამდე ის სერბეთის ახალგაზრდულ ნაკრებს და „პარტიზანს“ თავკაცობდა. ბოლოს ჯუკიჩი ბელგიაში მუშაობდა, მაგრამ 2009 წელს „მუსკრონი“, სადაც ის ირჯებოდა, ნაწილებად დაიშალა და ჯუკიჩიც უმუშევარი დარჩა. გაცილებით ცნობილია მისი საფეხბურთო კარიერა. ის საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელი იყო, თუმცა ესპანეთში ყველას უფრო იმის გამო ახსოვს, რომ 1993-94 წლების სეზონის ბოლო ტურის მატჩის მიწურულს პენალტი ვერ გაიტანა, რომელიც „დეპორტივოს“ პირველ ტიტულს მოუპოვებდა.



ამბები

## რა ღირს ალვეშის გამოსყიდვა



ბრაზილიელმა **დანი ალვეშმა** რომ 2015 წლამდე გადაწყვიტა „ბარსელონაში“ დარჩენა, უკვე გაუწყეთ, მხარეებმა ეს უკვე ოფიციალურად გააფორმეს. დანიმ და კლუბის პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** მნიშვნელოვან დოკუმენტს თავიანთი ხელმოწერები დაურთეს. ამიერიდან, ვისაც ალვეშის ყიდვა მოუნდება, „ბარსას“ 150 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ეს თანხა ყოველწლიურად 25 მილიონი ევროთი შემცირდება 2015 წლამდე კი 50 მილიონამდე დავა.

## ბალესტეროსი ლევანტეში დარჩა

„ლევანტემ“ კონტრაქტი გაუგრძელა დამსახურებულ კაპიტან **სერხიო ბალესტეროსს**. 33 წლის მცველს ხელშეკრულება ვალენსიურ კლუბთან სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა, მაგრამ ახლა კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით გაგრძელდა - ბალესტეროსი 2012 წლის ზაფხულამდე „ლევანტეს“ ეკუთვნის.

ბალესტეროსი 2008 წელს დაბრუნდა კლუბში და მას მერე „ლევანტეს“ ნამდვილ ლიდერად იქცა. მას მერე მან ჩემპიონატებში 103-ჯერ მოირგო ვალენსიური კლუბის მაისურა (სეგუნდადივიზიონში - 76, პრიმერაში - 27). პირველად ბალესტეროსი კლუბში 1994 წელს მივიდა.

## იგუაინი დაბრუნდა და თან როგორ



მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა გახარებულია - ლაზარეთიდან **გონსალო იგუაინი** ბრუნდება - არგენტინელი, რომელსაც დეკემბერში ხერხემლის მალის თიაქარი დაუდგინეს და რომელსაც ერთი თვის მერე, 11 იანვარს ოპერაცია გაუკეთეს.

კვირის დასაწყისში **ჟოზე მოურინიო** აცხადებდა, რომ გონსალო მალე დაბრუნდებოდა და აი, გუშინ მან გუნდთან ერთად სრულად ივარჯიშა და შემდეგ „რეალის“ მე-3 გუნდის წინააღმდეგ სამწვრთნელო მატჩში ითამაშა, თანაც როგორ ითამაშა! როგორც ჩანს, ოპერაციის შემდგომმა რეაბილიტაციამ წარმატებით ჩაიარა - გუშინ გონსალომ 60 წუთი ითამაშა და ტრავმის არაფერი ეტყობოდა, ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა (გოლი **ემანუელ ადებაიორმა** გაიტანა, რომელმაც ტოგოს ნაკრებში მიწვევაზე კვლავ უარი თქვა). მოკლედ, არ ვიცით, როდის ითამაშებს „რეალი“ მომავალი ტურის მატჩს, მაგრამ იმ დროისთვის გონსალო იგუაინი უკვე მწყობრში იქნება. ეს ძალზე სასიხარულო ამბავია მოურინიოსთვის, რომელსაც ტრავმის გამო ნახევარი თვით **კრიშტიანო რონალდო** დააკლდება. სხვათა შორის, პორტუგალიელი სამშობლოდან უკან დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც ის ნაკრების ექიმებმა საფუძვლიანად შეამოწმეს და დაადგინეს, რომ „რეალი“ რონალდოს ტრავმის ამბავს არ აბუქებდა.

## ლოპესი: 110

**დიეგო ლოპესმა** შესაშური რეკორდი დაამყარა - „ვილიარეალის“ გოლკიპერი „წყალქვეშა ნავის“ კარში ზედიზედ 110 თამაშია დგას. ვეტერანი გოლკიპერის პლუსი სწორედ ეს სტაბილურობაა. ბოლოს ლა ლიგის მატჩი მან 2008 წელს გააცდინა.

*„ფორტუნა მწყალობს, რომ არც ტრავმებს ვიღებ და არც წითელ ბარათებს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი სარეკორდო სერია გაგრძელდება“*, - განაცხადა გოლკიპერმა, რომლისთვისაც შემდეგი, 111-ე მატჩი „ბარსელონას“ წინააღმდეგ იქნება (თუკი ტური არ ჩაიშალა). *„ვიცი, რომ ძალიან ძნელია „ბარსელონას“ დამარცხება, მაგრამ ჩვენ ცდას არ დავაკლებთ. ბოლოს და ბოლოს „ბარსელონა“ წლეულს არც ისე დამაჯერებელია და ლა ლიგაში ბევრ გუნდთან გაუჭირდა მოგება“*, - ოპტიმისტობს რეკორდსმენი მეკარე.

## აბიდალი ერთ თვეში ივარჯიშებს?



„ბარსელონას“ ოფიციალური საიტის ცნობით, **ერიკ აბიდალი**, რომელსაც ექიმებმა ღვიძლის სიმსივნე ამოჰკვეთეს, უკვე გაწერეს საავადმყოფოდან და ის სახლში ისვენებს. სხვათა შორის, „ბარსელონა“ ფეხბურთელის თხოვნით, მკურნალობის და ოპერაციის დეტალებს საზოგადოებას არ ატყობინებს. გუნდში ირწმუნებიან, რომ არც ისაა გამორიცხული, რომ ფრანგს „ბარსელონამ“ კონტრაქტი გაუგრძელოს. ყველაფერი კი ბიოფსიის შედეგებზეა დამოკიდებული.

ამასობაში, „მარკამ“ თავისი წყაროებით გაიგო და მკითხველს ახარა, რომ აბიდალის საქმე კარგადაა. ექიმები მას ფიზიკური ვარჯიშების შესრულების უფლებას უკვე ოთხი კვირის შემდეგ აძლევენ. ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ ერიკ აბიდალი ისევ დაუბრუნდეს ფეხბურთს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ქართული სპორტი

**სამბო. შულცის ტურნირი**

# 4 ჩემპიონი მოსკოვში



უშანგი კუზანაშვილი

ქართველმა სამბისტებმა წარმატებით იჭიდავეს მოსკოვში დამთავრებულ შულცის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. **ოლეგ იაძის** შეგირდებმა იქ 4 ოქრო და 1 ვერცხლი მოიპოვეს. ჩემპიონები **უშანგი კუზანაშვილი** (57), **ზურაბ ნოზაძე** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82) და **მინდია ბოდაველი** (90) გახდნენ, **გიორგი ტაბატაძემ** (62) კი მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში მისი წაყვანა თავიდან არც იგეგმებოდა, მაგრამ ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ბოლო მომენტში მაინც გააყოლეს გუნდს. ასევე შევნიშნავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა კუზანაშვილმა პირველად იჭიდავა ახალ წონაში. შედეგიდან გამომდინარე, ადაპტაცია წარმატებით გაიარა.

ჩვენი ნაკრები მოსკოვში კიდევ რამდენიმე დღე დარჩება - დღეს და ხვალ იქ სამბოს დამაარსებელ ხარლამპიევის სახელობის მსოფლიოს სუპერთასი იმართება და მასში მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენები 12-16 მაისს სოფიაში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, თუმცა მწვრთნელებმა გამოცდილების მისაღებად რამდენიმე ახალგაზრდაც გაიყოლეს. სოფიაში წამსვლელთა ვინაობა თითქმის ბოლომდე გარკვეულია, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე იაძე მათ დასახელებას არ ჩქარობს.

**ირაკლი თავაძე**

**ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი**

# სიდნეიში ქადაგიძემაც იასპარეზა

**ნინო სალუქვაძის** შემდეგ სიდნეიში მიმდინარე მსოფლიოს თასზე გუშინ **ლევან ქადაგიძემაც** საყურადღებო შედეგი აჩვენა - 10-მეტრიან დისტანციაზე 571 ქულა დააგროვა და 36-ე ადგილზე გავიდა. მართალია, ეს ვერ შეედრება სალუქვაძის გუშინწინდელ გამოსვლას, როცა ჩვენმა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მსოფლიოს თასიც მოიგო, ლონდონის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა (კარიერაში - მეშვიდედ) და მსოფლიოს თასის სუპერფინალისაც, მაგრამ აღსანიშნავია იმით, რომ ქადაგიძე პირად რეკორდს ერთი ქულით მიუახლოვდა. მან შარშან თბილისში 572 ქულა მოაგროვა, თუმცა მერე უცხოეთში ვერსად გაიმეორა. შესაბამისად, შეჯიბრებებზე ვერც ასე მაღალ ადგილზე გადიოდა - ძირითადად 50-ეულს მიღმა, ცხრილის მეორე ნახევარში რჩებოდა ხოლმე. მისასალმებელია, რომ იმავე მიჯნას ისევ მიუახლოვდა.

ქადაგიძეს პირადად ნინო სალუქვაძე ავარჯიშებს, რომელიც შეგირდის ყველაზე კარგ თვისებად დამჯერ ხასიათს, სწავლის სურვილს, ადვილად ათვისების უნარსა და სწრაფ პროგრესს მიიჩნევს. ამ ტურნირმა პროგრესის შესახებ მისი შეხედულება დაადასტურა და ქადაგიძეც 64-კაციანი ცხრილის თითქმის შუაში დამკვიდრდა. 6 სერიიდან მან პირველ ორში 94-94 ქულა დააგროვა, ასევე ორჯერ ჰქონდა 95, თითოჯერ - 96 და 97. ამ 60 გასროლიდან მხოლოდ სამჯერ გაარტყა 8-იანში, თუმცა 9-იანიც ბლომად ჰქონდა. მასავით 571 დააგროვეს ჰონგკონგელმა **ფაი ვონგმა** და მონღოლმა **დავააკხუნ ენკტაივანმა**, თუმცა მათ უკეთესი დამატებითი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ იმის მიუხედავად, რომ ჩვენებურმა საუკეთესო შედეგი - 97 ქულა სწორედ ბოლო სერიაში აჩვენა. ის კვლავაც ბევრად ჩამორჩა თუნდაც ამ ტურნირზე დაფიქსირებულ საუკეთესო მიღწევას - 585-ს, მაგრამ სიდნეიში 579 ფინალში გამსვლელი ქულა აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ქადაგიძე თუ სტაბილურად შეძლებს 570-ქულიან ნიშნულზე გადაბიჯებას, მაშინ შეიძლება, მნიშვნელოვან ტურნირებზე ვაჟთა შორისაც გვყავდეს ფინალისტი. ყოველ შემთხვევაში, ახლა იქამდე ძველებურად მარათონული მანძილი უკვე აღარ აშორებს.

შეჯიბრებას რაც შეეხება, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იაპონელები მართლაც საოცარი ხალხია, უჩვეულო გამძლეობით და მობილიზებით გამორჩეული - ჩემპიონი მიწისძვრა და ცუნამგადავლილი, ახლა კი ატომური კატასტროფის წინაშე დარჩენილი ამ ქვეყნის შვილი **ტომოუკი მაცუდა** გახდა. თუმცა ჩემპიონობასაც გააჩნია - ტრიუმფით გაიარა მთელი ტურნირი! შესარჩევში სწორედ მან დააგროვა ის 585 ქულა და 2-3 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევრებს, ფინალში კი საშუალოდ 2-2,5 ქულით აჯობა კონკურენტებს. თან ფინალური ოქტეტიდან მხოლოდ იაპონელმა გადააბიჯა 100-ქულიან მიჯნას - 100,7 გააკეთა, ჯამში 685,7 დააგროვა და ოქროს ახლოსაც არ გააკარა არავინ. მართლაც საოცარია, დღევანდელ იაპონიაში, მსოფლიო კატასტროფის იმ ეპიცენტრში, რომელიც ბოლო დღეებში მთელი მსოფლიოს ზრუნვის საგანია, ამ დონეზე მომზადება და ასეთი მობილიზება როგორ შეძლო! ის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და ორივე ოქრო შარშან მოიპოვა მიუნხენში. სიდნეიში მან დიდი უპირატესობით გაუსწრო მეორეზე გასულ უკრაინელ ევროპის პრიზიორ **ოლეგ ომელჩუკს** - 680.0 ქულა, ბრინჯაოს კი ჩინელი **ტიან ჩანგი** დაეუფლა 679, 8-ით.

შეჯიბრებაზე ჩვენებურთა მორიგი სტარტი 27 მარტს შედგება სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, რომელშიც ქადაგიძეც გამოვა და სალუქვაძეც. ტურნირის ბოლო დღეებში - 29-31 მარტს მესტენდურებიც ისვრიან. იქაც ასევე ორი კაცი გვეყოლება - **დავით ქვათაძე** და **პავლე ლაკია** დადგებიან.

**ირაკლი თავაძე**



ლევან ქადაგიძე და ნინო სალუქვაძე

**ჩოგბურთი**

# TOP 100 - თუ კლაისტერსსაც მოუგებს



ანა ტატიშვილი

21 წლის **ანა ტატიშვილისთვის** მაიამი იღბლიანი ქალაქია. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენებური იქვე, ბოკა რატონში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ანამ WTA-ს პირველი ტურნირიც მაიამიში ითამაშა ჯერ კიდევ 2005 წელს. აქამდე ანას საუკეთესო მიღწევა ჩოგბურთში პრალის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლაა (2010 წ.), თუმცა „სონი ერიქსონ ოუფენი" გაცილებით პრესტიჟული ტურნირია, ის პრემიერკატეგორიის შეჯიბრებაა და საპრიზო ფონდიც თითქმის 5 მილიონი დოლარი აქვს.

აი, ასეთი ტურნირის პირველი წრე დაძლია მსოფლიოს 125-ე ჩოგანმა ქართველმა, რომელმაც გზიდან ბელარუსი **ოლგა გოვორცოვა** (87) ჩამოიცილა - 6:3, 5:7, 6:3. მას გოვორცოვასთან წაგებული ჰქონდა, ამიტომაც ერთგვარი შურისძიებაც შედგა. ამერიკული მედია ამ შეხვედრას დღის ერთ-ერთ ყველაზე თვალსასეირო მატჩს უწოდებს. ტატიშვილმა კარგად დაიძვრინა თავი მე-2 სეტში ჩავარდნისგან და სეზონში WTA-ს მე-7 მატჩი მოიგო (საკვალიფიკაციოების ჩათვლით).

ანამ ბრწყინვალედ დაიწყო, აწოდებდა უზადო სიზუსტით (82%) და პირველ სეტში სამჯერ შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება. მოკლედ, პირველ სეტში ქართველის უპირატესობას აშკარა ეტყობოდა. მეორე უკვე გოვორცოვას კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენებურმა გათანაბრება შეძლო და ზუსტად გადამწყვეტ მომენტში, 5:5-ზე ისევ დაკარგა გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, რითაც შეხვედრის ფავორიტმა ისარგებლა და მესამე სეტი დაიბევა. ანას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერად ფსიქოლოგიურად არ გატყდა (როგორც სჩვევია ხოლმე) და დაძაბულ ბრძოლაში მაინც იზეიმა გამარჯვება. ამით მან 11 ათასი დოლარი გაინაღდა და 50 სარეიტინგო ქულაც.

მეორე წრეში ტატიშვილის მეტოქე 28 წლის **მარია ხოსე მარტინეს სანჩესია**, 29-ე ნომრად განთესილი ესპანელი, რომელიც მსოფლიოს 33-ე ჩოგანია. რეიტინგში ამხელა უპირატესობას ემატება ისიც, რომ მარტინესი პირველი წრიდან თავისუფალი იყო (მაიამიში განთესილები მე-2 წრიდან ერთვებიან ბრძოლებში). ქართველს ერთადერთხელ უთამაშია მარტინესის წინააღმდეგ, მაგრამ ეს 2008 წელს იყო, როცა გამოუცდელი ტატიშვილი (მაშინ 18 წლის იყო) ბოგოტაში 4:6, 4:6 დამარცხდა. თუ ეს მატჩიც მოიგო, ანა 80 სარეიტინგო ქულას და, სავარაუდოდ, მე-2 ნომრად განთესილ **კიმ კლაისტერსთან** (ბელგია) თამაშის უფლებას დაიბევებს.

ტატიშვილს რეიტინგში 540 ქულა აქვს, მოწინავე ასეულის ბოლო წევრ **სანდრა ზაჰლალოვას** კი - 661 - ანუ უხეში გათვლით, ანას ასეულამდე 120 ქულა აკლია, 80 უკვე გაინაღდა (კვალიფიკაციის მოგებისთვის - 30, მეორე წრეში გასვლისთვის - 50), თანაც, შარშან ამ დროს ტატიშვილს დიდად არ უყოჩაღია და კლასიფიკაციაში ბევრიც არაფერი დააკლდება. ჩვენი გამოთვლით, თუ ანა მარტინესთან წააგებს, 112-ე იქნება მსოფლიო კლასიფიკაციაში, გამარჯვების შემთხვევაში - 104-ე. აი, თუ კლაისტერსაც მოუგო... თუმცა მოვლენებს ასე წინ ნუ გავუსწრებთ, მით უფრო, რომ ჯერ ხომ თავად კლაისტერსაც არ მოუგია მე-2 წრის მატჩი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაშნიკოვა და შაფათავა მეოთხედფინალში

საქართველოს მეორე ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (196) ჩინურ კუნმინში ასპარეზობს. ტურნირის საპრიზო ფონდი 25-ათასია, ჩვენებური კი განუთესავთა შორის მოხვდა. მეორე წრეში ოქსანამ მე-8 ნომრად განთესილი მასპინძელი **ინ-ინ ლუ** (195) სამ სეტში დაამარცხა - 6:7 (5), 6:0, 6:4. მეოთხედფინალში კალაშნიკოვას ძალზე სერიოზული მეტოქე ჰყავს, მე-3 ნომრად განთესილი ნიჭიერი ყაზახი **ზარინა დიასი** (153).

ფრანგულ გონესში (10 ათასი დოლარი) მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (284) ძალზე იოლად დაამარცხა ჰოლანდიელი **ევა ვაკანო** - 6:0, 6:1. შაფათავა მეოთხედფინალშია და მეტოქეს ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მშვილდოსნობა**

# ესპანეთში პირადი წავაგეთ



ხათუნა ნარიმანიძე

ესპანურ კამბრილსში, მშვილდოსანთა ზამთრის ანუ დარბაზის ევროპის პირველობაზე ჩვენმა მშვილდოსნებმა დაასრულეს გამოსვლა პირად ასპარეზობაში. გუშინ პლეი ოფები გაიმართა და, სამწუხაროდ, შეჯიბრებას შემორჩენილი ჩვენი ორივე მონაწილე დამარცხდა. **ხათუნა ნარიმანიძემ**, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპი მეხუთე შედეგით დაასრულა, გუშინ ერთი შეხვედრა მოიგო - დანიელი **ლოუის ლოურენსი** სეტებში 6:0 დაამარცხა. მომდევნო მეტოქედ ჰოლანდიელი **კობი ჰურკმანსი** ერგო, რომელიც ნამდვილად არაა ძლიერი მსროლელი, თუმცა ჩვენებურმა მაინც წააგო - 4:6. ნარიმანიძე საკმაოდ ხანგრძლივი და რთული ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ ადაპტაციის პერიოდს გადის.

მოლოდინისამებრ, დამარცხდა **ქრისტინე ესებუაც**. შეგახსენებთ, რომ მან პლეი ოფის პირველი შეხვედრა გუშინწინ გამართა, როცა იტალიელ **ელენა ტონეტას** 6:2 მოუგო. მეორე წრეში ის კიდევ ერთ იტალიელს ხვდებოდა, ოღონდ ტონეტაზე ბევრად ძლიერს - **ნატალია ვალეევას**. მოლდოვიდან იქ გათხოვილი ვალეევა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და იმ იშვიათ სპორტსმენთაგანია, ვინც სამხრეთკორეელთა ჰეგემონიის შერყევას ახერხებს. ჩვენებური მასთან 0:6 დამარცხდა. რაც შეეხება ჩვენი გუნდის მესამე მონაწილე **ასმათ დიასამიძეს**, პლეი ოფში ისიც გუშინწინ ჩაება და პოლონელ **ნატალია ლესნიაკთან** 2:6 წააგო. ესებუას შემდეგ ვალეევამ საკმაოდ ძლიერი უკრაინელი **ტატიანა დოროხოვა** (ის ესებუასთან ერთად გახდა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი, როცა ჩვენებური უკრაინაში ცხოვრობდა და იქაური ნაკრების ღირსებას იცავდა), აგრეთვე ბრიტანელი **ნაომი ფოლკარდიც** დაამარცხა და ფინალში გავიდა, სადაც რუს **ტატიანა ბოროდაის** შეხვდება. ამ რუსმა ჩემპიონატიდან ნარიმანიძის მომგები ჰოლანდიელი გამოთიშა, მანამდე კი შესარჩევის გამარჯვებული მეორე რუსი - **ანა ბომბოევაც** გააგდო. გუშინვე გაიმართა შეხვედრა ბრინჯაოს მედლისთვის, სადაც ჰურკმანსიმ ფოლკარდს დაძაბულ ორთაბრძოლაში, გადასროლაში 6:5 მოუგო და ჯილდოსაც დაეუფლა. ფინალები ინდივიდუალურშიც და გუნდურშიც ხვალ გაიმართება.

ჩვენებს ახლა სწორედ გუნდური პირველობა დარჩათ. პლეი ოფში ისინი მეოთხე შედეგით შევიდნენ და დღეს მეხუთეადგილოსან პოლონელებს გაეჯიბრებიან. დღესვე გამოვლინდება ფინალური წყვილი და ბრინჯაოს მფლობელი.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟბურთი — ლონდონი 2012







# იწყებენ...

## საქართველოს ქალთა და ვაჟთა პლაჟის ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრებები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლაში ერთვებიან

2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის პირველი სალიცენზიო ტურნირი 17 აპრილს იწყება და 2012 წლის 17 ივნისამდე გასტანს. ამ პერიოდში ჩატარებული ტურებიდან 12 საუკეთესო შედეგი იძლევა ლიცენზიას, რაც ძალიან გართულდა იმის გამო, რომ მსოფლიოს 16 საუკეთესოში მოხვედრაა აუცილებელი. ამასთან გაიზარდა ძლიერი წყვილების რაოდენობა და სალიცენზიო ტურნირებშიც ბევრად მეტი ქვეყანა მონაწილეობს. საქართველოს ქალთა და ვაჟთა ეროვნული ნაკრებების გამოსვლა ყველა ტურნირში იგეგმება. ორივე ნაკრებს ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელები წვრთნიან და ისინი კმაყოფილები არიან ამ ეტაპზე ჩვენი მოთამაშეების მომზადების დონით. *„ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში ორივე გუნდს აქვს შანსი იბრძოლოს ოლიმპიური მედლებისათვის. ჩვენ ფავორიტებად ჩავალთ ლონდონში, ვინაიდან წინა ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალისტები ვართ,“* - განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა.**

**„ლელოს“ კორ.**

ფრენბურთი — თბილისი 2015

# ათვლა ანკარიდან...

## საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა ნაკრები 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა ნაკრები (1997-1998 წლებში დაბადებულები) თბილისში დაგეგმილ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისათვის მზადებას შეუდგა. ფრენბურთის ფედერაციამ აქტიურად დაიწყო ტურნირების მოძიება და რამდენიმე შემოთავაზებაც მიიღო. გადაწყდა, რომ აპრილში ჩვენი გუნდი ანკარაში დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ამ პირველი დიდი გამოცდისთვის გუნდის შეკრება იგეგმება.

*„ჩვენი მთავარი მიზანია, გამოცდილების მისაღებად, რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო მატჩი ჩავატაროთ. ანკარის ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასპინძლებისა და ჩვენების გარდა აქ ითამაშებენ იაპონიის, ჰოლანდიის, ჩინეთის, ბულგარეთის, ფინეთის, კორეის, ალბანეთის, საბერძნეთის, აშშ-ისა და გერმანიის ნაკრებები. მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ჩვენს გოგონებს ბევრი მატჩის ჩატარება მოუწევთ, რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია ახლბედა ნაკრებისათვის“.* – განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა.**

**„ლელოს“ კორ.**

ჭადრაკი


მიხეილ მჭედლიშვილი

# ლიდერები ფრთხილობენ

ტაშკენტში გიორგი აგზამოვის მე-5 საერთაშორისო მემორიალის ბოლო ტურებში ლიდერები სიფრთხილეს იჩენენ - თამაშის გამწვავებას დაზავებას ამჯობინებენ. ასე იყო გუშინ მე-7 ტურის პარტიებშიც: მეწინავეთა შვიდი პარტიიდან მხოლოდ ორი დამთავრდა შედეგიანად - ევგენი მიროშნიჩენკომ (უკრაინა) მურთაზ კაჟგალიევს (ყაზახეთი) სძლია, ხოლო ანტონ ფილიპოვმა (უზბეკეთი) შავი ფიგურებით თანამემამულე ნიკიტა ხოროშევი დაამარცხა. დაზავდნენ: ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი)-მაქსიმ ტუროვი (რუსეთი), **მიხეილ მჭედლიშვილი**-იური კუზუბოვი (უკრაინა), ანუარ ისმაგამბეტოვი (ყაზახეთი)-ევგენი ალექსეევი (რუსეთი), მიხაელ როისი (ისრაელი)-ვლადიმირ ეგინი (უზბეკეთი), ბაჰოდირ ჰოლმირზაევი (უზბეკეთი)-რინატ ჯუმაბაევი (ყაზახეთი).

ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 5,5-5,5 ქულით მჭედლიშვილი, ტუროვი, პეტროსიანი, კუზუბოვი, მიროშნიჩენკო და ფილიპოვი ლიდერობენ. 10 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

დღეს მე-8 ტურში ინტერესს იწვევს ტუროვი-მჭედლიშვილის, პეტროსიანი-მიროშნიჩენკოს, კუზუბოვი-ფილიპოვის პარტიები.

**ვაჟა დანელია**

# ჯერჯერობით ლელა გამოირჩევა

ფრანგულ ექს-ლე-ბენში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი 51 მონაწილეს ჰქონდა. მათ შორის იყვნენ **ლელა ჯავახიშვილი, ლევან ფანცულაია** და **დავით ლობჟანიძე**. გუშინ მესამე ტურში სამივენი შავი ფიგურებით ეთამაშებოდნენ რეიტინგში მათზე მაღლა მდგომ დიდოსტატებს: ფანცულაია (2595)-ვლადიმირ პოტკინს (რუსეთი, 2653), ლობჟანიძე (2489)-მარკუს რაგერს (ავსტრია, 2614), ჯავახიშვილი (2437)-ავეტიკ გრიგორიანს (2608). ჩვენი სამეულიდან მხოლოდ ლელამ გაართვა თავი ძნელ ამოცანას – სომეხ მეტოქეს 25-ე სვლაზე დაუზავდა. ლევანი დიდხანს იბრძოდა პარტიის გადასარჩენად, მაგრამ 82-ე სვლაზე იძულებული გახდა, დანებებულიყო, რაგერს კი გასამარჯვებლად 32 სვლა ეყო. საგულისხმოა ისიც, რომ ევროპის მოქმედი ჩემპიონი რუსი იან ნეპომნიაშჩი რუმინელ ემილიან პარლიგრასთან დამარცხდა.

აქვე გაუწყებთ ჩვენებურთა დანარჩენი შეხვედრების შედეგებს: დენი რაზნიკოვი (ისრაელი, 2384)-**ბაადურ ჯობავა** (2707) 0.5:0.5, **თორნიკე სანიკიძე** (2542)-ლუკ რენა (საფრანგეთი, 2286) 1:0, ანტუან ფავარელი (საფრანგეთი, 2267)-**ლუკა პაიჭაძე** (2487) 0:1, კლემენ ჰოურიე (საფრანგეთი, 2252)-**სალომე მელია** (2462) 0.5:0.5, კონსტანტინოს ლაპასი (საბერძნეთი, 1949)-**დავით ზარქუა** (2397) 0.5:0.5. სამი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: ჯავახიშვილი-2.5, ფანცულაია, სანიკიძე, პაიჭაძე, ლობჟანიძე-2-2, ჯობავა, მელია-1.5-1.5, ზარქუა-1 ქულა.


ლელა ჯავახიშვილი

ჩემპიონატზე ქულათა მაქსიმუმით 12 მოჭადრაკე მეწინავეობს. ესენი არიან: ალექსანდრ კოვჩანი, ალექსანდრ მოისეენკო (ორივე-უკრაინა), ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი), ლივიუდიტერ ნისიპიანუ, ემილიან პარლიგრასი (ორივე-რუმინეთი), ვლადიმირ პოტკინი, ბორის სავჩენკო (ორივე-რუსეთი), ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა), მარკუს რაგერი (ავსტრია), გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), სამველ ტერ-სააკიანი (სომხეთი), ანდრეი ჟიგალკო (ბელარუსი).

დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. ევროთასი

# ბექა დაწინაურდა, რას იზამს ტაირონი?

ევროთასის წლევანდელ გათამაშებაში ქართველთათვის საინტერესო ოთხი კალათბურთელი მონაწილეობდა: **მანუჩარ მარკოიშვილი** („კანტუ“), **ტორინ გრინი** („გრან კანარია“), **ტაირონ ელისი** („ესტუდიანტესი“) და **ბექა ბურჯანაძე** („კახასოლი“).

მანუჩარის გუნდმა პირველი ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, გრინის თანაგუნდელები ასპარეზობას მეორე ეტაპიდან გამოეთიშნენ, ელისის და ბურჯანაძის კლუბები კი პლეი ოფებში მონაწილეობენ.

მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში ბურჯანაძის „კახასოლმა“ უკრაინულ „ბუდიველნიკს“ უმასპინძლა და 67:49 დაამარცხა. ამ მოგებით სევილიელებმა ნახევარფინალში თამაში თითქმის გაინაღდეს, რითაც შურს იძიებენ თანამემამულე „გრან კანარიას“ ძლევისთვის - გრინის „კანარია“ ევროთასიდან სწორედ „ბუდიველნიკმა“ გამოთიშა.

უკრაინელებთან შეხვედრის განაცხადში იყო „კახასოლის“ ახალგაზრდა ქართველი ბექა ბურჯანაძე, თუმცა მწვრთნელს იგი მოედანზე არ შეუყვანია... სევილიელთა შორის მოთამაშე ბულგარეთის ნაკრების გამთამაშებელმა **ერლ კალუეიმ** 9 ქულა და 1 პასი მოაგროვა, ხოლო ნაკრებში მისმა პარტნიორმა **კალოიან ივანოვმა** 15 წუთში მოედანი უქულოდ დატოვა.

„კახასოლი“ განმეორებით მატჩს უკრაინაში 30 მარტს ჩაატარებს.

■ ■ ■

შეიძლება ითქვას, მისაღები ანგარიშით წააგო ტაირონ ელისის „ესტუდიანტესმა“ - ხორვატიაში „ცედევიტასთან“ 81:90 დათმო. მესამე პერიოდის 12:29 წაგების შემდეგ მადრიდელები მეტოქეს 61:76 ჩამორჩნენ, თუმცა მეოთხე პერიოდში მდგომარეობის ოდნავ გამოსწორება შეძლეს და საფინალო სირენას 9-ქულიანი დეფიციტით შეხვდნენ. ასეთი სხვაობის ალმოფხვრა 30 მარტს, მადრიდში შესაძლებელია.

ხორვატიაში ელისმა 25 წუთი ითამაშა, 8 ქულა, 2 ჩაჭრა და თითო მოხსნა-პასი შეასრულა. მან 2-დან 1 ორქულიანი და 7-დან 2 სამიანი ჩააგდო. „ესტუდიანტესის“ ბომბარდირი **კანერ-მედლი** გახდა - 19 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტრანსფერი

# უილიამსი სან ჯორჯოში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების ყოფილმა გამთამაშებელმა **შემონდ უილიამსმა** ჩვენს გუნდში პირველი მატჩი იტალიის ქალაქ სან-ჯორჯოში, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა. ის შეხვედრა ქართველებმა 87:71 მოიგეს. შემონდმა 26 ქულა და 7 პასი მოაგროვა.

მას მერე 7 წელი გავიდა და უილიამსი სან-ჯორჯოში კვლავ ითამაშებს. ოღონდ, ამჯერად არა საქართველოს ნაკრების, არამედ „მონტაგრანაროს“ მაისურით. ეს კლუბი იტალიის ჩემპიონატის საპლეიოფო ზონაში მყოფებს ერთი მოგებით ჩამორჩება და მდგომარეობის გამოსწორებას გამოცდილი უილიამსის დამატებით ეცდება.

შემონდმა მიმდინარე სეზონი კვიპროსის აელ-ში დაიწყო, თუმცა შუა სეზონში იტალიაში გადასვლა გადაწყვიტა. მანამდე იგი ექვსი ევროპული გუნდის ღირსებას იცავდა: „ულქერის“ (თურქეთი), „უნიქსის“ (რუსეთი), „ბარსელონას“, „ვალენსიას“, „უნიკახას“ და „მანრესას“ (ყველა ესპანეთი)... შარშან იტალიურ „მონტეპასკიში“ გადავიდა, თუმცა არ უთამაშია. სწორედ სიენაში შეხვდა იგი **ვიქტორ სანიკიძეს** და საქართველოს ნაკრებში დაბრუნების სურვილი გაანდო. თუმცა, ეროვნული გუნდის თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** 10 წლით უმცროსი **ტორინ გრინი** არჩია (1985 წელსაა დაბადებული).

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ შემონდს NBA-ში თამაშის გამოცდილებაც აქვს - 1998 წლიდან 2004 წლამდე „ატლანტაში“, „სიეტლში“, „ბოსტონში“, „დენვერში“, „ორლანდოსა“ და „ნიუ ორლეანში“ ირჯებოდა. იგი 2006 წელს „ბარსელონადან“ „ლეიკერსში“ გადავიდა, საიდანაც მომდევნო სეზონში ისევ ევროპაში დაბრუნდა.

3 აპრილს შემონდ უილიამსის „მონტეგრანარო“ **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუს“ დაუპირისპირდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


სან ჯორჯო. საქართველო-რუსეთი 87:71

აღიარება

# შერმადინი ევროლიგის სიმბოლური ნაკრების კანდიდატია

ევროლიგის ოფიციალურ საიტზე დაიწყო გამოკითხვა, რომლის მიზანია მიმდინარე სეზონის სიმბოლური ხუთეულის შერჩევა. კანდიდატთა შორის „ოლიმპიას“ სამი კალათბურთელია: **გიორგი შერმადინი, ვლადო ილიევსკი** და **კენი გრეგორი.**

ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია შევიდეს საიტზე www.euroleague.net, მთავარ გვერდზე მოძებნოს სიმბოლური ნაკრებისადმი მიძღვნილი გამოკითხვა და ხმა მისცეს ქართველ ცენტრს.

სადღეისო მონაცემებით ხუთეული ასეთია: **ვასილის სპანულისი** („ოლიმპიაკოსი“, ხმების 17.5%), **დიმიტრის დიამანტიდისი** („პანათინაიკოსი“, 24.9%), **მარტინას გეჩევიჩიუსი** („რიტასი“, 11.7%), **იოანის ბურუსისი** („ოლიმპიაკოსი“, 11.5), **რაშო ნესტეროვიჩი** („ოლიმპიაკოსი“, 12.9%).

სამწუხაროდ, საიტზე არ მოიპოვება მონაცემი გიორგი შერმადინის მიერ მოგროვებული ხმების შესახებ. გამოკითხვა 11 აპრილამდე გრძელდება... თუმცა, გიორგი სიმბოლურში რომც ვერ მოხვდეს, ევროლიგის სიმბოლური ნაკრების კანდიდატად დასახელებაც დიდი აღიარებაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

## სუპერლიგა. XVIII ტურის სტატისტიკა

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 16 | 366 | 22.88 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 291 | 20.79 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 15 | 288 | 19.2 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 212 | 17.67 |
| 5. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 16 | 276 | 17.25 |
| 6. დუდა სანაძე | ბათუმი | 10 | 170 | 17 |
| 7. იუჯინ პარისი | სოხუმი | 9 | 150 | 16.67 |
| 8. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 15 | 248 | 16.53 |
| 9. კოტე ტულუში | არმია | 16 | 251 | 15.69 |
| 10. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 17 | 264 | 15.53 |
| 11. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 15 | 231 | 15.4 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 17 | 70 | 118 | 188 | 11.06 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 51 | 74 | 125 | 10.42 |
| 3. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 16 | 39 | 118 | 157 | 9.81 |
| 4. ილია ლონდარიძე | თსუ | 17 | 73 | 91 | 164 | 9.65 |
| 5. დავით იმნაძე | შსს | 10 | 36 | 60 | 96 | 9.6 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 16 | 29 | 115 | 144 | 9 |
| 7. ჟულივეტ ტუჯანი | შსს | 16 | 47 | 94 | 141 | 8.81 |
| 8. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 16 | 51 | 88 | 139 | 8.69 |
| 9. დავით უგრეხელიძე | არმია | 9 | 37 | 41 | 78 | 8.67 |
| 10. კარლ დამუსი | სოხუმი | 17 | 56 | 83 | 139 | 8.18 |
| 11. ირაკლი ალხანაიძე | დინამო | 17 | 51 | 85 | 136 | 8 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 17 | 111 | 6.53 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 16 | 91 | 5.69 |
| 3. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 15 | 80 | 5.33 |
| 4. ბექა წიწივაძე | შსს | 16 | 84 | 5.25 |
| 5. იუჯინ პარისი | სოხუმი | 9 | 45 | 5 |
| 6. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 65 | 4.64 |
| 7. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 12 | 53 | 4.42 |
| 8. რევაზ დიდია | ქუთაისი | 14 | 60 | 4.29 |
| 9. დავით არწივიძე | აგრარული | 11 | 47 | 4.27 |
| 10. ტატო თავართქილაძე | სამედიცინო | 15 | 60 | 4 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 16 | 49 | 3.06 |
| 2. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედიცინო | 16 | 43 | 2.69 |
| 3. ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 16 | 40 | 2.5 |
| 4. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 15 | 37 | 2.47 |
| 5. ბუბა ბერიშვილი | ქუთაისი | 16 | 38 | 2.38 |
| 6. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 32 | 2.29 |
| 7. დუდა სანაძე | ბათუმი | 10 | 22 | 2.2 |
| 8. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 15 | 32 | 2.13 |
| 9. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 17 | 36 | 2.12 |
| 10. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 9 | 19 | 2.11 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 16 | 33 | 2.06 |
| 2. ბექა ბექაური | სამედიცინო | 16 | 23 | 1.44 |
| 3. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 17 | 24 | 1.41 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 14 | 1.4 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 15 | 1.25 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 69 | 4.93 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 13 | 52 | 4 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 16 | 62 | 3.88 |
| 4. გუგა პატარაია | დინამო | 16 | 54 | 3.38 |
| 5. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 17 | 57 | 3.35 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 40 | 3.33 |
| 7. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 12 | 40 | 3.33 |
| 8. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 16 | 50 | 3.13 |
| 9. ირაკლი სორდია | სოხუმი | 15 | 46 | 3.07 |
| 10. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 16 | 49 | 3.06 |

### რეკორდები

**ქულა**

**42 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ)**
2-ქულა: 9/12. 3-ქულა: 6/14. საჯარიმო: 6/9.
10.03.2011 შსს-სტუ

**მოხსნა**

**20 - ილია ლონდარიძე (თსუ)**
მეტოქის ფარზე: 10. საკუთარზე: 10.
26.02.11 თსუ-სამედიცინო

**პასი**

**16 - იუჯინ პარისი (სოხუმი)**
05.03.2011 სოხუმი-დინამო

**ჩაჭრა**

**9 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)**
05.02.11 თსუ-სტუ

**დაფარება**

**5 - ანატოლი ბოისა (არმია)**
13.11.10 სტუ-არმია

**5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)**
26.11.10 ბათუმი-სტუ

**5 - აკაკი დვალიშვილი**
19.03.11 არმია-სამედიცინო




## MVP ინტერვიუ გიგი ბარბაქაძესთან

# ბარბაქაძე, ისევ სოხუმთან

**დოსიე**

**გიგი ბარბაქაძე**

**ქუთაისი**

დაიბადა: 12.07.1991
სიმაღლე: 203 სმ.
წონა: 91 კგ.
ამპლუა: ფორვარდი

**კარიერა**

2006-07 სტუ
2008-09 თსუ/აგრარული
24 მატჩი, 11.5 ქულა, 4.3 მოხსნა.
2009-10 აგრარული
20 მატჩი, 9.2 ქულა, 3.3 მოხსნა.
2010-11 ქუთაისი
15 მატჩი, 15.4 ქულა, 5.7 მოხსნა.

მე-18 ტურში მინიმალური სხვაობით ორი მატჩი დამთავრდა. „ქუთაისმა" „სოხუმს" 82:81 სძლია, ხოლო „დინამომ" „ენერჯის" - 73:72. რუსთავურ შეხვედრაში გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით არავინ გამორჩეულა, რაც იმას ნიშნავს, რომ „დინამომ" გუნდური გარჯის წყალობით იმარჯვა. ამიტომ, ტურის სიმბოლურ ნაკრების მწვრთნელად **დავით თორთლაძე** „დავნიშნეთ". სიმბოლურში ქუთაისური მატჩის სამი კალათბურთელი მოხვდა: **ბუბა კვიმსაძე, რიჩარდ დამუსი** და **გიგი ბარბაქაძე.** გიგიმ სირენამდე 17 წამით ადრე ორქულიანით „ქუთაისი" 82:80 დააწინაურა. 3 წამით ადრე კი რიჩარდ დამუსს თამაშის გადარჩენის შანსი ჰქონდა, მაგრამ ორიდან ერთი ჯარიმა გამოიყენა.

ბარბაქაძემ მხოლოდ ბოლოს ჩაგდებული ორქულიანით როდი დაგვამახსოვრა თავი - შეუცვლელად ითამაშა და 25 ქულას 9 მოხსნა მიამატა. შესაბამისად, ამ სეზონში ტურის საუკეთესოდ მეორედ დასახელდა.

- ტურის საუკეთესო სულ სამჯერ გავხდი: პირველად სამი სეზონის წინ, სტუ-ში თამაშისას, როცა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ვატარებდი; მეორედ მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში, მაშინაც „სოხუმთან" მატჩის შემდეგ; მესამედ - ახლა, 18 მარტს. სამზე შეჩერებას არ ვაპირებ, პლეი ოფი ახლოვდება და კარგი თამაში კიდევ უფრო დაფასდება.

**- პირველად ტურის საუკეთესოდ 2006-07 წლების სეზონში დაგასახელეთ. მახსოვს, მაშინ გადამწყვეტ მომენტში რამდენიმე სამქულიანი ჩააგდე...**

- „მაქაბის" ვეთამაშებოდით. მეოთხე პერიოდში ხუთი შორეული ტყორცნა გამოვიყენე და სტუ-ს გამარჯვებაში დავეხმარე. მცირე სხვაობით მოვიგეთ.

**- წლევანდელი ჩემპიონატის მე-18 ტურში, „სოხუმთანაც" ხუთი სამქულიანი ისროლე...**

- და ორი ჩავაგდე. ძალიან საინტერესო შეხვედრა გამოვიდა. მატჩის დასრულებას წამები უკლდა, როცა ბუბა კვიმსაძემ პასი მომცა, რთული პოზიციიდან ჩავაგდე. ამის შემდეგ რიჩარდ დამუსმა შემოგვიტია და არასპორტული ჯარიმით შევაჩერეთ. მან ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა, რაშიც დიდი წვლილი ადგილობრივ გულშემატკივარს მიუძღვის. ანგარიშზე 82:81 სოხუმელებმა ბურთი გვერდიდან შემოიტანეს, თუმცა ერთი ჯარიმის უფლება გვქონდა, გამოვიყენეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.

**- პლეი ოფში „ქუთაისისგან" რას უნდა ველოდეთ?**

- ვიბრძვით ოთხეულში მოსახვედრად. გუნდს ნახევარფინალში გასვლის შესაძლებლობა ნამდვილად აქვს. პირველი წრის შემდეგ ბუბა ბერიშვილი გამოგვაკლდა, მაგრამ გოგა ცეკვავა შემოგვიერთდა და ბერიშვილის არყოფნა თითქმის არ გვეტყობა. ძალიან გვეხმარებიან შედარებით ახალგაზრდა მოთამაშეები. მაგალითად „სოხუმთან" ფარქვეშ მეტად სასარგებლო იყო ავთანდილ ლომინაშვილი...



## ქართველი NBA-ში

# დრიუ VS ზაზა

## გარჩევა ერთი ტყორცნის ირგვლივ

გუშინ „ატლანტამ" „ფილადელფიასთანაც" წააგო... თუმცა ქართველი გულშემატკივრისთვის გაცილებით საინტერესო მატჩისწინა ამბავია, რომელიც **ზაზა ფაჩულიასა** და მწვრთნელ **ლარი დრიუს** ურთიერთობას ეხება.

ფილადელფიაში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე „ატლანტამ" შინ „ჩიკაგოსთან" წააგო. შეხვედრა ქართულ არხზე გადაიცა და მისი ხილვის საშუალება კალათბურთის გულშემატკივარს ჰქონდა. მატჩის ბედი მე-17 წუთისთვის გადაწყვეტილი იყო, ამიტომ საფინალო სირენამდე 8:12 წუთით ადრე ზაზა ფაჩულიამ საკუთარ თავს უფლება მისცა „ჩიკაგოს" კალათის მიმართულებით 5 მეტრის მანძილიდან ესროლა (იმ მომენტისთვის „ატლანტა" 64:109-ს აგებდა). ბურთი მიზანს ასცდა და ლარი დრიუმ ქართველი დაუყოვნებლივ **ჯოშ პაუელით** შეცვალა. მწვრთნელის ასეთ მოქმედებას ქართველ გულშემატკივრებში მოჰყვა გაღიზიანება და ცხადია, არც თავად ზაზა დარჩენილა კმაყოფილი. საქართველოს ნაკრების მატჩებშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ ფაჩულიას მხოლოდ ფარქვეშიდან არ შეუძლია ჩაგდება - საშუალო დისტანციიდანაც კარგად ისვრის.

ზაზას უკმაყოფილება არც მწვრთნელს დაუტოვებია უყურადღებოდ და არც გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტ **კენ სიგურას**. აი, რა დაწერა ამერიკელმა კორესპონდენტმა:

„ჩიკაგოელებთან მატჩის შემდეგ მწვრთნელი ზაზა ფაჩულიას შეხვდა და სირენამდე 8:12 წუთით ადრე მომხდარ ეპიზოდზე ელაპარაკა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში სხვაობა 45 ქულას შეადგენდა, მწვრთნელი თვლის - ზაზას არ უნდა ესროლა".

*- ერთადერთი, რასაც კალათბურთელებს ვერ ვაპატიებ, გუნდის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებაა,* - განაცხადა ლარი დრიუმ.

ფაჩულიას კომენტარი უფრო მოკლე იყო:

*„შეტყობინება მივიღე, ახლა წინ ვიხედები."*

ვისაც „ატლანტას" მატჩები უნახავს, დაგვეთანხმება, რომ ლარი დრიუს ფავორიტი კალათბურთელები ზოგჯერ არაერთ ისეთ ტყორცნას ასრულებენ, გუნდის ინტერესებს რომ ეწინააღმდეგება, მაგრამ მათ არავინ ცვლის... ამ ამბავთან დაკავშირებით მახსენდება 2002 წლის დეკემბერში ორმაგი დუბლის შესრულების შემდეგ **ვლადიმერ სტეფანიას** ნათქვამი:

*- „მხოლოდ დაცვაში თამაში როდი მეხერხება, შემიძლია სამწამიანი ზონიდან და საშუალო დისტანციიდან ჩაგდებაც"...* ასეთი კომენტარი ვოვამ მას შემდეგ გააკეთა, რაც ამერიკელმა ჟურნალისტმა გაიკვირვა, სროლა კარგად შეგძლებიაო. სამწუხაროდ, მწვრთნელი სტეფანიას მხოლოდ შავი სამუშაოს შესრულებას ავალებდა, ისევე როგორც ზაზა ფაჩულიას...

■ ■ ■

დავუბრუნდეთ „ფილადელფიასთან" გამართულ ბოლო მატჩს. „ატლანტამ" სამი პერიოდი დამაჯერებლად ჩაატარა, მესამე მეოთხედის ბოლოს ფაჩულიამ საკუთარ ფარზე ბურთი მოხსნა და **ჯოშ სმიტმა** სწრაფი შეტევით თანაგუნდელთა უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდა (80:71). ამის შემდეგ...

*- არ ვიცი რა დაგვემართა, თითქოს საწვავი გამოგველია,* - თქვა **ელ ჰორფორდმა**, რომლის გუნდმა 80:71 დაწინაურების შემდეგ „ფილადელფიასგან" უპასუხო 14 ქულა მიიღო. ამ ეპიზოდში ზაზაც მოედანზე იყო, თუმცა მასპინძლები ვერც მან შეაჩერა. თამაშის იშტაზე მოსულმა „ფილადელფიამ" მეოთხე პერიოდი დამაჯერებლად ჩაატარა და, როგორც გითხარით, 105:100 იმარჯვა.

„საწვავის გამოლევასთან" შეიძლება კავშირი ჰქონდეს ერთ გარემოებას - „ატლანტამ" მხოლოდ 7 კაცით ითამაშა...

ზაზა ფაჩულიამ 17:32 წუთში 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულას 7 მოხსნა მიამატა. 33 ქულით გამოირჩა ჯოშ სმიტი. ხოლო „ფილადელფიას" კალათბურთელებმა გუნდური კალათბურთის მანიშნებლად ქულები თანაბრად გადაინაწილეს - ერთბაშად 7-მა მოთამაშემ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. სულ ათმა ითამაშა.




**ფილადელფია-ატლანტა 105:100**

**ზაზა ფაჩულია:** 17:32 წუთი, 4 ქულა (4-დან 2 ორქულიანი), 7 მოხსნა, 1 ფოლი, 2 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 01:14 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 00:33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:43 | ორქულიანი: 2ქ (30:30) |
| 08:12 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 07:51 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 07:49 | ორქულიანი: 4ქ (38:38) |
| 05:58 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 05:04 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 01:27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 00:35 | ფოლი: 1 |
| 00:35 | შეცდომა: 1 |
| **III პერიოდი** | |
| 02:04 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:28 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:36 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 11:02 | შეცდომა: 2 |
| 09:53 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:46 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● რაგბი



# ტურნე არმიის დამორჩილებით დაიწყეს

დიდიბრიტანეთის არმიის მორაგბეთა ნაკრებმა წლეულს შინაურ პაექრობებში სამ გამარჯვებას მიაღწია: ჯერ კემბრიჯელ და ოქსფორდელ სტუდენტებს სძლია, შესაბამისად, 34:8 და 24:8, შემდეგ კი „უოჩესტერ უორიორსი" დაამარცხა - 24:5. მეოთხე შეხვედრა კუნძულელმა არმიელებმა ქართველ მორაგბეებთან გამართეს. ინგლისში საქართველოს A ნაკრების გამგზავრება იყო დაგეგმილი, მაგრამ სათანადო შემადგენლობის შეკრება ვერ მოხერხდა, ამიტომ მწვრთნელებმა - **ლევან მაისაშვილმა** და **ნიკოლოზ ჭავჭავაძემ** სათადარიგოებს უხმეს, თან რუსეთთან მატჩის მონაწილენი - **ირაკლი ჩხიკვაძე, ჯაბა ბრეგვაძე** და **ვიტო კოლელიშვილი** დაიმატეს და „მომავლის საქართველოს" სახელით ესტუმრნენ გლოსტერის „კინგსჰოლმ სთედიუმს". ბრიტანულ არმიასთან დაპირისპირებაშიც არ შედრკნენ „ბორჯღალოსნები", მეტიც - პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით (20:0) მოიგეს. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა 17 ქულას მოუყარეს, სტუმრებმა კი მონაგარს 13 ქულა შემატეს და საბოლოოდ 30:17 გაიმარჯვეს (ლელო: **ასეიშვილი** (2), **შკინინი** (1), **ბრეგვაძე** (1), 2-2 ჯარიმა და გარდასახვა - **ყიასაშვილი**). ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გელა შალამბერიძე, ლაშა აზალაძე, ლაშა თავართქილაძე, ზვიად მაისურაძე, გიორგი კაჭარავა, ირაკლი ღვინჯილია, გიორგი ჯიმშელაძე, გიორგი შკინინი,** კარლენ ასეიშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, **რეზო ბელქანია, გიორგი მენაბდიშვილი,** ვიტო კოლელიშვილი, **ლაშა ხმალაძე, რევაზ გიგაური,** ირაკლი ჩხიკვაძე, **ელიზბარ ყუფარაძე, გიორგი მჭედლიშვილი, ბაჩუკი გუჯარაიძე, სანდრო ნიჟარაძე, გოდერძი ჯოგლიძე, გიგა კორკელია,** ირაკლი ყიასაშვილი, **დავით დაუშვილი.**

„მომავლის ბორჯღალოსნები" მომდევნო შეხვედრას 28 მარტს ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართავენ.

**ვაჟა დანელია**

## თენგიზ ჩხაიძე



**83 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი მოტოკროსმენი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი თენგიზ ჩხაიძე.**

**ათეული წლების განმავლობაში თ. ჩხაიძე იყო საქართველოში სპორტის ტექნიკურ სახეობათა კოორდინატორი და შეჯიბრებების ორგანიზატორი. მისი მონადინებით გაშენდა „იალღუჯის" სპორტის ტექნიკურ სახეობათა კომპლექსი. დიდხანს მუშაობდა საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ სპორტში.**

**შესანიშნავი სპეციალისტისა და პიროვნების თ. ჩხაიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმ ადამიანების ხსოვნაში, ვინც მას ახლოს იცნობდა.**

მეგობრები

*პანაშვიდი: 25.03; გამოსვენება 26.03 14 სთ-ზე. მისამართი კუტუზოვის 7.*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. სოფი; 3. "ჩიხურა"; 9. ელო; 10. ოსიყმაშვილი; 11. სევერინი; 12. უელსი; 14. რალი; 15. გუდაური; 18. ლიდერი; 20. გალდავა; 21. ბლიაძე; 24. საპორო; 25. ფია; 26. ნიკე; 27. ლეჟავა; 28. კაჭარავა; 29. ოქსი; 30. ილურიძე.

**შვეულად:** 1. სპონსორი; 2. ჭეიშვილი; 4. იაშინი; 5. ამისულაშვილი; 6. "მეტალურგი"; 7. გონგი; 8. ამერი; 13. "სუხია"; 16. ფიოდოროვი; 17. გოგია; 19. ჩელებაძე; 22. ადიდასი; 23. "მილანი"; 24. სალტო.

## ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მონოდება გარანტირებულია.

*დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74* **ელვა.ჯი.**

## თავგადასავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რადიო-ტელე სპორტული კომენტატორი ნუგზარ ჯულელი

### გარიტ ტბილისი!

ერთი ლამაზი ზაფხულია და ცოლშვილი თბილისიდან გავხიზნე.

„რა ტკბილი ხარ თავისუფლებავ!" - ვთქვი ბიძია-ბაბუასავით - ძლივს მარტო დავრჩი! რად გინდა მერე, ცოლი ორ დღეში მირეკავს, ნამეტანი წვიმებია და ისევ თბილისში უნდა დავბრუნდეთო.

მეცა პირკატა.

- არ გაბედო, არ ჩამოხვიდე აქ ისეთი სიცხეა, იწვის ყველაფერი, ნაყინს რომ ვიყიდი, პირთან მიტანას ვერ ვასწრებ, დნება-მეთქი.

- არ მჯერა! - მესმის ტელეფონის მეორე ბოლოდან ცოლის შეეჭვებული ხმა.

- არ გჯერა ხომ?

- არა.

- კარგი ბატონო, ხვალ კორტებზე ვარ. გადაცემა მიმყავს და მოუსმინე რას ვიტყვი.

- ვნახოთ! - წყდება საუბარი.

მეორე დღეს კორტებზე ვარ.

მიკროფონს „ვერგები". ასპარეზობა იწყება.

ეჭვი არაა, ჩემი მეუღლე (მით უმეტეს, თუ იქ წვიმს) ამ გადაცემას არ გამოტოვებს (რადიოთია გადაცემა), რა მოვიგონო ახლა, რომ დავარწმუნო? - ვფიქრობ გამწარებული. მოსკოველი ჟურნალისტი ქალია ჩამოსული - ანა დიმიტრიევა. რიგრიგობით უნდა გადავცეთ რეპორტაჟი კორტებიდან.

ანა - ვთხოვე მეგობრულად, - რასაც მე ვიტყვი (განსაკუთრებით ამინდზე), შენც იგივე გაიმეორე, თუ გიყვარვარ-მეთქი.

რატომ უნდა ვყვარებოდი ანას, არ დავაზუსტე, ვერც თვითონ გაიგო, მაგრამ კოლეგიალურად, სულგრძელად დამეთანხმა - კაიო!

- მაშ, ასე - გავხსენი ასპარეზობა, დღეს თბილისში, როგორც იტყვიან, პირდაპირ აუტანელი სიცხეა... იწვის, იბუგება ყველაფერი. აი, ამჟამად ჩემს გვერდით ზის ჩემი მოსკოველი კოლეგა ანასტასია დიმიტრიევა, რომელიც დამეთანხმება, რომ თბილისში წარმოუდგენლად აუტანელი სიცხეა: „ანასტასია, ჩტო ვი სკაჟეტე, ჟარკა, და?

- ჟარკა... ჟარკა... ჟარკა... გაიმეორა „იაშკა" თუთიყუშივით ანამ.

- ა ია. პრიამა სკაჟუ - უფრო დავიბოხე ხმა - პრიამო გარიტ... გარიტ სტალიცა გრუზიი, ტბილისი...

- და, ოჩენ ჟარკა, და... პრიამო გარიტ გოროდ! - იმეორებს ანაც. არადა, წვრილად, უჟმურად წინწკლავს... გრილა „საშინლად".

ესეც ასეეეე...

მაშინ კი „გავიდა" ჩემი „მეთოდი", მაგრამ მალევე გაიშიფრა და უკვე გასამეორებლად ძალა დაკარგა.

ისე კი, შემდეგაც, როცა მოსკოვში მოვხვდებოდი, ანა დიმიტრიევა დამინახავდა თუ არა:

- ნუ კაკ, ნუგზარჩიკ, - გარიტ ტბილისი?

- გარიტ, გარიტ! - ვიცინოდით ორ ხმაში.

ეს კარგი, მაგრამ აწი რა მოვიგონო?

### რა არ ხდება!

ერთი საღამოა, „მოამბეს" გადავცემ ტელევიზიით.

წესით, გადაცემის დაწყებამდე ფურცლები უნდა დავალაგო კადრების მიხედვით და გავაკეთო კომენტარები.

კი, ბატონო მაგრამ ჩემს წილ ეშმაკს არასდროს სძინავს.

ორ წუთში „მოამბე" უნდა დაიწყოს.

მოულოდნელად სტუდიაში ჩემი მეგობარი ფეხბურთელები არ შემოლაგდნენ?! - კახი ასათიანი და ვახტანგ ჭელიძე.

- ნუზარ - მეუბნებიან - საქმე გვაქვს შენთან, აუცილებელი.

- რა დროს საქმეა კაცო, მაცალეთ, „მოამბეს" გადავცემ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი.

- კარგი, ბატონო, თუ სხვა გამოსავალი არაა, მეტი რა გზაა, ეგრე იყოსო. არა, ცალი თვალით მაინც გვაჩვენე ტექსტიო. არ მომეშვებიან, ერთი წუთი კიდევაა დაწყებამდე, მივაწოდე ეს ფურცლები. მალევე დამიბრუნეს და ჩავიდნენ ფოიეში, მელოდებიან.

დაიწყო „მოამბე".

დავხედე ფურცლებს, დავიწმინდე ხმა და მთელი აკურატულობით დალაგებული ფურცლების კითხვას შევუდექი:

- უნდა მოგახსენოთ ძვირფასო ტელემაყურებლებო, რომ რუსთაველი მეტალურგები თავგამოდებით იბრძვიან დასახული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის.

გადავდე ფურცელი. მონიტორზე გავარვარებული მარტენის საამქრო ჩანს.

- დიახ - განვაგრძობ, თქვენ ახლა კადრში ხედავთ მშრომელი მეტალურგების ოფლით დაღარულ სახეებს.

ეკრანზე ჩაის ბუჩქი გამოჩნდა. გამიშრა პირი. სასწრაფოდ მოვძებნე „ჩაის ფურცელი" და რიხიანად ვამბობ:

- ჩვენი მეჩაიეები და მეციტრუსეები თავს არ იზოგავენ, რომ სოციალისტური შეჯიბრების გარდამავალი დროშა არავის დაუთმონ, ხედავთ ალბათ, თუ როგორ თავგამოდებით ირჯება თითოეული მათგანი ჩაის დუყებით გადამწვანებულ ბუჩქთან. შევხედე მონიტორს და კინაღამ გადავირიე: ვიღაც, ჩემი ცოდვით სავსე მეტალურგი უნიათოდ უჯაჯგურებს რკინის გრძელ კეტს ღუმელს. როგორმე უნდა გამოვასწორო სიტუაცია, თორემ ძალიან ცუდადაა საქმე.

- დიახ! - განვაგრძობ ტექსტის კითხვას - მოწინავე მეჩაიე, სონია ლაგვილავა... იმ უნიათო მეტალურგმა კიდევ ერთხელ დაატრიალა კეტი ღუმელში და კინაღამ თვითონაც შეჰყვა...

ყველაფერი ნათელი იყო, რა მიხვედრა უნდოდა, რომ ჩემმა „მეგობარმა" ფეხბურთელებმა „შური იძიეს" და საგანგებოდ დალაგებული ფურცლები ამირიეს. კვლავ შევეცადე მდგომარეობის გამოსწორებას:

- თქვენ ახლა ისევ რუსთაველ მეფოლადეს ხედავთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო, იგი თავგამოდ...

შევხედე მონიტორს.:

ბოსლიდან ჯერ ძროხამ გამოყო თავი, მერე მისმა პირმშომ, პატარა ხბომ. ეკრანს „ტაბლიცა" ააფარეს.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მოკლედ, ჩემმა „მეგობრებმა" გვარიან შარში გამხვიეს.

### რევანში

ვახტანგ ჭელიძე ჩემი „კიბო" იყო და გადავწყვიტე, ცოტათი მაინც გამეწბილებინა როგორმე.

საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ იმ თაობის „დინამო" სულ „ღადავოი" ბიჭებით იყო დაკომპლექტებული. ვისთვის რა ეხიმანდრებინათ და ეხარხარათ, ერთთავად სულ იმას ფიქრობდნენ. ისე კი მაშინდელ ამომავალ ვარსკვლავებს, კახი ასათიანს და ვახტანგ „მწვალებელს" და კიდევ ორ-სამ კაცს, ფეხბურთის გარდა არანაირი სპორტის სახეობა სპორტად არ მიაჩნდათ. მეტიც, ფეხბურთელის გარდა არც ერთ სპორტსმენს სპორტსმენად არ თვლიდნენ.

ეს ისე... განმარტებისთვის.

მე რომ ანგარიში მაქვს გასასწორებელი, ხომ გახსოვთ? თქვენც გახსოვთ, მეც ხომ მახსოვს და მახსოვს.

ჩემმა მსმენელებმა კარგად იციან, რომ მე ფეხბურთის პარალელურად ხშირად მიწევდა კალათბურთის მატჩის კომენტირებაც და, საერთოდაც ძალიან დიდ პატივს ვცემ სპორტის ამ სახეობას.

კეთილი და პატიოსანი.

ერთ დღეს მინსკში მივფრინავთ სათამაშოდ „დინამოსთან" ერთად.

თვითმფრინავის სალონში ერთგვარი მოწყენილობაა.

კახის და ვახტანგის ეშმაკურად უელავთ თვალები. ცდილობენ რაღაც „ისეთი" მითხრან, „გამარჯვებას" რომ იზეიმებენ და:

- ნუგზარ - მეკითხებიან, - შენი აზრით, რომელი უფრო პოპულარული სპორტია, ფეხბურთი თუ კალათბურთი?

ვიცი, ახლა ელიან, რომ ფეხბურთს ვარჩევ და თავს „გაიამაყებენ". კი, აბა! მაგის ჩიტი ვარ სწორედ.

- რა თქმა უნდა - კალათბურთი - ვთქვი მშრალად.

ყურებს არ დაუჯერეს.

- ფეხბურთი თქვი, ხომ?

- არა, ბატონო, არა! - კალათბურთი უფრო პოპულარული სპორტია.



- კალათბურთიო, ტო!- - გადახედა ამან - იმას.

- კაი რა! - იმან - ამას - ღადაობს!

- არაფერსაც არ ვღადაობ, მე ასე მიმაჩნია. - რაც მართალია, მართალია!

სასტიკად უჟმურ ხასიათზე დადგნენ. მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ.

მინსკში წავაგეთ.

უკან მოვფრინავთ. ბიჭები დაზაფრულები არიან, დანა კბილს არ უხსნით.

- ვაბშე ეგ კაცი თარსია! - ამბობს დაბოლმილი ვახტანგი.

- ვიზე ამბობ? - ეკითხებიან.

- ვიზე და ეგე, ნუგზარი... მაგის ბრალია ეს წაგება.

- ნუგზარი რა შუაშია?

- აბა ვინაა შუაში! - არ ცხრება ვახტანგი - კალათბურთი ურჩევნია მაგას ფეხბურთს!

„აბა რა გეგონათ, მეჩაიეს რომ მარტენის ღუმელში კინაღამ შეაყოფინეთ თავი? - ვზეიმობ გულში".

- ფეხი, ფეხი არ გივარგა შენ! - მეუბნება კახი.

- ხო, რა, ფეხი არ უვარგა - ემოწმება ვახტანგი.

აქ კი ველარ მოვითმინე:

- ჩემი ფეხი რა შუაშია, თქვენ თვითონ არ გივარგათ ფეხები, სად დააბოტებთ კაცმა არ იცის, თქვენ რომ ფეხები გივარგოდეთ, ბურთსაც გაიტანდით და მატჩსაც მოიგებდით. ჩემი ფეხები თუ გიშველით, მოვიჭრი და გაჩუქებთ, მაგრამ თქვენი საშველი მაინც არ იქნება!

ხმა არ ამოუღიათ.

რევანში აღებული იყო!

**მურმან მერკვილიშვილი**

## FM 107,9

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ფორმულა 1. სეზონის წინ

# კულტჰარდი ახალ სეზონზე

## ავსტრალიის უქმეები

**პარასკევი**

05:25 - I თავისუფალი პრაქტიკა
09:25 - II თავისუფალი პრაქტიკა

**შაბათი**

06:55 - I თავისუფალი პრაქტიკა
09:55 - კვალიფიკაცია

**კვირა**

09:50 - რბოლა



**ნარსულში ცნობილმა შოტლანდიელმა პილოტმა დევიდ კულტჰარდმა ჟურნალ "ავტოსპორტის" მკითხველებს გაუზიარა თავისი მოსაზრებები ახალი სეზონის შესახებ: წესების ცვლილებებზე, ტიტულის პრეტენდენტებზე... აგრეთვე იმაზე, რომ "მერსედესსაც" შეუძლია საჩემპიონო ბრძოლაში ჩართვა.**

წელს ყველაზე მეტი ლაპარაკი იქნება საბურავებზე. "პირელის" ახალი საბურავები მოგვცემს იმას, რაც თითოეულ ჩვენგანს ყველაზე მეტად უნდოდა: არაპროგნოზირებად რბოლებს. მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში მიხდებოდა ისეთ სიტუაციებთან გამკლავება, როგორიცაა მოულოდნელი წვიმა ან ასფალტის მაქსიმალურ ტემპერატურამდე გახურება. საბურავის მდგომარეობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული - განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერ რთულია ტრასასთან მოჭიდების დონის შესახებ მსჯელობა. ასეთ დროს შეიძლება ბევრი სიურპრიზი მოხდეს. ზოგიერთი პილოტი ჩიოდა საბურავების ხარისხის გამო, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს სეზონის შემადგენელი ნაწილია. თანაც ყველა თანაბარ სიტუაციაში იმყოფება.

შარშანდელთან შედარებით სიჩქარეში სხვაობა უდიდესი იქნება. KERS-ის სისტემის დაბრუნება და მოძრავი ანტიფრთა პილოტებს აიძულებს, უფრო ყურადღებით იცქირონ უკანა ხედვის სარკეში. KERS-ის შემთხვევაში თავად შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს სისტემა - დააჭიროთ ხელი ღილაკს იმ მომენტში, როცა მეტოქე გიტევთ. უკანა ანტიფრთის შემთხვევაში კი დაუცველი რჩებით შეტევაზე გადმოსული პილოტის წინააღმდეგ.

მაგრამ, ხომ გახსოვთ, რა მოხდა შარშან ვალენსიაში **მარკ უებერისა** და **ჰეიკი კოვალაინენის** ინციდენტისას? სისწრაფეში დიდი სხვაობა ძალიან მაშინებს.

■ ■ ■

არსებობს თუ არა ისეთი რამ, რაც **სებასტიან ფეტელსა** და "რედ ბულს" ხელს შეუშლის ზედიზედ მეორე ტიტულის მოპოვებაში? ახალი ბოლიდი შესანიშნავად გამოიყურება, სებაც იმ დონეზე იმყოფება, როგორც მსოფლიოს ჩემპიონს შეჰფერის. მე კვლავინდებურად მივიჩნევ მას ფეხზე მყარად მდგარ, ენერგიით ალსავსე ახალგაზრდად, რომელიც მზად არის დაიცვას თავისი ტიტული და მაჟორულ ნოტაზე გააგრძელოს ჯერჯერობით მოკლე, მაგრამ უკვე შთამბეჭდავი კარიერა.

რაც შეეხება მარკ უებერს, მას მხოლოდ კვალიფიკაციაზე მეათედი წამის გაბათილება სჭირდება - ასეთია სხვაობა სტარტზე პოულსა და მეორე ადგილს შორის. შეიძლება თუ არა სასტარტო პოზიცია ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს ამ სეზონში? სავარაუდოდ ასეა, მაგრამ სწორედ კვალიფიკაციაში ტემპი იყო გასულ სეზონში "რედ ბულის" პილოტების ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი.

"ფერარი" მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი დაარსების დღიდან გამოდის და შარშანდელი შედეგი მოულოდნელობა არ ყოფილა: "სკუდერიას" ტრიუმფის მომენტებიც ჰქონდა და სამწუხარო ჩავარდნებიც. ეს ყველაზე მძლავრი საჯინიბოა. შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს ეს, მაგრამ "ფერარი" ფორმულა 1-ის განუყოფელი ნაწილია და **ფერნანდო ალონსოს** მეთაურობით ის "რედ ბულის" მთავარ კონკურენტად მიიჩნევა.

"მაკლარენს" იმდენად დიდი ძალა და რესურსი აქვს, რომ შეუძლია წინ იაროს სხვებისგან განსხვავებული გზით. ეჭვგარეშეა, რომ ბოლო რამდენიმე წელია ამ საჯინიბოს განვითარების უსწრაფესი ტემპი ჰქონდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბრიტანელები 1998 წლის შემდეგ ვერ ახერხებენ კონსტრუქტორთა თასის მოგებას. მართალია, რამდენიმე წლის წინ **ლუის ჰემილტონმა** ტიტული მოიგო, მაგრამ აშკარაა, რომ "მაკლარენის" მექანიზმი ბოლომდე მწყობრად ვერ მუშაობს.

"მაკლარენი" ის გუნდია, რომელიც წარმატებას არის მოწყურებული, ასე რომ, დადგა ტრიუმფით ტკბობის დრო და არა იმაზე ჩივილი: *"რა ახლოს ვიყავით ტიტულთან"*.

■ ■ ■

ბევრი რამ შეიცვალა "მერსედესში" იმისთვის, რომ ბოლიდი მაქსიმალურად ყოფილიყო ადაპტირებული **მიხაელ შუმახერის** პილოტირების სტილთან. როცა "ჰონდა"-"ბრაუნი"-"მერსედესის" ევოლუციას უყურებ, რთული მისახვედრია, რატომ წააგო ამ გუნდმა უფრო მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე საქარხნო გუნდმა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს პრობლემა საჯინიბოს ხელმძღვანელებმა გულთან ახლოს მიიტანეს და მდგომარეობის გამოსწორება გადაწყვიტეს.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამ სეზონში მათ გამოსვლაზე - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორი შედეგები ექნება მიხაელს **ნიკო როსბერგთან** შედარებით. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს - ამ გუნდმა იცის, როგორ უნდა მოიგოს ტიტულები. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ "მერსედესს" ძალუძს დაუბრუნდეს საჩემპიონო ბრძოლას, მაგრამ, როგორც ჩანს, თავიდან ის ცოტათი უკან იქნება ლიდერებთან შედარებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, "მერსედესს", ისევე როგორც სხვა გუნდებსა და გულშემატკივრებს, წინ საინტერესო სეზონი ელით.

## კალენდარი

| თარიღი/ადგილი | წრე | რაოდ | დისტ |
|---|---|---|---|
| 27/03 - ავსტრალია | 5303 მ | 58 | 307.574 კმ |
| 10/04 - მალაიზია | 5543 მ | 56 | 310.408 კმ |
| 17/04 - ჩინეთი | 5451 მ | 56 | 305.066 კმ |
| 8/05 - თურქეთი | 5338 მ | 58 | 309.396 კმ |
| 22/05 - ესპანეთი | 4655 მ | 66 | 307.104 კმ |
| 29/05 - მონაკო | 3340 მ | 78 | 260.520 კმ |
| 12/06 - კანადა | 4361 მ | 70 | 305.270 კმ |
| 26/06 - ევროპა | 5419 მ | 57 | 308.883 კმ |
| 10/07 - ბრიტანეთი | 5891 მ | 52 | 306.227 კმ |
| 24/07 - გერმანია | 5148 მ | 60 | 308.863 კმ |
| 31/07 - უნგრეთი | 4381 მ | 70 | 306.630 კმ |
| 28/08 - ბელგია | 7004 მ | 44 | 308.052 კმ |
| 11/09 - იტალია | 5793 მ | 53 | 306.720 კმ |
| 25/09 - სინგაპური | 5073 მ | 61 | 309.316 კმ |
| 9/10 - იაპონია | 5807 მ | 53 | 307.471 კმ |
| 16/10 - კორეა | 5615 მ | 55 | 308.630 კმ |
| 30/10 - ინდოეთი | 5137 მ | 60 | 309.220 კმ |
| 13/11 - აბუ დაბი | 5554 მ | 55 | 305.355 კმ |
| 27/11 - ბრაზილია | 4309 მ | 71 | 305.909 კმ |

## 5 ჩემპიონი და 4 დებიუტანტი

წელს ფორმულა 1-ში განსაკუთრებული ჩემპიონატი იქნება. ტრასაზე წინა წლების ხუთი ჩემპიონი გავა - ასეთი რამ 1969 და 1970 წლების შემდეგ არ ყოფილა. ვარსკვლავური კვინტეტი ასე გამოიყურება: გერმანელები - **მიხაელ შუმაერი** და **სებასტიან ფეტელი**, ბრიტანელები - **ლუის ჰემილტონი** და **ჯენსონ ბატონი**, ესპანელი **ფერნანდო ალონსო**. მათზე ჯამში 12 ტიტული მოდის!

მათ გვერდით იასპარეზებს ოთხი დებიუტანტი: თვით **უგო ჩავესის** პროტეჟე, ვენესუელელი **პასტორ მალდონადო** ("უილიამსი"), პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანის **კარლოს სლიმის** ფავორიტი, მექსიკელი **სერხიო პერესი** ("ზაუბერი"), აგრეთვე ბრიტანელი **პოლ დი რესტა** ("ფორს ინდია") და ბელგიელი **ჟერომ დ'ამბროზიო** ("ვირჯინი").

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## გუნდები და პილოტები

### RED BULL



**შასი: Red Bull RB7** | **ძრავა: Renault RS27-2011**

პირველი გრანპრი: ავსტრალია'05 | სულ გრანპრი: 108 | გამარჯვებები: 15
პოდიუმები: 39 | პოულები: 20 | საუკეთესო წრე: 12
ქულები: 754.5 | კონსტრუქტორთა თასი: 1 | საჩემპიონო ტიტული: 1

#### 1. სებასტიან ფეტელი

მსოფლიოს ჩემპიონი: 2010
დაიბადა: 03.07.1987, ჰეპენჰაიმი, გერმანია
დებიუტი: აშშ'07. სიმაღლე: 174 სმ. წონა: 64 კგ
სტ: 62. მოგებ: 10. პოულ: 15. საუკ. წრე: 6. ქულა: 381
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: გიიომ როკელენი

#### 2. მარკ უებერი

საუკეთესო შედეგი: მე-3 ადგილი (2010)
დაიბადა: 27.08.1976, ქუინბეიენი, ავსტრალია
დებ: ავსტრალია'02. სიმაღლე: 185 სმ. წონა: 76 კგ
სტ: 157. მოგებ: 6. პოულ: 6. საუკ. წრე: 6. ქულა: 411.5
ცხოვრობს ბრიტანეთში
სარბოლო ინჟინერი: საირონ პილბიმი

### MCLAREN



**შასი: McLaren MP4-26** | **ძრავა: Mercedes-Benz FO 108Y**

პირველი გრანპრი: მონაკო'66 | სულ გრანპრი: 684 | გამარჯვებები: 169
პოდიუმები: 452 | პოულები: 146 | საუკეთესო წრე: 142
ქულები: 3834.5 | კონსტრუქტორთა თასი: 8 | საჩემპიონო ტიტული: 12

#### 3. ლუის ჰემილტონი

მსოფლიოს ჩემპიონი: 2008
დაიბადა: 7.01.1985, სტივენეიჯი, ბრიტანეთი
დებ: ავსტრალია'07. სიმაღლე: 174 სმ. წონა: 68 კგ
სტ: 71. მოგებ: 14. პოულ: 18. საუკ. წრე: 8. ქულა: 496
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: ენდი ლეტამი

#### 4. ჯენსონ ბატონი

მსოფლიოს ჩემპიონი: 2009
დაიბადა: 19.01.1980, ფრომი, ბრიტანეთი
დებ: ავსტრალია'00. სიმაღლე: 182 სმ. წონა: 71 კგ
სტ: 189. მოგებ: 9. პოულ: 7. საუკ. წრე: 3. ქულა: 541
ცხოვრობს მონაკოში
სარბოლო ინჟინერი: დეივ რობსონი

### FERRARI



**შასი: Ferrari 150° Italia** | **ძრავა: Ferrari 056**

პირველი გრანპრი: მონაკო'50 | სულ გრანპრი: 812 | გამარჯვებები: 215
პოდიუმები: 643 | პოულები: 205 | საუკეთესო წრე: 224
ქულები: 4489.5 | კონსტრუქტორთა თასი: 16 | საჩემპიონო ტიტული: 15

#### 5. ფერნანდო ალონსო

მსოფლიოს ჩემპიონი: 2005, 2006
დაიბადა: 29.07.1981, ოვიედო, ესპანეთი
დებ: ავსტრალია'01. სიმაღლე: 171 სმ. წონა: 64 კგ
სტ: 157. მოგებ: 26. პოულ: 20. საუკ. წრე: 18. ქულ: 829
ცხოვრობს ბრიტანეთში
სარბოლო ინჟინერი: ანდრეა სტელა

#### 6. ფელიპე მასა

საუკეთესო შედეგი: მე-2 ადგილი (2008)
დაიბადა: 25.04.1981, სან პაულუ, ბრაზილია
დებ: ავსტრალია'02. სიმაღლე: 166 სმ. წონა: 59 კგ
სტ: 133. მოგებ: 11. პოულ: 15. საუკ. წრე: 12. ქულ: 464
ცხოვრობს მონაკოში
სარბოლო ინჟინერი: რობ სმედლი

### MERCEDES GP



**შასი: Mercedes MGP W02** | **ძრავა: Mercedes-Benz FO 108Y**

პირველი გრანპრი: საფრანგეთი'54 | სულ გრანპრი: 19(12) | გამარჯვებები: 0(9)
პოდიუმები: 3(17) | პოულები: 0(8) | საუკეთესო წრე: 0(9)
ქულები: 214(139) | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0

#### 7. მიხაელ შუმახერი

მსოფლიოს ჩემპიონი: 1994, 95, 2000, 01, 02, 03, 04
დაიბადა: 3.01.1969, ჰ-ჰერმიულჰაიმი, გერმანია
დებ: ბელგია'91. სიმაღლე: 174 სმ. წონა: 68 კგ
სტ: 267. მოგებ: 91. პოულ: 68. საუკ. წრე: 76. ქულ: 1441
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: მარკ სლეიდი

#### 8. ნიკო როსბერგი

საუკეთესო შედეგი: მე-7 ადგილი (2009, 2010)
დაიბადა: 27.06.1985, ვისბადენი, გერმანია
დებ: ბაჰრეინი'06. სიმაღლე: 178 სმ. წონა: 67 კგ
სტ: 89. საუკ. ფინიში: მე-2. საუკ. წრე: 2. ქულა: 217.5
ცხოვრობს მონაკოში
სარბოლო ინჟინერი: ტონი როსი

### LOTUS RENAULT GP.



**შასი: Renault R31** | **ძრავა: Renault RS27-2011**

პირველი გრანპრი: ბრიტანეთი'54 | სულ გრანპრი: 284 | გამარჯვებები: 35
პოდიუმები: 98 | პოულები: 51 | საუკეთესო წრე: 31
ქულები: 1245 | კონსტრუქტორთა თასი: 2 | საჩემპიონო ტიტული: 2

#### 9. ნიკ ჰაიდფელდი

საუკეთესო შედეგი: მე-5 ადგილი (2007)
დაიბადა: 10.05.1977, მიონხენგლადბახი, გერ
დებ: ავსტრალია'00. სიმაღლე: 165 სმ. წონა: 61 კგ
სტ: 172. საუკ. ფინიში: მე-2. პოული: 1. ქულა: 225
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: საიმონ რენი

#### 10. ვიტალი პეტროვი

საუკეთესო შედეგი: მე-13 ადგილი (2010)
დაიბადა: 8.09.1984, ვიბორგი, რუსეთი
დებ: ბაჰრეინი'10. სიმაღლე: 185 სმ. წონა: 72 კგ
სტ: 19. საუკ. ფინიში: მე-5. საუკ. წრე: 1. ქულა: 27
ცხოვრობს ბრიტანეთში
სარბოლო ინჟინერი: აიო კომაცუ

### WILLIAMS



**შასი: Williams FW33** | **ძრავა: Cosworth 2011k**

პირველი გრანპრი: არგენტინა'75 | სულ გრანპრი: 555 | გამარჯვებები: 113
პოდიუმები: 296 | პოულები: 126 | საუკეთესო წრე: 130
ქულები: 2669 | კონსტრუქტორთა თასი: 9 | საჩემპიონო ტიტული: 7

#### 11. რუბენს ბარიკელო

საუკეთესო შედეგი: მე-2 (2002, 2004)
დაიბადა: 23.05.1972, სან პაულუ, ბრაზილია
დებ: ს. აფრიკა'93. სიმაღლე: 172 სმ. წონა: 72 კგ
სტ: 303. მოგებ: 11. პოულ: 14. საუკ. წრე: 17. ქულ: 654
ცხოვრობს მონაკოში
სარბოლო ინჟინერი: ტიმ მაკალოუ

#### 12. პასტორ მალდონადო

ჩემპიონატის დებიუტანტი
დაიბადა: 9.03.1985, მარაკა, ვენესუელა
დებ: ავსტრალია'11. სიმაღლე: 173 სმ. წონა: 66 კგ
2011-მდე: სტარტი: 0
ცხოვრობს საფრანგეთში
სარბოლო ინჟინერი: ქსევი პუჯოლარი

## ფორმულა 1. სეზონის წინ

# გუნდები და პილოტები

## FORCE INDIA




**შასი: VJM04** — **ძრავა: Mercedes FO 108Y**

პირველი გრანპრი: ავსტრალია'08 | სულ გრანპრი: 54 | გამარჯვებები: 0
პოდიუმები: 1 | პოულები: 1 | საუკეთესო წრე: 1
ქულები: 81 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0

### 14. ადრიან სუტილი

საუკეთესო შედეგი: მე-11 ადგილი (2010)
დაიბადა: 11.01.1983, გრეფელფინგი, გერმანია
დებ: ავსტრალია'07. სიმაღლე: 183 სმ. წონა: 75 კგ
სტ: 71. საუკ. წრე: 1. საუკ. ფინიში: მე-4. ქულა: 53
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: ბრედლი ჯოისი

### 15. პოლ დი რესტა

ჩემპიონატის დებიუტანტი
დაიბადა: 16.04.1986. აპოლი, შოტლანდია
დებ: ავსტრალია'11. სიმაღლე: 185 სმ. წონა: 78 კგ
სტარტი: 0
ცხოვრობს ბრიტანეთში
სარბოლო ინჟინერი: ჯანპიერო ლამბიაზე

## SAUBER




**შასი: Sauber C30** — **ძრავა: Ferrari 056**

პირველი გრანპრი: ს. აფრიკა'93 | სულ გრანპრი: 234 | გამარჯვებები: 0
პოდიუმები: 6 | პოულები: 0 | საუკეთესო წრე: 0
ქულები: 239 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0

### 16. კამუი კობაიაში

საუკეთესო შედეგი: მე-12 ადგილი (2010)
დაიბადა: 13.09.1986, ამაგასაკი, იაპონია
დებ: ბრაზილია'09. სიმაღლე: 170 სმ. წონა: 63 კგ
სტ: 21. საუკ. ფინიში: მე-6 ადგილი. ქულა: 35
ცხოვრობს საფრანგეთში
სარბოლო ინჟინერი: ფრანჩესკო ნენსი

### 17. სერხიო პერესი

ჩემპიონატის დებიუტანტი
დაიბადა: 26.12.1989, გვადალახარა, მექსიკა
დებ: ავსტრალია'11. სიმაღლე: 172 სმ. წონა: 62 კგ
სტარტი: 0
ცხოვრობს გერმანიაში
სარბოლო ინჟინერი: მარკო შუპბახი

## TORO ROSSO




**შასი: Toro Rosso STR6** — **ძრავა: Ferrari 056**

პირველი გრანპრი: ბაჰრეინი'06 | სულ გრანპრი: 89 | გამარჯვებები: 1
პოდიუმები: 1 | პოულები: 1 | საუკეთესო წრე: 0
ქულები: 69 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0

### 18. სებასტიან ბუემი

საუკეთესო შედეგი: მე-16 ადგილი (2009, 2010)
დაიბადა: 31.10.1988, ეგლი, შვეიცარია
დებ: ავსტრალია'09. სიმაღლე: 172 სმ. წონა: 65 კგ
სტარტი: 36. საუკ. ფინიში: მე-7. ქულა: 14
ცხოვრობს ბაჰრეინში
სარბოლო ინჟინერი: რიკარდო ადამი

### 19. ხაიმე ალგერსუარი

საუკეთესო შედეგი: მე-19 ადგილი (2010)
დაიბადა: 23.03.1990, ბარსელონა, ესპანეთი
დებ: უნგრეთი'09. სიმაღლე: 181 სმ. წონა: 65 კგ
სტარტი: 27. საუკ. ფინიში: მე-9. ქულა: 5.
ცხოვრობს ესპანეთში
სარბოლო ინჟინერი: ანდრეა ლანდი

## LOTUS




**მანქანა: T128** — **ძრავა: Renault RS27-2011**

პირველი გრანპრი: მონაკო'58 | სულ გრანპრი: 19(491) | გამარჯვებები: 0(79)
პოდიუმები: 0(172) | პოულები: 0(107) | საუკეთესო წრე: 0(71)
ქულები: 1335 | კონსტრუქტორთა თასი: 0(7) | საჩემპიონო ტიტული: 0(6)

### 20. იარნო ტრული

საუკეთესო შედეგი: მე-6 ადგილი (2004)
დაიბადა: 13.07.1974, პესკარა, იტალია
დებ: ავსტრალია'97. სიმაღლე: 173 სმ. წონა: 60 კგ
სტ: 235. მოგებ: 1. პოულ: 4. საუკ. წრე: 1. ქულ: 246.5
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: ჯანლუკა პიზანელო

### 21. ჰეიკი კოვალაინენი

საუკეთესო შედეგი: მე-7 ადგილი (2007, 2008)
დაიბადა: 19.10.1981, სუომუსალმი, ფინეთი
დებ: ავსტრალია'07. სიმაღლე: 172 სმ. წონა: 66 კგ
სტ: 70. მოგებ: 1. პოულ: 1. საუკ. წრე: 2. ქულა: 105
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: ხუან რამირესი

## HRT



**შასი: F111** — **ძრავა: Cosworth CA2011**

პირველი გრანპრი: ბაჰრეინი'10 | სულ გრანპრი: 19 | გამარჯვებები: 0
პოდიუმები: 0 | პოულები: 0 | საუკეთესო წრე: 0
ქულები: 0 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0

### 22. ნარაიან კართიკეიანი

საუკეთესო შედეგი: მე-18 ადგილი (2005)
დაიბადა: 14.01.1977, მადრასი, ინდოეთი
დებ: ავსტრალია'05. სიმაღლე: 167 სმ. წონა: 60 კგ
სტარტი: 19. საუკ. ფინიში: მე-4. ქულა: 5
ცხოვრობს ინდოეთში
სარბოლო ინჟინერი: რიჩარდ კონელი

### 23. ვიტანტონიო ლიუცი

საუკეთესო შედეგი: მე-15 ადგილი (2010)
დაიბადა: 06.08.1981, ლოკოროტონდო, იტალია
დებ: სან მარინო'05. სიმაღლე: 178 სმ. წონა: 67 კგ
სტარტი: 63. საუკ. ფინიში: მე-5. ქულა: 26
ცხოვრობს შვეიცარიაში
სარბოლო ინჟინერი: -

*ინტერვიუ სებასტიან ფეტელთან*

# საჩემპიონო თასი სამზარეულოში დგას

## მთავარია სწრაფ მანქანაზე იჯდე... რედ ბულში მაქვს ასეთი შესაძლებლობა

სეზონის წინ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა ინტერვიუ მისცა გერმანულ გაზეთ „ბილდს“, რომელშიც მომავალ ჩემპიონატზე საკუთარი და კონკურენტების შანსები შეაფასა.

**- სებასტიან, ამ არდადეგებზე რამდენჯერ გაწმინდეთ საჩემპიონო თასი? და რა საპატიო ადგილი უკავია მას თქვენს სახლში?**

- რამდენჯერმე გავაკეთე ეს. ამ მომენტისთვის ის სამზარეულოში დგას.

**- არაფერი გექნებათ იმის საწინააღმდეგო, რომ ეს თასი კვლავაც თქვენი ინტერიერის საგნად დარჩეს. რამდენად იოლი იქნება ბრძოლა ჩემპიონის რანგში? ბოლიდზე „ნომერი 1“ დამატებითი მოტივაციაა თუ მძიმე ტვირთი?**

- დიახ, ძალიან მინდა, რომ თასი ჩემთან დარჩეს. შესაძლოა, საჩემპიონო ტიტული დამატებით დამაჯერებლობას გმატებს, მაგრამ სეზონის წინ ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. ასე რომ, მანქანაზე „ნომერი 1“ ამ მხრივ არანაირ უპირატესობას არ მომიტანს.

**- წლევანდელ ჩემპიონატში თქვენ უკვე სხვების სამიზნე იქნებით და არა სხვებზე მონადირე. შეცვლის თუ არა ეს თქვენს მიდგომას, სტრატეგიას, ტაქტიკას?**

- ჩემი სამუშაო არ განსხვავდება იმისგან, რაც ადრე იყო. ახალ სეზონს ყველა ნული ქულით იწყებს და ბრძოლა რთული იქნება.

**- შეუძლია თუ არა „რედ ბულს“ 2011 წელს დომინირება? ვის მიიჩნევთ მთავარ მოწინააღმდეგედ?**

- იმედი მაქვს, რომ კარგი შეგრძნებები მექნება. „ფერარი“, „მაკლარენი“ და ალბათ, „მერსედესი“ იქნებიან ძლიერები. შესაძლოა, გარკვეული სიურპრიზებიც გველოდება წინ. მაგალითად, „რენოსგან“ ან „ტორო როსოსგან“.

**- თქვენი მეწყვილე მარკ უებერი უფრო დამხმარე იქნება თუ მოწინააღმდეგე? როგორი ურთიერთობა გაქვთ? თქვენს შორის უკვე იყო უთანხმოება.**

- ის დამხმარეც იქნება და მეტოქეც. ჩვენ შორის პროფესიული დამოკიდებულებაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ტრასაზე მის მიმართ ისევე ვიმოქმედებ, როგორც ნებისმიერი კონკურენტის წინააღმდეგ.

**- „რედ ბულის“ ბოსმა დიტერ მატეშიცმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ არ ეშინია თქვენი გუნდიდან წასვლის. მანვე ისიც განაცხადა, რომ არ აპირებს ძალით თქვენს დატოვებას და „რედ ბულში“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებით, თუ გუნდი კონკურენტუნარიან ბოლიდს შემოგთავაზებთ. ბოსი სიმართლეს ლაპარაკობს?**

- პასუხი საკმაოდ მარტივია: პილოტს ყოველთვის სურს უსწრაფესი მანქანა ჰყავდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია კარგად იგრძნო გუნდში თავი. „რედ ბულში“ კომფორტულად ვარ, ეს საჯინიბო ერთი დიდი ოჯახივითაა.

**- რაში მდგომარეობს „რედ ბულის“ წარმატების საიდუმლო?**

- ეს არის ძალიან მოტივირებული ახალგაზრდა გუნდი, რომელსაც ყველა პოზიცია ძლიერი აქვს.

**- არ გხიბლავთ ერთხელ მაინც „ფერარიში“ ან „მერსედესში“ გამოსვლის პერსპექტივა? „მერსედესის“ ბოსთან ნორბერტ ჰაუგთან ხანგრძლივი და კარგი ურთიერთობა გაქვთ...**

- ცხოვრებაში ბევრი პერსპექტივა არსებობს. მიყვარს იტალიური კერძები, თავად იტალია, პადოკში ბევრთან კარგი ურთიერთობა მაქვს... მაგრამ მთავარია იჯდე სწრაფი მანქანის საჭესთან. „რედ ბულში“ მაქვს ასეთი შესაძლებლობა.

**- ვისთან გაქვთ ფორმულა 1-ში საუკეთესო ურთიერთობა? ვინმესთან მეგობრობთ?**

- ჩვეულებრივ ცხოვრებაში ნამდვილი მეგობარი ყველას ჰყავს. ფორმულა 1-ში მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება რთულია, რადგან ყველას ერთი მიზანი აქვს და ერთმანეთის მეტოქეები არიან. თუმცა ჩვენ კარგად ვეწყობით მიხაელ შუმახერს.

**- რას ელოდებით მიხაელისგან ამ სეზონში? შეძლებს თუ არა ის რბოლების ან თუნდაც ჩემპიონატის მოგებას? თუ როსბერგი ისევ დაამარცხებს ვეტერანს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ მიხაელს თავისი გამოცდილებისა და ოსტატობის ხარჯზე ყველაფერი შეუძლია. სხვა პილოტების მსგავსად, მასაც ძალუძს ჩემპიონის ტიტულის მოგება, ოღონდ კარგი მანქანის პირობებში.

**- რას ელით „პირელის“ ახალი საბურავებისგან? ტესტებზე მათი გამძლეობა აშკარად მოიკოჭლებდა.**

- ჯერჯერობით ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება - რბოლაში ორზე მეტი პიტსტოპი იქნება.

**- კარგი იდეაა თუ არა KERS-ის სისტემის დაბრუნება და მოძრავი უკანა ანტიფრთის შემოღება, რათა გასწრების უფრო მეტი შესაძლებლობა შეიქმნას?**

- ყველა ერთ პირობებში ვიქნებით. ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ეს სიახლე რბოლის მიმდინარეობაზე.

**- ხომ შეიძლება ეს სახიფათო იყოს? პილოტს ათასგვარი სისტემის ასამოქმედებლად ღილაკებზე თითის დაჭერა მოუწევს და ამან შეიძლება კონცენტრაცია დაუკარგოს უშუალოდ პილოტირების დროს.**

- არა მგონია. საკითხი მხოლოდ იმაშია, რა სიამოვნებას მიიღებენ ამისგან პილოტები.

**- 2011 წელს ჩემპიონობის გარდა ნებისმიერი შედეგი იმედგაცრუება იქნება?**

- თუ მეცოდინება, რომ მიზნის მისაღწევად ძალების მაქსიმუმი გავიღე, კმაყოფილი დავრჩები. თუ ეს ტიტულს მომიტანს - მით უკეთესი.

**- ფორმულა 1-ის გარდა კიდევ რა სურვილები გაქვთ?**

- მინდა მეტი დრო მქონდეს ოჯახისთვისა და მეგობრებისთვის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## VIRGIN RACING




**შასი: Virgin Racing VR-02** — **ძრავა: Cosworth CA2011**

პირველი გრანპრი: ბაჰრეინი'10 | სულ გრანპრი: 19 | გამარჯვებები: 0
პოდიუმები: 0 | პოულები: 0 | საუკეთესო წრე: 0
ქულები: 0 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0

### 24. ტიმო გლოკი

საუკეთესო შედეგი: მე-10 ადგილი (2008, 2009)
დაიბადა: 18.03.1982, ლინდენფელცი, გერმანია
დებ: კანადა'04. სიმაღლე: 169 სმ. წონა: 64 კგ
სტ: 54. საუკ. ფინიში: მე-2. საუკ. წრე: 1. ქულა: 51.
ცხოვრობს გერმანიაში
სარბოლო ინჟინერი: მიხაელ პარე

### 25. ჟერომ დ'ამბროზიო

ჩემპიონატის დებიუტანტი
დაიბადა: 27.12.1985, ეტერბეკი, ბელგია
დებ: ავსტრალია'11. სიმაღლე: 173 სმ. წონა 62 კგ.
2011-მდე: სტარტი: 0
ცხოვრობს ბელგიაში
სარბოლო ინჟინერი: მარკ პათჩესონი

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| **UNDER 21** | |
| ლიტვა-ლატვია | 1:2 |
| დანია-ინგლისი | 0:4 |
| უკრაინა-ისლანდია | 3:2 |
| ბელგია-შოტლანდია | 1:0 |
| უნგრეთი-ავსტრია | 0:2 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 3:2 |
| იტალია-შვედეთი | 3:1 |
| **UNDER 20** | |
| ხორვატია-უკრაინა | 1:2 |
| გერმანია-პოლონეთი | 1:1 |
| **UNDER 19** | |
| მაკედონია-რუმინეთი | 4:0 |
| იტალია-ჰოლანდია | 1:0 |
| მოლდოვა-რუსეთი | 1:3 |
| **UNDER 18** | |
| გერმანია-საფრანგეთი | 1:2 |
| **კლუბები** | |
| პირინი-ლოკომოტივი | 2:5 |
| ალტახი-სტ. გალენი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ცრ. ზვეზდა | 1:1 |
| ჰაველსე-ვოლფსბურგი | 0:2 |
| **ევრო 2001** | |
| **UNDER 17** | |
| პორტუგალია-ხორვატია | 0:0 |
| ჰოლანდია-ავსტრია | 2:1 |
| გერმანია-თურქეთი | 2:0 |
| შვეიცარია-უკრაინა | 1:0 |
| რუმინეთი-ისლანდია | 0:0 |
| უნგრეთი-რუსეთი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (და)** | |
| ელვერსბერგი-შალკე A | 0:0 |
| მუნსტერი-კაიზერი A | 2:1 |
| **ჩილე** | |
| კობრესალი-უნ. დე ჩილე | 2:5 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| კახა ლაბორალი-მაკაბი | 81:83 |
| ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი | 65:82 |
| რეალი-ვალენსია | 75:81 |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 71:75 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ლუკოილი-აკადემიკი | 61:75 |
| ლოკომოტივი-გრაველენი | 86:68 |
| პინარი-სპარტაკი | 71:89 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 4:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-ვენა | 6:4 |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 6:4 |
| **ბელარუსი** | |
| იუნოსტი-ნემანი | 3:0 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-ლილეჰამერი | 3:0 |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 7:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-პოპრადი | 2:1 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 2:3 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| რაპერსვილი-ამბრი | 5:4 (ო) |
| კლოტენი-ბერნი | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფერიესტადი | 2:4 |
| ლულეა-შელეფტეო | 4:3 (ო) |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| ტიპსარევიჩი-ჰაასე | 6:4, 7:6 |
| ბერლოკი-სოკი | 7:5, 7:6 |
| პეტცშნერი-სერა | 6:1, 7:5 |
| შტეპანეკი-ფონინი | 6:3, 7:6 |
| გაბაშვილი-ბრანდსი | 6:2, 7:6 |
| ფ. ლოპესი-ბერანკისი | 4:6, 7:6, 6:3 |
| მანარინო-რამირეს იდალგო | 6:7, 7:6, 2:6 |
| სტახოვსკი-დიმიტროვი | 6:2, 6:4 |
| ნიშიკორი-შარდი | 7:6, 6:2 |
| **WTA. მაიამი** | |
| ზაკოპალოვა-ბალტაჩა | 7:6, 6:3 |
| კუზნეცოვა-ჰალეპი | 6:0, 6:4 |
| ჰანტუხოვა-ოუდინი | 6:1, 6:3 |
| პეტკოვიჩი-ჰემპტონი | 6:2, 7:5 |
| პეერი-მედინა გარიგესი | 2:6, 2:6 |
| დულგერუ-სხეპერსი | 6:3, 6:2 |
| სტოსური-ჟენგი | 6:2, 6:1 |
| იანკოვიჩი-ნიკულესკუ | 6:3, 6:1 |
| საფაროვა-შნიდერი | 6:2, 6:4 |
| ვოზნიაცკი-მატეკი | 6:2, 7:5 |
| პენეტა-ბენეშოვა | 3:6, 0:6 |
| პეტროვა-ლისიცკი | 6:4, 3:6, 1:6 |

ჩოგბურთი




# მიურეიმ გაიტანა, ჯოკოვიჩმა წააგო

გუშინ მაიამიში გაიმართა საქველმოქმედო საფეხბურთო შეხვედრა სახელწოდებით „იმედის მატჩი იაპონიისთვის". ჩოგბურთის ვარსკვლავებისგან შემდგარი გუნდი ადგილობრივ პროფესიულ კლუბს - „ფორტ-ლოდერდეილ სტრაიკერს" ხვდებოდა. ჩოგბურთელები 2:4 დამარცხდნენ. მათი კაპიტანი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იყო, გოლები კი ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** და კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმა** გაიტანეს.

ამ ტრიოს გარდა ჩოგბურთელთა ნაკრებში თამაშობდნენ: მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, მისი თანამემამულეები **დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო, ფელისიანო ლოპესი**, ავსტრიელი **იურგენ მელცერი**, ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, სერბი **ვიქტორ ტროიცკი**, იაპონელი **კეი ნიშიკორი** და არგენტინელი **ორასიო საბელიოსი**. სხვათა შორის, ნადალი ძირითად შემადგენლობაში არ ყოფილა და არც შეცვლაზე შესულა მინდორზე.

მატჩი 20-წუთიანი ორი ტაიმისგან შედგებოდა. ამ ღონისძიებიდან შემოსული თანხა ამერიკულმა „წითელმა ჯვარმა" იაპონიაში მიწისძვრისა და ცუნამისგან დაზარალებული მოსახლეობის ფონდში გადარიცხა.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-ფლორიდა 4:0**

0:0, 1:0, 3:0

**გოლები:** 1:0 სიბრუკი-5 (კეიტი-33, ტეუვზი-43), 2:0 სტალბერგი-12 (ტეუვზი-44, პ. კეინი-40), 3:0 პ. კეინი-25 (კეიტი-34, სიბრუკი-36), 4:0 კოპეცკი-14 (ფროლიკი-25, მარიან ჰოსა-28).

**სან ხოსე-კალგარი 6:3**

4:2, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტ. მიტჩელი-8 (მეიერსი-8, ჯ. ტორნტონი-43), 1:1 იგინლა-34 (ო. იოკინენი-35, ტანგეი-40), 2:1 დეჟარდენი-1 (იგერი-10, დ. ბოილი-38), 2:2 სერიჩი-4 (კოტალიკი-2, რეგერი-15), 3:2 მარლო-30 (დ. მიურეი-9), 4:2 მარლო-31 (სეტოგუჩი-15, პაველსკი-42), 4:3 ბურკი-26 (კოსტოპულოსი-9),მ 5:3 ტ. მიტჩელი-9 (პაველსკი-43), 6:3 კუტური-28 (ქლოუ-33, ჯ. ბრაუნი-9).

**დეტროიტი-ვანკუვერი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-39 (ჰ. სედინი-69, ჰამჰუისი-17), 0:2 დ. სედინი-40 (ჰ. სედინი-70, კესლერი-29), 1:2 ჰუდლერი-9 (ქლირი-19, ლიდსტრიომი-44).

**დალასი-ანაჰაიმი 3:4 (ო)**

0:0, 1:1, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ვიშნოვსკი-15 (გეტცლაფი-44, ფაულერი-26), 1:1 გოლიგოსკი-12 (რიბეირო-47, ბ. რიჩარდსი-43), 2:1 ლ. ერიქსონი-24 (ლანგენბრუნერი-21, ბ. რიჩარდსი-44), 2:2 პერი-40 (რაიანი-29), 3:2 დელეი-8 (რიბეირო-48, ოტი-19), 3:3 სელიანე-23 (ს. კოივუ-25, ვიშნოვსკი-45), 3:4 ფაულერი-8 (რაიანი-30, გეტცლაფი-45).


რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი წარმოგიდგენთ საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე"

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი და შანსი გაემგზავროთ უეფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ყოველ შაბათს 12 სთ-დან - 16-მდე.




FM 103.9 რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA TV-RADIO


## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ტიმი პლეი ოფში იქნება

### კრის კამანი ევრობასკეტზე ერთი პირობით ითამაშებს

ამ დღეებში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა „სან ანტონიოს" ლიდერის **ტიმ დანკანის** ტრავმა გახლავთ, რომელიც მან ორშაბათს „გოლდენ სტეიტთან" მატჩში მიიღო. „სპურსის" გულშემატკივრები სამედიცინო შემოწმების შედეგებს ელოდნენ. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ვეტერანი ვარსკვლავი დაახლოებით ორი კვირა ვერ შეძლებდა თამაშს.

პროგნოზი გამართლდა. ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ტიმი პლეი ოფის სტარტს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

■ ■ ■

შევსებას ელის სეზონის კიდევ ერთი ფავორიტი „ბოსტონ სელტიქსი". კლუბის გენერალური მენეჯერის **დენი ეინჯის** განცხადებით, უკვე მომავალ კვირას „კელტებს" შეუერთდება ცენტრი ჯერმეინ ო'ნილი, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა.

*„ოთხშაბათს გამართულ ვარჯიშს დავესწარი და ჯერმეინს დავაკვირდი. ის შესანიშნავად გამოიყურებოდა. დარწმუნებული ვარ, უკვე შემდეგ კვირას შეძლებს მოედანზე გასვლას"*, - განაცხადა ეინჯმა.

ჯერმეინი სავარაუდოდ 31 მარტს ითამაშებს „სან ანტონიოს" წინააღმდეგ.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრი **კრის კამანი** გერმანიის ნაკრების რიგებში 2011 წლის ევრობასკეტზე თამაშს აპირებს. თუმცა გერმანიის მოქალაქეობის მქონე ამერიკელმა კონტინენტის პირველობაზე მონაწილეობისთვის ერთი პირობა წამოაყენა - ის ლიტვაში სათამაშოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ გერმანიის ნაკრებში **დირკ ნოვიცკიც** ითამაშებს.

*„მზად ვარ დავეხმარო ნაკრებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იქ ნოვიცკიც იქნება ეს არის ჩემი პირობა"*, - განაცხადა კამანმა.

თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ თუ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი გამოცხადდა, ორივე კალათბურთელი ითამაშებს ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე.

**კლივლენდი-ნიუ ჯერსი 94:98 (ო)**

22:17, 20:22, 20:23, 20:20, 12:16

**კ:** სეშენსი (21+8 მოხსნა), ჰიქსონი (17+17 მოხსნა), გი (10).
**ნ-ჯ:** ჰემფრიზი (18+23 მოხსნა), ვუიაჩიჩი (18+5 მოხსნა), ლოპესი (18+5 მოხსნა), აუთლო (17+6 მოხსნა), ფარმარი (10+10 პასი), მოროუ (10).

**ფილადელფია-ატლანტა 105:100**

30:28, 23:31, 21:21, 31:20

**ფ:** უილიამსი (17), იანგი (16+6 მოხსნა), იგუოდალა (16+5 მოხსნა), მიქსი (15), ბრენდი (13+11 მოხსნა), ჰოლიდეი (12+5 პასი), ჰოუესი (10).
**ა:** სმიტი (33+12 მოხსნა), ჰაინრიხი (16+8 პასი), უილიამსი (16), ჯონსონი (13), კროუფორდი (10).

**შარლოტი-ინდიანა 88:111**

28:23, 25:31, 19:33, 16:24

**შ:** ოგუსტინი (17), ბრაუნი (16+9 მოხსნა), ლივინგსტონი (15), ჰენდერსონი (12), ჯექსონი (11).
**ი:** გრეინჯერი (33+5 მოხსნა), ჰენსბრო (24+5 მოხსნა), ჰიბერტი (13+14 მოხსნა), რაში (11).

**ბოსტონი-მემფისი 87:90**

15:20, 30:24, 25:23, 17:23

**ბ:** პირსი (22+6 მოხსნა), ალენი (14), დევისი (12+5 მოხსნა), გარნეტი (10+6 მოხსნა), გრინი (10), რონდო (6+11 პასი+11 მოხსნა+7 ჩაჭრა).
**მ:** რენდოლფი (13+8 მოხსნა), პოუ (13), გასოლი (11+11 მოხსნა), იანგი (11+7 მოხსნა), მაიო (11), არტური (10).

**დეტროიტი-მაიამი 94:100**

27:21, 28:32, 26:20, 13:27

**დ:** ჰემილტონი (27), მონრო (14+12 მოხსნა), პრინსი (13+5 პასი), უილკოქსი (10).
**მ:** უეიდი (24), ბოში (23+7 მოხსნა), ჯეიმსი (19+8 მოხსნა+7 პასი), მილერი (13).

**მილუოკი-საკრამენტო 90:97**

32:25, 24:28, 18:22, 16:22

**მ:** დელფინო (30), ბოგუტი (15+9 მოხსნა), მბა ა მუტე (11), სანდერსი (10).
**ს:** ტორნტონი (27+6 მოხსნა), უდრიხი (25+6 მოხსნა+6 პასი), კაზინსი (13+9 მოხსნა), დალემბერი (11+12 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ორლანდო 99:111**

25:28, 34:27, 19:24, 21:32

**ნ-ი:** ენტონი (24+9 პასი+5 მოხსნა), დუგლასი (17+5 მოხსნა), ბილაპსი (17), სტაუდმაიერი (13+7 მოხსნა).
**ო:** ჰოვარდი (33+11 მოხსნა), ნელსონი (19), თურქოგლუ (16+11 მოხსნა), ბასი (15+7 მოხსნა), რიჩარდსონი (12+6 მოხსნა).

**ოკლაჰომა-იუტა 106:94**

32:25, 18:20, 28:24, 28:25

**ო:** უესტბრუკი (31+5 პასი), დურანტი (29), იბაკა (15+13 მოხსნა), ჰარდენი (11), მუჰამედი (10).
**ი:** ჯეფერსონი (32+12 მოხსნა), მილსეპი (18+7 მოხსნა), მაილზი (11), უოტსონი (10).

**ჰიუსტონი-გ. სტეიტი 131:112**

36:33, 30:24, 34:28, 31:27

**ჰ:** მარტინი (34), ლი (25), სკოლა (20+10 მოხსნა), დრაგიჩი (14), ჰეიესი (13+14 მოხსნა+11 პასი), ლოური (13+12 პასი).
**გ-ს:** რაიტი (34+6 პასი+5 მოხსნა), ლი (19+9 მოხსნა), კარი (16+6 პასი+6 მოხსნა), ელისი (15+5 მოხსნა+5 პასი).

**ფინიქსი-ტორონტო 114:106**

26:32, 29:29, 31:25, 28:20

**ფ:** ბრუქსი (25+8 პასი), ნეში (16+8 პასი), გორტატი (15+8 მოხსნა), ფრაი (14+7 მოხსნა), დადლი (13+6 მოხსნა), კარტერი (13).
**ტ:** ბარნიანი (27), დეროზანი (19+8 მოხსნა), ბარბოზა (14), უიმსი (12), კალდერონი (6+13 პასი).

**დენვერი-სან ანტონიო 115:112**

24:34, 40:35, 26:24, 25:19

**დ:** ჰარინგტონი (27), ფელტონი (18+8 პასი), სმიტი (18), გალინარი (13+7 მოხსნა), ლოუსონი (12+7 პასი+5 მოხსნა), მარტინი (11+8 მოხსნა).
**ს-ა:** ნილი (25+5 მოხსნა), ჯინობილი (20), პარკერი (19+5 პასი), მაკდაესი (13+12 მოხსნა).

**კლიპერსი-ვაშინგტონი 127:119 (2ო)**

33:21, 25:28, 17:28, 27:25, 11:11, 14:6

**კ:** გრიფინი (33+17 მოხსნა+10 პასი), გორდონი (32), კამანი (28+12 მოხსნა), უილიამსი (17+10 პასი).
**ვ:** უოლი (32+10 პასი+5 მოხსნა), კროუფორდი (25+10 პასი+7 მოხსნა), მაკგი (22+13 მოხსნა), იანლიანი (18+7 მოხსნა).

## ამბები

**რალი**

### დაკარს პერუ დაემატა

საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო ლეგენდარული რალი-რეიდის - „დაკარის" საორგანიზაციო კომიტეტმა. მომავალ წელს ავტომარათონი სამი ქვეყნის - არგენტინის, ჩილესა და პერუს ტერიტორიაზე ჩაივლის. რიგით 34-ე რალი რეიდი 14 ეტაპისგან იქნება შემდგარი: 5-5 რბოლა ჩილესა და არგენტინაში გაიმართება, ოთხი - პერუში.

მრბოლელებს ჯამში 9 ათასი კილომეტრის დაფარვა მოუწევთ. მარათონი პირველ იანვარს არგენტინის კურორტ მარ-დელ-პლატაში დაიწყება. ამის შემდეგ მონაწილეები არგენტინის ჩრდილოეთით დაიძვრებიან, გადაკვეთენ ანდებს და ატაკამას უდაბნოს გავლით ჩილეს ტერიტორიაზე გადავლენ, სადაც 8 იანვარს დასვენების დღეა გათვალისწინებული. რბოლის ფინიში პერუს დედაქალაქ ლიმაშია დაგეგმილი.

„დაკარის" რალი მეოთხედ გაიმართება სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე. წინა სამ შემთხვევაში მარშრუტი მხოლოდ არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე გადიოდა. სტარტი და ფინიში ბუენოს აირესში იყო ორგანიზებული.

**ჰოკეი**

### იაგრი მსოფლიოზე იქნება

რუსული „ავანგარდის" თავდამსხმელი, ჩეხური ჰოკეის ლეგენდა **იარომირ იაგრი** წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. ამის შესახებ განაცხადა მოქმედი ჩემპიონის - ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალოიზ ჰადამჩიკმა**.

39 წლის ფორვარდი ჩეხეთის ნაკრებს აპრილის შუაში შეუერთდება. მსოფლიოს ჩემპიონატამდე იაგრს ევროტურის ბოლო ეტაპზე - „ჩეხეთის თამაშებზე" ვიხილავთ, რომელიც 21-24 აპრილს გაიმართება.

მსოფლიოს ჩემპიონატი 29 აპრილს სლოვაკეთში დაიწყება. ჯგუფურ ეტაპზე ჩეხეთის მეტოქეები ფინეთი, ლატვია და დანია იქნებიან.

**ფიგურული სრიალი**

### ტოკიოდან მოსკოვში

2011 წელს ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონატი მოსკოვში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ პლანეტის პირველობისთვის 21-27 მარტს ტოკიოს უნდა ემასპინძლა, მაგრამ იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის გამო ჩემპიონატი გაუქმდა.

ტურნირის ჩატარების ახალი თარიღია 25 აპრილი-1 მაისი. რუსეთის გარდა ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ აშშ, კანადა, ფინეთი, ავსტრია და ხორვატია.

**ფორმულა 1**

### ფერარის ძველი პრეზიდენტი ეყოლება

ფორმულა 1-ის გუნდის - „ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** ამ თანამდებობაზე მინიმუმ სამი წელი დარჩება.

იტალიური კომპანიის დირექტორთა საბჭომ ახალი ვადით აირჩია დი მონტეძემოლო. ასევე გააგრძელებენ „ფერარიში" მუშაობას ვიცე-პრეზიდენტი **პიერო ფერარი** და აღმასრულებელი დირექტორი **ამედეო ფელისა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**